

# სწავლა-სწავლება უმადლესი განათლების საფეხურზე

ბაია კუბლაშვილი  
თამარ მალლაკელიძე



2023



# სწავლა-სწავლება უმადლესი განათლების საფეხურზე

ბაია კუბლაშვილი  
თამარ მაღლაკელიძე



2023

ავტორები:

**ბაია კუბლაშვილი** – განათლების ფსიქოლოგი

ევროპის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო

პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

**თამარ მაღლაკელიძე** – განათლების ფსიქოლოგი

ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორი

**გიორგი გერგული** – სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ფსიქოლოგი

ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი

თამრიკო ქავუარაძე

DOI 10.52340/mng.978994133522

ISBN 978-9941-33-522-8

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2023

თბილისი, 0186, ა. პოლიბოჰოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიის) შინაარსი მომზადებულია შპს "ევროპის უნივერსიტეტის" მიერ, გამოცემისთვის მომზადება და ბეჭდვა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-22-1072, პროექტის სახელწოდება "სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე"] / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number SP-22-1072, Project Title - "Teaching and Learning in Higher Education"]

# სარჩევი

შესავალი..... 7

**I ნაწილი. უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები..... 9**

თავი 1. სწავლა-სწავლების პარადიგმის ცვლილება

უმაღლეს განათლებაში..... 10

ბოლონის პროცესით გამოწვეული ცვლილებები..... 11

სწავლა-სწავლების ტრადიციული და თანამედროვე

მეთოდოლოგია ..... 13

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და

განხორციელება ..... 17

თავი 2. მიდგომები სწავლისადმი და მათი შედეგები.... 30

სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ..... 31

თავი 3. უმაღლესი განათლების არსებული პრაქტიკა, გამომწვევები და გაუმჯობესების მექანიზმები..... 42

საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებული

საგანმანათლებლო პრაქტიკა..... 42

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები

და გადაჭრის გზები ..... 49

**II ნაწილი. სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები უმაღლესი განათლების საფეხურზე..... 53**

თავი 4. სტუდენტის მოტივაციის ზრდაზე

ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა ..... 54

მოტივაციის არსი და მნიშვნელობა..... 54

მოტივაციური ფაქტორები ..... 57

მოტივაციის შექმნის შესაძლებლობები ..... 62

თავი 5. სწავლაზე ორიენტირებული სწავლება ..... 73

სტუდენტების მხარდაჭერა სწავლების პროცესში ..... 75

კონსტრუქტივისტული სწავლების წარმატებული

მაგალითი ..... 81

თავი 6. ეფექტიანი სწავლება – დასაქმების წინაპირობა .....	85
დასაქმების ცნება .....	85
დასაქმების მხარდაჭერა .....	87
სწავლა-სწავლება დასაქმებისთვის .....	92

### **III ნაწილი. შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები უმაღლესი განათლების საფეხურზე ..... 101**

თავი 6. შეფასების არსი და მნიშვნელობა .....	102
შეფასების მიდგომები.....	105
შეფასების პროცესის მახასიათებლები.....	106
თავი 7. შეფასების დიზაინი და გავრცელებული მოდელები .....	110
შეფასების ტიპები.....	115
ტაქსონომიები.....	121
თავი 8. თვითშეფასება – როგორც სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობა .....	128
თვითშეფასების პრაქტიკული გამოყენება.....	131
თვითშეფასების მნიშვნელობა.....	133
თვითშეფასების დანერგვის ეტაპები.....	135
თვითშეფასების მდგრადობა.....	135

### **IV ნაწილი. სწავლების ეთიკური ასპექტები..... 139**

თავი 10. ეთიკური საკითხები ლექტორის კერსკექტივიდან .....	140
ეთიკური სწავლების პრინციპები.....	144
თვითგანვითარებაზე ზრუნვა .....	149
აკადემიური თავისუფლება .....	144
სტუდენტის სწავლის შეფასების ეთიკა .....	152
თავი 11. ეთიკური საკითხები სტუდენტის კერსკექტივიდან .....	155

### **გამოყენებული ლიტერატურა..... 160**

# ცხრილების სარჩევი

ცხრილი 1: სწავლა-სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგია.....	17
ცხრილი 2: ლექტორის/პროფესორის ბაზისური თვისებები და უნარები.....	20
ცხრილი 3: სწავლების სიტუაციაზე მოქმედი ცვლადები.....	24
ცხრილი 4: სწავლა-სწავლების მეთოდები.....	32
ცხრილი 5: კოგნიტური მოდელირების საფეხურები .....	36
ცხრილი 6: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შვიდსაფეხურიანი მოდელი .....	38
ცხრილი 7: კავშირი მოტივაციას, ჩართულობასა და შედეგებს შორის.....	54
ცხრილი 8: MUSIC მოდელის კომპონენტები.....	55
ცხრილი 9: სტუდენტის სწავლის მიზეზები (კვლევის შედეგები).....	58
ცხრილი 10: მოტივაციის სახეები და სასწავლო მიზნები.....	61
ცხრილი 11: მოტივაციის შექმნის შესაძლებლობები და პრაქტიკული აქტივობები .....	70
ცხრილი 12: პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს რვა პრინციპი..	80
ცხრილი 13: დასაქმების განმარტება სხვადასხვა პერსპექტივიდან .....	86
ცხრილი 14: რას სწავლობენ სტუდენტები სამუშაო ადგილზე? (ერაუტის (Eraut) თეორიული ჩარჩო).....	90
ცხრილი 15: სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უნარები და კომპეტენციები.....	95
ცხრილი 16: შეფასების არსი და მიზნები.....	103
ცხრილი 17: შეფასების სწავლისა და გაძლიერების მიდგომა.....	106
ცხრილი 18: ვალიდობის სახეები.....	108
ცხრილი 19: განმავითარებელი შეფასების სტრატეგიის მოდელი .....	112
ცხრილი 20: განმავითარებელი შეფასებისა და თვითრეგულირებადი სწავლის მოდელი .....	114
ცხრილი 21: შეფასების ტიპები.....	116
ცხრილი 22: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შედარება ...	119
ცხრილი 23: ბლუმის ტაქსონომია .....	122
ცხრილი 24: ბლუმისა და ანდერსონის ტაქსონომიების შედარება .....	123
ცხრილი 25: ვილსონის ტაქსონომია.....	125
ცხრილი 26: SOLO ტაქსონომია .....	125
ცხრილი 27: თვითშეფასების განხორციელებისა და შეფასების ეტაპები.....	135
ცხრილი 28: საქმიანობის სფეროების, ცოდნისა და ღირებულებების ჩარჩო .....	144





---


## შესავალი

რას მოიაზრებს სწავლა-სწავლების პროცესი უმაღლესი განათლების საფეხურზე? როგორ ესმის სტუდენტს სწავლის ცნება? როგორ დავეგემოთ მასზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი? როგორ შევარჩიოთ სწავლის შეფასების მეთოდები სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობის ხელშესაწყობად? როგორ შევუწყოთ ხელი შემსწავლელი მოტვაციის ზრდას და სასწავლო პროცესში ჩართულობას? რა ძირითადი ეთიკური ასპექტები უნდა გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების პროცესში უმაღლესი განათლების საფეხურზე? რა გამოწვევებს ვაწყდებით განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით? ამ და სხვა კითხვაზე პასუხს მოიაზრებს სწავლა-სწავლების პროცესის კვლევა უმაღლესი განათლების საფეხურზე.

შემოთავაზებული სამეცნიერო ნაშრომი არის მცდელობა, რომ დაინტერესებულ პირებს, მათ შორის მეცნიერებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, შესთავაზოს უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ თეორიული მიმოხილვა და ბოლოდროინდელი სფეროში ჩატარებული კვლევის მიგნებები. აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს თეორიული გზამკვლევი, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სწავლის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე გამოიყენებენ.

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია შემსწავლელის, იგივე სტუდენტის პერსპექტივის გათვალისწინება, შეფასების ადეკვატური სისტემის გამოყენება და სწავლების ეთიკური ასპექტების გათვალისწინება. სწორედ მოცემულ შინაარსზე ორიენტირება ადასტურებს აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომის თეორიულ სარგებელს.





პირველი ნაწილი

უმალლესი განათლების  
საფეხურზე სწავლა-სწავლების  
პროცესთან დაკავშირებული  
ზოგადი საკითხები

## **თავი 1. სწავლა-სწავლების პარადიგმის ცვლილება უმაღლეს განათლებაში**

თანამედროვე სამყაროში უმაღლესი განათლების საფეხურზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო მეტად იზრდება. მოთხოვნის ზრდამ აუცილებელი გახადა ფიქრი და კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სისტემის გაუმჯობესებასა და თანამედროვე სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დადგენაზე.

საუნივერსიტეტო სექტორში მკვეთრი ცვლილებების განხორციელება XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში იწყება. ეს ცვლილებები თავისი მოცულობითა და მასშტაბურობით მსგავსია იმ გარდამტეხი ცვლილებებისა, რომელიც XIX საუკუნეში კვლევითი უნივერსიტეტის განვითარებით დაიწყო ჯერ გერმანიაში და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. სიახლეებმა ფუნდამენტურად შეცვალა უნივერსიტეტის სისტემა მთელ მსოფლიოში. ბოლო პერიოდში მიმდინარე აკადემიური ცვლილებები მეტად გლობალურია და გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და, ზოგადად, მოსახლეობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცვლილებების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი უმაღლესი განათლების საფეხურზე მოთხოვნის ზრდაა. იუნესკოს (UNESCO) ანგარიშში უმაღლესი განათლების შესახებ ასახული მონაცემების მიხედვით 1990-იანი წლებში უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველთა მაჩვენებელი, დაახლოებით, 15% იყო, ახლა კი, ეს რიცხვი ბევრ ქვეყანაში 40-60%-ს შორის მერყეობს. მაღალი მოთხოვნის მიუხედავად სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრების ხარისხი სტუდენტებს შორის განსხვავებულია. სტუდენტების უმეტესი ნაწილი, რომელთაც რეალურად სურთ აკადემიური წარმატება კვლავ აქტიურად დადიან უნივერსიტეტებში, როგორც წარსულში, მაშინ, როცა უმაღლესი განათლების მოთხოვნის მაჩვენებელი დაბალი იყო. თუმცა დღეს, არსებობენ სტუდენტები განსხვავებული მიდრეკილებებით, რის გამოც ისინი შეიძლება ჩაირიცხონ უნივერსიტეტში და აქტიურად არ ჩაერთონ პროცესებში.

საინტერესოა რით არის განპირობებული სტუდენტების ეს მიდგომა და დამოკიდებულება. ზოგიერთი სტუდენტი ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს

ლოგიკით, რომ ისინი სწავლაში, როგორც პროდუქტში იხდიან ფულს, „ყიდულობენ განათლებას“ და შესაბამისად, თანხის გადახდის შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია მისცეს მას დიპლომი, მათი მხრიდან კი, პროცესში აქტიური ჩართულობა სულაც არ არის საჭირო. ამ ლოგიკით ხელმძღვანელობის წინაპირობა შეიძლება იყოს ისიც, რომ ზოგიერთი უნივერსიტეტი ფინანსური მოგების მიზნით იღებს დაბალი რეიტინგული ქულის მქონე სტუდენტებს, რომელთათვისაც პრიორიტეტულია მხოლოდ დიპლომი და არა სწავლა. საბედნიეროდ, სისტემაში ვხვდებით უფრო მეტ სტუდენტს, რომლებიც ითხოვენ მაღალი დონის პროგრამებს, ხარისხიან სწავლას, რაც გაზრდის მათი დასაქმების პერსპექტივებს.

## ბოლონიის პროცესით გამოწვეული ცვლილებები

დღეს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული გარდამტეხი ცვლილებები მნიშვნელოვნადაა განპირობებული ბოლონიის პროცესებით. 47 ევროპული ქვეყანა ერთგულია იმ პროცესის მიმართ, რომლის მიზანია შექმნას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო თანამშრომლობასა და აკადემიურ ურთიერთობებს, რათა:

- ხელი შეუწყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და უმაღლესი განათლების ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მობილობას საერთაშორისო დონეზე;
- მოამზადოს სტუდენტები მომავალი კარიერისთვის და დემოკრატიულ საზოგადოებებში აქტიური მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის, ასევე ხელი შეუწყოს მათ პიროვნულ განვითარებას;
- შესთავაზოს ფართო წვდომა მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებაზე.

ბოლონიის პროცესების კვალდაკვალ უმაღლესი განათლების საფეხურის გაუმჯობესების მიზნით დღეს ქვეყნები აყალიბებენ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოებს, რომლებიც თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციის ყოვლისმომცველ ჩარჩოსთან. კვალიფიკაციის ჩარჩო განსაზღვრავს სწავლის შედეგებს ბაკალავრის, სამაგისტრო და დოქტორანტურის თითოეული დონისთვის, აღწერს რა უნდა იცოდნენ, გაიგონ და შეძლონ სტუდენტებმა მინიჭებული კვალიფიკაციის საფუძველზე. შესაძლოა სტუდენტმა სწავლა დაიწყოს ერთ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გააგრძელოს და დაასრულოს მეორეში, მსგავს შემთხვევაში უნდა არსებობდეს გარანტია იმისა, რომ სხვადასხვა უმაღლესში მიღებული განათლება იქნება ერთმანეთთან თავსებადობაში. ამ თავსებადობის შესაძლებლობას კი ბოლონის პროცესები ქმნის.

ბოლონის პროცესი ასევე მოიცავს უფრო ფართო საზოგადოებრივ სფეროებს, როგორცაა კავშირი უმაღლეს განათლებას, კვლევებსა და ინოვაციებს შორის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობა. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებთან ევროპის გარეთ. ამ ყოველივეს ჰარმონიზაციისათვის ევროპელი განათლების მინისტრები მართავენ რეგულარულ შეხვედრებს და განსაზღვრავენ პრიორიტეტებს, ქმნიან სამუშაო ჯგუფებს რეკომენდაციების გასაცემად. მომავალი პრიორიტეტებია: თანაბარი ხელმისაწვდომობა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა, დასაქმება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, უმაღლესი განათლების სასწავლო მისია, კვლევა და ინოვაცია, საერთაშორისო ღიაობა, მობილობა უნივერსიტეტებს შორის და სხვა. ამ მიზნების მიღწევის მიზნით თითოეული სახელმწიფო ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს/ცენტრებს, რომლებიც ახდენენ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და მონიტორინგს.

ბოლონის პროცესებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესში იმ შედეგების გათვალისწინებას გულისხმობს, რასაც აღწევენ სტუდენტები. პროცესმა გააჩინა საჭიროება, რომ მომხდარიყო ფოკუსის გადატანა ლექტორიდან სტუდენტზე. წინასწარ და კონკრეტულად განისაზღვროს ის, თუ რა სწავლის შედეგებს უნდა მიაღწიონ სტუდენტმა მაშინ, როდესაც პროფესორი კურსის ფარგლებში კონკრეტული თემების განხილვას აპირებს.

შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანია შედეგზე დაფუძნებული სისტემის არსებობა, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი აფიქსირებს, თუ რას აპირებს იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა მიაღწიოს ზოგად შედეგებს. შესაბამისად, უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს შინაარსზე დაფუძნებულ პროგრამას და განსაზღვრავს კონკრეტული კურსის დონის შედეგებს. შედეგები ძალიან კონკრეტულად განისაზღვრება პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე. თუმცა, ანჯელო და ქროსი (Angelo & Cross) აღნიშნავენ რომ არსებობს ძალიან მსხვილი მიზნობრივი ორიენტირები, რითიც უნდა იხელმძღვანელოს დაწესებულებამ შედეგების განსაზღვრის დროს. ესენია:

- მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარება;
- პროფესიის შესაბამისი ცოდნისა და უნარების დაუფლება;
- აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვა;
- კარიერული განვითარების ხელშეწყობა და დასაქმების ბაზართან თავსებადობა;
- პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

## სწავლა-სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგია

უმალესი განათლების საფეხურისათვის ბოლონის პროცესებმა ახალი მოთხოვნები და შესაძლებლობები გააჩინა, რაც მნიშვნელოვნად გულისხმობს სწავლა-სწავლების პარადიგმის ცვლილებას, უფრო კონკრეტულად კი, სწავლა-სწავლების პროცესის ცვლილებას სწავლის ტრადიციული მეთოდოლოგიიდან თანამედროვე მიდგომებამდე. განვიხილოთ თითოეულ მათგანთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები.

სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგია, უმეტესწილად, ეფუძნება ლექტორზე ცენტრირებულ მიდგომას, როცა სტუდენტებთან ინტერაქცია ნაკლებია და პროცესის მთავარი წარმმართველი თავადაა. ტრადიციული მიდგომის მიხედვით პროფესორი ახდენს სტუდენტზე ცოდნის გადაცემას და სტუდენტები ამ ცოდნის პასიურად მიმღებლები არიან. ტრადიციული მიდგომის მიხედვით, სწავლების მთავარი მაკონტროლებელი პროფესორია. გამომდინარე აქედან, სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგია პასუხისმგებლობას, ძირითადად, პროფესორს აკისრებს და ითვლება, რომ თუ სტუდენტები ლექციას დაესწრებიან და მოისმენენ პროფესორის ახსნა-განმარტებებსა და მაგალითებს, ისინი შეძლებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. თუმცა, უნდა

აღნიშნოთ, რომ დღეს არსებული მიდგომების მიხედვით მხოლოდ აუდიტორიაში ყოფნა და პროფესორის მოსმენა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მიიღო ცოდნა და გამოგიმუშავდეს დარგისთვის მნიშვნელოვანი უნარები.

სწავლა-სწავლების ტრადიციულ მეთოდებს დღეს უკვე თავად პროფესორებიც ახასიათებენ როგორც ლექტორზე ორიენტირებულს ან ავტორიტარულს. ზოგი პროფესორი აღნიშნავს, რომ ტრადიციული მეთოდით სწავლება ეს არის, პროფესორის მხრიდან მისი მოვალეობის შესრულება. მიდგომა დამახსოვრებაზეა ორიენტირებული, დაბალია შეცდომებისადმი მიმღებლობა, შეცდომა ითვლება სამარცხვინოდ. სტუდენტების მხრიდან კითხვების დასმა და ცნობისმოყვარეობა ცუდია. პროცესი დიდწილად ტესტირებებს და გამოკითხვებს ეფუძნება. სტუდენტებისათვის ტრადიციული სწავლება დამღელია, ამცირებს კომუნიკაციას და იწვევს სწავლისადმი ინტერესისა და მოტივაციის დაკარგვას.

მიუხედავად იმ უარყოფითი ასპექტებისა, რაც უკვე განვიხილეთ, ტრადიციული სწავლება თავისი განმსაზღვრელი ფორმითა და ნარატიული ხასიათით იყო ყველაზე გავრცელებული პედაგოგიური მიდგომა მთელ მსოფლიოში. ამ მოდელის კრიტიკა სხვადასხვა ისტორიულ მომენტში და სოციალურ-ეკონომიკურ და გეოგრაფიულ კონტექსტში სხვადასხვა პოლიტიკური მიზნის გათვალისწინებით მიმდინარეობდა. კრიტიკოსებს შორის იყვნენ განვითარებადი ქვეყნების კრიტიკოსი პედაგოგები, განათლების მეცნიერები დასავლურ სამყაროში (მაგ., რუსო, დიუი და ვიგოტსკი) და განათლებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ., UNESCO და UNICEF). ტრადიციული სწავლება გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ორიენტირებულია დაბალი დონის სააზროვნო უნარებზე და სტუდენტების სპონტანურობასა და ინიციატივას ძირს უთხრის, აფერხებს შემოქმედებითობასა და კრიტიკულ აზროვნებას. სწავლების ტრადიციული მეთოდები, ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორ ასწავლიდა პროფესორი და არა იმაზე, თუ როგორ სწავლობდნენ სტუდენტები. ადრეული პროგრესული მოძრაობები, რომლებიც სთავაზობდნენ ტრადიციული სწავლების ალტერნატივას, წარმოიშვა 1800-იანი წლების მეორე ნახევარში. გაჩნდა საჭიროება დაწერგილიყო სტუდენტზე ორიენტირებული თანამედროვე სწავლება.



სწორედ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვის მცდელობაა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია, მისი მიზნები, ფილოსოფია და პროცედურა. ტრადიციული მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, თანამედროვე მეთოდოლოგია სტუდენტზეა ორიენტირებული, პროფესორის მთავარი როლი კი არის „დაეხმაროს მას სწავლაში“, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების „ჩართვას“ სასწავლო პროცესში. პროფესორი ითვალისწინებს სტუდენტის სწავლის სტილს, ინფორმაციის გადამუშავების ტემპს, აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციებს, რელევანტურ უკუკავშირს და ახალისებს მათ. პროცესში გამოიყენება დისკუსია, თანამშრომლობითი სწავლა, ინტერაქცია, პრაქტიკული აქტივობები რეალური ცხოვრებიდან და ა.შ. ვინაიდან თანამედროვე მეთოდოლოგია რაღაც განსხვავებულს ისახავს მიზნად, შეიცვალა მიზნის მიღწევის გზაც ანუ ის მეთოდები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება.

თანამედროვე მეთოდოლოგიის პრინციპების შესაჯამებლად შეგვიძლია გამოვყოთ სტუდენტზე ორიენტირებული ინტერაქცია, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების ჩართულობასთან ყველაფერში, რაც ხდება ლექციაზე ან სამუშაო ჯგუფში მუშაობისას. პროფესორი ორიენტირებულია არა ცოდნის გადაცემაზე, არამედ ცოდნის ათვისების პროცესში მხარდაჭერაზე. პროფესორის ამოცანაა აირჩიოს თავისი სტუდენტებისათვის შესაფერისი აქტივობები, უხელმძღვანელოს პროცესში და წაახალისოს ისინი. თანამედროვე მიდგომა მოიცავს მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ საერთო მახასიათებლები: აქტივობები განხორციელდეს სტუდენტების მონაწილეობით და იყოს რეალურ სიტუაციებთან ახლოს.

თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით პროფესორი სტუდენტებს წარუდგენს სადისკუსიო საკითხებს, პრობლემებს და ისინი ერთად ფიქრობენ მათი გადაჭრის გზებზე. პროფესორსა და სტუდენტს შორის თანამშრომლობა ეფუძნება პოზიტიურ ურთიერთობებს. მიდგომა ზრდის სტუდენტთა მოტივაციას, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. თანამედროვე მიდგომის მიხედვით სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული პროცესში, რაც მათ ეხმარება საკითხების დამახსოვრებაში, მასალის დამუშავების პროცესში ჩართულია სხვადასხვა სენსორული არხი, რაც კიდევ უფრო


მეტად ააქტიურებს მათ და ამზადებს სწავლისათვის. სტუდენტების განსხვავებული აზრი, მსჯელობა, ცოდნისმოყვარეობა წახალისებული და მიღებულია. შეცდომები განიხილება, როგორც წინსვლის შესაძლებლობა.

თანამედროვე მიდგომის მიხედვით სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ცნობილია სხვადასხვა ტერმინით, მათ შორის სტუდენტზე ორიენტირებული განათლება, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკა, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, სწავლაზე ორიენტირებული სწავლება, სტუდენტი – სისტემის ცენტრი. ყველა ეს ტერმინი შეგვიძლია გამოვიყენოთ ურთიერთშემცვლელად. თანამედროვე მიდგომას და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციას უკავშირებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა მოქნილი სწავლება, გამოცდილებით სწავლება და თვითმართვადი სწავლება. ნებისმიერ შემთხვევაში მიდგომისთვის მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სტუდენტის ავტონომიის სხვადასხვა ხარისხს. მიდგომა მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებს, როგორიცაა პანელური დისკუსიები, ქვიზები, პროექტები, გონებრივი იერიშის აქტივობები, როლური თამაშები, დებატები, სახელმძღვანელოების შესწავლა, ექსკურსიები და აღმოჩენებით სწავლა.

სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები ასევე მოიცავს აქტიურ სწავლებას, რომლის დროსაც სტუდენტები წყვეტენ პრობლემებს, აყალიბებენ საკუთარი პასუხებს, აზუსტებენ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებულ ბუნდოვანებებსა და პასუხობენ კითხვებს. სწავლის ამ მიდგომის გამოყენების დროს პროფესორი ხელმძღვანელობს იმით, თუ როგორ და როდის სწავლობენ სტუდენტები. მიდგომა ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე, პროფესორი კი განიხილება როგორც სწავლის ფასილიტატორი.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი (ცხრილი 1), სადაც ბელი და ბენეტი (Bell & Bennet) შეჯამების სახით წარმოგვიდგენენ სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდოლოგიას შორის არსებულ განსხვავებებს.

ცხიდი 1: სწავლა-სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგია



სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

სწავლის რომელი მეთოდოლოგიით წარმართავს სასწავლო პროცესს პროფესორი, ეს უმეტესწილად, მისი პირადი არჩევანია. ლექტორი, რომელიც მუდმივად ეცნობა და მიჰყვება თანამედროვე სტანდარტებს, მიმოიხილავს და თავის პრაქტიკაში ითვალისწინებს დარგში არსებულ მიგნებებს, მეტწილად, თანამედროვე მეთოდოლოგიას ირჩევს. და მაინც, რადგან ეფექტიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის მთავარი წილი მოდის ლექტორზე, მოდით განვიხილოთ რა ძირითად თვისებებსა და ღირებულებებს უნდა ფლობდეს ის იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოთხოვნის ზრდამ განაპირობა აკადემიური პერსონალის გამორკვევა იმაში, თუ რა არის სწავლა და როგორ სწავლობენ სტუდენტები. სწავლა-სწავლება მოითხოვს პოზიტიურ მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, შემოქმედებითობას, ენთუზიაზმსა და სწავლისადმი ერთგულებას. სწავლა-სწავლების კონტექსტში აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომების არსებობა, იმისათვის, რომ შეიქმნას და შენარჩუნდეს ეფექტიანი სასწავლო გარემო. სწავლა-სწავლების პროცესის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ორ ფაქტორზე:

- იცოდე შენი საგანი და ის თუ როგორ ასწავლო ის;
- გქონდეს პროფესიული პრაქტიკა, რომელიც პროფესიონალურ ღირებულებებს ემყარება.

შესაბამისად, პროფესორი უნდა აცნობიერებდეს სწავლის ძირითად მიზნებს, უნდა შეეძლოს სტუდენტების გაგება და სწავლების თითოეულ ეტაპზე ახდენდეს სწავლის კონტექსტის გათვალისწინებას. ლექტორის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს სტუდენტის ეფექტიანი სწავლა და სწავლის პროცესი. სწავლება ინდივიდუალური აქტივობაა, შესაბამისად, სწავლების ერთი ფორმა, სტილი და სტრატეგია შესაძლოა სრულად შესაბამისი იყოს ერთი ლექტორისთვის მაშინ, როცა მეორესთვის ის მიუღებელია. სწავლების სტილი განსხვავებულია ჯგუფიდან ჯგუფში, სტუდენტებს შორის. სწავლება ეს არის შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც მოითხოვს შემოქმედებით აზროვნებას და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ეფექტიანი სწავლება მოითხოვს:

- ლექტორის თეორიული ცოდნის გარდაქმნას ამოცანად, დავალებად, რომელიც დააინტერესებს სტუდენტს;
- სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად სტრუქტურულ სასწავლო გარემოს;
- ბალანსს სტუდენტის წარმატების მიღწევის შესაძლებლობებსა და მათთვის გამოწვევის შემცველ დავალებებში;
- ყველა იმ ფაქტორს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენას, რომელიც მონაწილეობს სტუდენტის სწავლის პროცესში.

სწავლების პროცესში ლექტორის როლი მრავალფეროვანი და გამოწვევებით სავსეა, ის მოიცავს კვლევით აქტივობებს, გრანტების მოპო-

ვებას, სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღებას. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსის სილაბუსების განვითარებას. ჯილ ნიკოლსი (Gill Nicholls) თავის ნაშრომში გვთავაზობს მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელსაც ლექტორი/პროფესორი უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორისაა:

- სასწავლო კურსის სწავლება;
- ლექციასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის დაგეგმვა;
- დავალებების შედგენა;
- სტუდენტთა პროგრესის შეფასება, დავალებებისა და საგამოცდო ტესტების შედგენა-გასწორება, შემდეგ კი სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის გაცემა;
- მოხსენებების მომზადება;
- სტუდენტთა მიღწევების აღრიცხვა;
- თანამშრომლებთან კომუნიკაცია და გუნდში მუშაობა;
- სილაბუსის შემუშავება და განვითარება;
- საკუთარი პროგრამის შეფასება.

სწავლების განხილვა სწავლის გარეშე წარმოუდგენელია, თუმცა მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის ფაქტორები, რაც ეფექტიანი სწავლების წინაპირობაა, რადგან სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი სტუდენტთა სწავლის პროცესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა. ცხრილში (ცხრილი 2) ჯილ ნიკოლსის (Gill Nicholls) ნაშრომიდან გამომდინარე მოცემულია ის თვისებები, რომლითაც უნდა ხასიათდებოდნენ ლექტორები. ბუნებრივია, ყველა თვისების არსებობა არ არის აუცილებელი მოცემულობა. ამ თვისებების ქონა ინდივიდუალურ თვისებებურებებზეა დამოკიდებული, თუმცა, ლექტორი არ ქონის შემთხვევაში უნდა ეცადოს მათ განვითარებას.

რადგან უკვე მიმოვიხილეთ ლექტორის/პროფესორისათვის საჭირო მნიშვნელოვანი თვისებები და უნარები, განვიხილოთ საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ლექტორის სწავლების სტილთან. გამომდინარე იქედან, რომ საგნის კომპეტენციასთან ერთად უმნიშვნელოვანესია შეგეძლოს მეთოდოლოგიის სწორად შერჩევა და გამოყენება სტუდენტების გააქტიურებისა და შედეგების მიღწევის კონტექსტში, მნიშვნელოვანია შეძლო ისეთი სწავლის სტილის შერჩევა, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისია.

ცხიდი 2: დექტოხის/პროფესიის ბაზისუხი თვისებები და უნახები

პროფესიული თვისებები	პროფესიული თვისებები	პროფესიული უნარები
<ul style="list-style-type: none"> <li>☑ ხელისაწვდომი</li> <li>☑ კარგი მხმენალი</li> <li>☑ სამართლიანი</li> <li>☑ მემობრული</li> <li>☑ მხარდაჭერი</li> <li>☑ მთუზიასტი</li> <li>☑ კარგი იუმორის მქონე</li> <li>☑ კრეატიული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>☑ ორგანიზაციული</li> <li>☑ მოქნილი</li> <li>☑ კარგად მომზადებული</li> <li>☑ გამართული მემყვლეუბის მქონე</li> <li>☑ განახლებული საზნობრივი ცოდნა</li> <li>☑ სასწავლო კურსის ექსპერტი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>☑ აქლეს შესაბამის დავალებას</li> <li>☑ აქტიურად მხმარება სტუდენტებს სწავლაში</li> <li>☑ იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს</li> <li>☑ აქვს მაღალი მოლოდინები სტუდენტებისადმი</li> <li>☑ ნათლად ხსნის მასალას</li> <li>☑ ავლენს სამართლინობას</li> </ul>

სწავლის სტილი არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება სასწავლო გამოცდილების ხერხის აღსაწერად. ის მომდინარეობს ლექტორის ქცევიდან და სწავლისათვის არჩეული სტრატეგიიდან. ლექტორის ქცევა ნიშნავს იმას, თუ როგორ წარმართავს ის ლექციას, როგორ ურთიერთობებს სტუდენტებთან. ლექტორი შეილება იყოს დისტანციურული სტუდენტებისგან ან მათთან მეგობრულად. სწავლის სტილი მოიცავს შესაბამისი სწავლის სტრატეგიის განსაზღვრას, ანუ სასწავლო სესიის შესაბამისი სწავლის მეთოდის არჩევას. ეს შეიძლება მოიცავდეს ჭგუფურ მუშაობას, პრობლემის გადაჭრას, დისკუსიას, პრაქტიკულ მუშაობას და ა.შ. ნებისმიერ სასწავლო სესიაზე მნიშვნელოვანია ლექტორმა გამოიყენოს მთელი რიგი სტრატეგიები სტუდენტების მოტივაციისა და ინტერესის შესანარჩუნებლად. ლექტორის სწავლების სტილის დადგენა რთულია. სწავლების სტილი, ჩვეულებრივ, ასოცირდება კონკრეტულ მიდგომასთან, როგორცაა ექსპერიმენტული, დიდაქტიკური, ლექტორზე ორიენტირებული, სტუდენტზე ორიენტირებული, თეორიული, ტრადიციული, ლექციური, შინაარსზე დაფუძნებული, პროცესზე ორიენტირებული და ხელშემწყობი. ჩვეულებრივ, სწავლების სტილის არჩევა გამომდინარეობს სტუდენტისა და ლექტორის მახასიათებლებიდან.

ეფექტიანი სწავლა-სწავლება მოითხოვს ლექტორის მოქნილობას და სხვადასხვა სტილის გამოყენებას. გამოყენებული სწავლების სტილი

საუკეთესოდ უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სესიაზე მისაღწევ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თუ ლექტორი მუდმივად იყენებს სწავლების კონკრეტულ სტილს, არსებობს საშიშროება, რომ სტუდენტები ვერ მიაღწევენ სწავლის შედეგებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლების სტილი ლექტორის პირადი არჩევანია, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია სასწავლო სესიის დაგეგმვამდე და სწავლების სტილის შერჩევამდე. მაგალითად:

- სტუდენტის მახასიათებლები;
- სტუდენტთა ჯგუფის ზომა;
- სწავლის შედეგები;
- შესასწავლი ცოდნის ბუნება;
- პროფესიული ცოდნა;
- ლექტორის პედაგოგიური ცოდნის დონე;
- გარემო, რომელშიც უნდა ჩატარდეს სწავლება;
- პირადი შესაძლებლობები.

როგორც ზემოთ აღვნიშნა, სწავლების სტილის არჩევანზე გავლენას ახდენს სხვადასხვა საკითხი, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის სწავლა-სწავლების შესახებ პირადი შეხედულებები და ვარაუდები, ასევე პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. მაგალითად, ლექტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ლექციის დროს სტუდენტებისთვის კითხვების დასმის, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის როლის ეფექტიანობაზე მათი აზროვნების განვითარებაში. სწავლების სესიის ფარგლებში აქტივობების ბალანსისა და სწავლების ალტერნატიული მიდგომების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ლექტორის სწავლების სტილზე.

ბარნესი (Barnes) სწავლის სტილს სამ ძირითად კატეგორიად ყოფს: დახურული სწავლება, ჩარჩო სწავლება და მოლაპარაკების გზით სწავლება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**დახურული სწავლება** – ამ მიდგომის მიხედვით, პროცესის მთავარ წარმმართველად ლექტორი მიიჩნევა და ნაკლებია სტუდენტების ჩართულობა, მათ პირდაპირი გზით მიეწოდებათ მასალები და არა

დისკუსიისა და გაზიარების რეჟიმში. პროცესი ლექტორის მიერ მკაცრად კონტროლირებადია და არ ხდება სტუდენტებთან შეთანხმება/მოლაპარაკებები. ამ მოდელის მიხედვით სტუდენტები მონოტონურად ერთვებიან პროცესში და ასრულებენ რუტინულ აქტივობებს. მუშაობისას საკვანძო ასპექტია სწორი პასუხები და წინასწარ განსაზღვრული, სათანადო პროცედურების დაცვა. მოდელის მიხედვით სწავლებისას გამოყენებული მეთოდებია: სამუშაო ფურცლები, ჩანაწერები, ინდივიდუალური დავალებები და რუტინული პრაქტიკული სამუშაო.

**ჩარჩო სწავლება** – მიდგომის მიხედვით ლექტორი აყალიბებს ლექციის სტრუქტურას, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი იდეების, შეხებულებებისა და ინტერპრეტაციების გაზიარება მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მიდგომა მოითხოვს ლექტორის მხრიდან საგნისა და თემის კონტროლს, სტუდენტებისათვის გარკვეული ჩარჩოს შეთავაზებას, რათა მკაფიო გახადოს შეთავაზებული ამოცანები და დავალებები. სტუდენტის როლი მიდგომის კონტექსტში მოიაზრებს ლექტორთან აზროვნებასა და დისკუსიაში შეერთებას და მის დახმარებას ჰიპოთეზების შედგენაში, ვარაუდების გამოთქმაში. თუმცა, ის არ უნდა გასცდეს ლექტორის ჩარჩოებს. მეთოდები, რომელებსაც ამ მოდელის გამოყენებისას მივმართავთ არის: დისკუსია, ინდივიდუალური და ჯგუფური პრობლემის გადაჭრა, შედეგების განხილვა.

**მოლაპარაკებებით/შეთანხმებებით სწავლება** – ლექტორი განიხილება, როგორც სასწავლო სესიის ფასილიტატორი, სადაც სესიის შინაარსობრივი მიმდინარეობა განისაზღვრება სტუდენტების იდეებისა და მოსაზრებებიდან გამომდინარე. მიდგომის ფარგლებში აშკარაა სტუდენტის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სტუდენტები ახდენენ თავიანთი იდეებისა და შეხედულებების დასაბუთებას. მათ აქვს შესაძლებლობა კრიტიკულად განიხილონ სადისკუსიო საკითხები და გამოყენებული მეთოდები, გაიზიარონ პასუხისმგებლობა. მიდგომა ააქტიურებს სტუდენტებს და პროფესორს შორის ინტერაქციას, ყველა აქტიურადაა ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სტუდენტები თავად გეგმავენ და ახორციელებენ სამუშაოს, აკეთებენ პრეზენტაციებს და აფასებენ გამოყენებული აქტივობების ეფექტიანობას წარმატების მიღწევაში.



თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სტილს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. გაუმჯობესებული და ეფექტიანი სწავლებისთვის მნიშვნელოვანია განსხვავებული სტილის გამოყენება და იმაში გამორკვევა, თუ როდის და სად არის თითოეული მათგანის გამოყენება ეფექტიანი და რეკომენდებული.

გამომდინარე იქედან, რომ სწავლის სტილით შესაძლებელია სწავლების ეფექტიანობის შეფასება, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა იგულისხმება ეფექტიან სწავლებაში და რა გავება აქვს ეფექტიან სწავლებას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისას.

**ეფექტიანი სწავლება** ეხება იმ შესაძლებლობების განხილვას, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სტუდენტმა დასახულ სწავლის შედეგებს და განივითაროს მაღალი დონის სააბროვნო უნარები, მათ შორის შემოქმედებითი აბროვნების, კრიტიკული აბროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ცოდნის განზოგადების უნარები. წლების განმავლობაში სხვადასხვა მოდელი და სცენარი მუშავდებოდა, რომელიც ეფექტიანი სწავლების ხედვას გვთავაზობდა. მათი ანალიზისთვის ჯილ ნიკოლსმა (Gill Nicholls) გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სწავლებასა და სასწავლო გარემოზე. ქვემოთ მოცემულ სქემაზე (ცხიდი 3) დეტალურადაა წარმოდგენილი ის სამი ძირითადი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სწავლების სიტუაციაზე. ესენია:

- **კონტექსტის ცვლადები** – ის მახასიათებლები, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო აქტივობები და სწავლება, ასევე ლექტორისა და სტუდენტის პიროვნული მახასიათებლები.
- **პროცესის ცვლადები** – სტუდენტისა და ლექტორის ის ძირითადი მახასიათებლები, რომელებიც სასწავლო ამოცანებთანაა კავშირში და გავლენას ახდენს სწავლის შედეგების მიღწევაზე.
- **პროდუქტის ცვლადები** – ის ფაქტორები, რომელზე დაყრდნობითაც ლექტორი გეგმავს სასწავლო სესიებს, განსაზღვრავს სესიის მიზნებს, რაც გამოიყენება კურსის ეფექტიანობისა და სტუდენტის პროგრესის მონიტორინგისათვის.

დღეს უმაღლესი განათლების საფეხურზე ჩატარებული ბევრი კვლევა პასუხობს კითხვას „რა არის ეფექტიანი სწავლება“ და „როგორ უნდა დაიგეგმოს/განხორცილდეს ეფექტიანი სწავლება“. ამ კითხვებს პასუხს

ასევე ნათლად სცემს ქვემოთ შემოთავაზებული სამი მოდელი სხვადასხვა პერსპექტივიდან. ეს მოდელები მჭიდროდაა დაკავშირებული სტუდენტის სწავლის გზებთან.

*ცხიდი 3: სწავლების სიგუაციაზე მოქმედი ცვლადები*

**შინაარსის ცვლადები**

ლექტორის მახასიათებლები, მაგ.:  
სქესი, ასაკი, გამომცდილება, სოციალური კლასი

სტუდენტის მახასიათებლები, მაგ.:  
ასაკი, სქესი, ღირებულებები, ინდივიდუალიზმი, უნარები და სოციალური კლასი

კლასის მახასიათებლები, მაგ.: ზომა, დიაპაზონი, შესაძლებლობა, სოციალური მრავალფეროვნება

უნივერსიტეტის მახასიათებლები, მაგ.:  
ზომა, შენობები, ობიექტები, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წილი, კვლევის კოლიტივა

სამსწავლოების მახასიათებლები, მაგ.:  
კვლევა, მოსახლეობა, გეოგრაფიული მდებარეობა

შემთხვევის მახასიათებლები, მაგ.:  
დღის მონაკვეთი, აუდიტორიის ზომა, აკადემიური წლის კონკრეტული დრო

**პროცესის ცვლადები**

ლექტორის აღქმა, სტრატეგიები და ქცევა	სტუდენტის აღქმა, სტრატეგიები და ქცევა
--	---

სასწავლო დაპაუზებისა და აქტივობების მახასიათებლები

**პროდუქტის ცვლადები**

მოკლევადიანი/გრძელვადიანი კონსტრუქციული/სწავლის შედეგები

მაგალითად, სტუდენტების დამოკიდებულების ცვლილება საბნის ან დისციპლინის მიმართ, მიღწევები გამომცდებში და შეფასებაში, სტუდენტის ავტონომიის ზრდა, თვითშეფასების ამაღლება

**I მოდელი: ანალიზის ზედაპირული დონე**  
ანდერსონის, პეტერსონისა და ვალბერის (Anderson, Peterson & Walber) მოდელი ფოკუსირებულია იმ ორ ძირითად კონსტრუქტზე, რომლებიც ეფექტიანი სწავლების გასაღებია. პირველი კონსტრუქტი იდენტიფიცირებულია როგორც აქტიური სწავლის დრო. ეს ეხება იმ დროს, როცა სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საკითხის შესწავლაში და/ან

შედეგების მიღწევაში. მეორე კონსტრუქტი ეხება სწავლების ხარისხს, უფრო კონკრეტულად კი, სასწავლო ამოცანის ან სიტუაციის ხარისხს მისი მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით სწავლის შედეგების მისაღწევად. მოდელის მიხედვით კონსტრუქტებს შორის ტოლობის ნიშანია მოცემული. აქედან გამომდინარე, აქტიური სწავლება ფოკუსირებულია თითოეული სტუდენტის აქტიურ გონებრივ ჩართულობაზე ლექტორის მიერ მოწოდებულ აქტივობებსა და გარემოში. მოდელი ხაზს უსვამს ხედვას, რომ აქტიური სწავლება ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები უნდა მიემართებოდეს სწავლის შედეგებისკენ. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით ლექტორმა უნდა განიხილოს, არის თუ არა დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებული კარგად და სათანადო გზებით, გათვალისწინებულია თუ არა სტუდენტების მახასიათებლები (მაგ. ცოდნა და ა.შ.). ხარისხიანი სწავლება მოიცავს სწავლების მრავალ ასპექტსა და ელემენტს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ლექტორის ინტერაქცია სტუდენტებთან და სასწავლო მასალის შინაარსი, სტრუქტურა და ორგანიზაცია.

## II მოდელი: ანალიზის ფსიქოლოგიური დონე

მოდელი ითვალისწინებს იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლებაზე. მოდელის მიხედვით ცხადია, რომ სწავლების პროცესი გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე. ანალიზის ფსიქოლოგიური დონე აკავშირებს პროცესის ცვლადებს სწავლის შედეგებთან, ხსნის ფსიქოლოგიურ ელემენტებს სწავლის პროცესში და ამით გავლენას ახდენს ეფექტიანი სწავლების ბუნებაზე.

ანალიზის ფსიქოლოგიური დონე აერთიანებს პროცესების ცვლადებსა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც აუცილებელია სწავლის განსახორციელებლად. იგი ყურადღებას ამახვილებს ინდივიდზე სწავლაში ჩართული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. სწავლის ფსიქოლოგიური თეორიების ირგვლივ უამრავი ლიტერატურა არსებობს, თუმცა, გამოყოფთ სამ ძირითად პრინციპს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე. რაც გულისხმობს იმას, რომ:

1. სტუდენტი უნდა **ესწრებოდეს** სასწავლო პროცესს;
2. სტუდენტი უნდა იყოს **მიმღები** სასწავლო გამოცდილების

მიმართ (ჰქონდეს მოტოვაცია ან სურვილი ისწავლოს და უპასუხოს სასწავლო მოთხოვნებს);

3. სასწავლო გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს სასურველ სწავლის შედეგებს (სტუდენტის წინარე ცოდნისა და გაგების გათვალისწინებით).

### III მოდელი: ანალიზის პედაგოგიური დონე

ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს სწავლების ხელოვნებაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ხელოვნების აღწერა ისე, რომ ის გადაიზარდოს გამოცდილებად, რომელიც აძლიერებს სტუდენტის სწავლის პროცესს. ეს მოდელი დაფუძნებულია ლექტორების გაგებაზე, თუ რა არის სწავლება და როგორ შეიძლება მისი ინტერპრეტაცია ეფექტიანი სწავლების განხორციელებისა და სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მოდელი ეფუძნება პრაქტიკას, რომელიც სწავლებას განიხილავს როგორც ორგანიზებულ აქტივობებს და ცდილობს გამოავლინოს სწავლების ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო გარემოს ორგანიზებასთან. პედაგოგიური მოდელის მთავარი მახასიათებელია მდგომარეობს იმაში, რომ ის ყურადღებას ამახვილებს სწავლების იმ ასპექტებზე, რომლებიც უფრო მდიდარია კონტექსტითა და მნიშვნელობით, ვიდრე პროცესის ცვლადების ტიპები. მოდელი ითვალისწინებს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სწავლების უნარი და ეფექტიანი სწავლება. მოდელის მთავარი მიზანი იყო სამი ძირითადი კატეგორიის იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლებაზე და სწავლაზე. ეს კატეგორიებია:

1. ლექტორის აღქმა, სტრატეგიები და ქცევა;
2. სტუდენტის აღქმა, სტრატეგიები და ქცევა;
3. სასწავლო ამოცანებისა და აქტივობების მახასიათებლები.

ამ კომპონენტების ურთიერთკავშირი ასახავს სასწავლო გარემოში მიმდინარე პროცესებს. მნიშვნელოვანია ლექტორმა იცოდეს როგორც საკუთარი, ასევე სტუდენტის ხედვა სასწავლო ამოცანებისა და აქტივობების დასახვისას და მასში ჩართვისას. ეს ხედვა იწვევს გარკვეული სახის ქცევას და ქმნის ადეკვატურ მოლოდინებს ორივე მხარისათვის. აღნიშნული საკითხების გააზრება საშუალებას მისცემს ლექტორს გააცნობიეროს რა ხდება პროცესში და მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგები.

ბევრი პროფესორი ასწავლის სტუდენტებს ისე, რომ მათ არ იციან როგორ სწავლობენ სტუდენტები. ბევრმა მათგანმა იცის, თუ როგორ სწავლობენ ისინი საუკეთესოდ, მაგრამ სულაც არ ითვალისწინებენ ამას, და არც იმას აქცევენ ყურადღებას არის თუ არა მათი სწავლების მეთოდი დაფუძნებული სტუდენტის სწავლის შესაძლებლობაზე. სწავლა-სწავლების მიდგომები მუდმივად ცვალებადი და განახლებადი უნდა იყოს, რადგან განათლება განიხილავს სტუდენტებს, როგორც ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ყველა თვალსაზრისით განსხვავდებიან და მუდმივად იცვლებიან. სტუდენტები განსხვავდებიან სწავლის ტემპით, გამოცდილებით, მოლოდინებითა და მზაობით.

როგორ შეიძლება საუკეთესოდ აიხსნას ის, თუ როგორ სწავლობს სტუდენტი, რომ ეს ახსნა მასზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში დაგვეხმაროს. თანამედროვე ფსიქოლოგების უმეტესობა იყენებს ამა თუ იმ ტიპის კონსტრუქტივისტულ თეორიებს იმის ასახსნელად, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები. იდეა ემყარება იმას, რომ ადამიანს აქვს გარკვეული სქემები, რომელშიც თავმოყრილია გამოცდილება, ცოდნა და ახალი ინფორმაცია არის უკვე არსებულის შემავსებელი. კონსტრუქტივიზმი ნაწილობრივ გამომდინარეობს კანტის მიერ 200 წელზე დიდი ხნის წინ გამოთქმული მოსაზრებიდან, რომ გამოცდილება ინვესს ზოგადი კონცეფციების ან კონსტრუქციების ჩამოყალიბებას, რომლებიც რეალობის შესაბამისია. თუ სქემები არ შეიცვლება, სწავლა არ მოხდება. ამბობენ, რომ სწავლა (კოგნიტურ, აფექტურ, ინტერპერსონალურ თუ ფსიქომოტორულ სფეროებში) მოიცავს ინდივიდუალური ტრანსფორმაციის პროცესს. ამრიგად, ადამიანები აქტიურად აყალიბებენ თავიანთ ცოდნას. პიაჟე და ბრუნერი მე-20 საუკუნის ორი ყველაზე ცნობილი კონსტრუქტივისტია, რომელთა იდეები დღესაც აქტიურად გამოიყენება შემსწავლელზე ორიენტირებული სასწავლო სიტუაციის დასაგეგმად. მაგალითად, ბრუნერის იდეებმა მიგვიყვანა სპირალური სასწავლო გეგმის იდეამდე, რომ ყოველი ახალი ცოდნა თუ უნარი, ეფუძნება უკვე ნასწავლს და შესაბამისად, კურიკულუმი/სასწავლო გეგმა უნდა აიგოს ისე, რომ სტუდენტს ყოველი ახალი საკითხის შესწავლისას ჰქონდეს ახლის შემეცნების შესაძლებლობა და თან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა. სტუდენტების სწავლის შესახებ არსებული იდეების უმეტესობა, მათ შორის ექსპე-

რიმენტული სწავლება, რეფლექსიის გამოყენება და ა.შ., სწორედ კონსტრუქტივიზმს ეფუძნება.

კონსტრუქტივიზმი გვეუბნება, რომ ჩვენ ვსწავლობთ ახალი ცოდნის მორგებით ძველ ცოდნასთან, მისი გაფართოებით და/ან ჩანაცვლებით. ლექტორმა უნდა იცოდეს, რომ ისინი იშვიათად თუ „წერენ ცარიელ ფურცელზე“, ყველა სტუდენტს აქვს თუნდაც ელემენტარული, ან არასწორი, წინასწარ არსებული ცოდნა და გაგება. ადრე არსებულ ცოდნასა და გაგებაში ცვლილებების ან დამატებების გარეშე კი სწავლა არ მოხდება. ძალიან ხშირად სწავლა განიხილება მხოლოდ ახალი ცოდნის დამატების შესაძლებლობა, მაშინ როცა ლექტორებმა უნდა განიხილონ ის პერსპექტივაც, თუ როგორ მოახდინონ უკვე არსებული ცოდნის ცვლილება ან გარდაქმნა სტუდენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ყველა ადამიანს გვაქვს ჩვენი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კარგი სწავლება. ეს იდეები ეფუძნება იმ პირად გამოცდილებას, როცა თავად ვიყავით სტუდენტები, ასევე ჩვენს სამუშაო გამოცდილებას და დასკვნებს იმაზე, რა ამართლებს სწავლების პროცესში და რა არა. კარგი სწავლების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ კოლეგებზე დაკვირვებით და მათთან საუბრებით, საჯარო დებატებით განათლებაზე და მეცნიერული წყაროებიდან, იქნება ეს კვლევები თუ ნაშრომები. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვენი იდეები კარგ სწავლებასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგებოდეს ინსტიტუციურად დამტკიცებულ ცნებებს თუ რა უნდა იყოს განათლება და როგორ უნდა გავზომოთ ჩვენი სწავლების ეფექტიანობა.

იმ ფართო სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ სხვადასხვა ინსტიტუციას მრავალფეროვანი მოთხოვნები აქვს უნივერსიტეტებისადმი. მაგალითად ის, რომ კურსდამთავრებულები მომზადებულნი იყვნენ სამუშაო ადგილისთვის, ჰქონდეთ გამართული მეტყველებისა და კარგი კომუნიკაციის უნარი, ფლობდნენ მაღალი დონის ტექნიკური უნარებს, შეეძლოთ გუნდური და ინდივიდუალური მუშაობა. მეორე მხრივ, უნივერსიტეტებს პროფესორებისადმიც აქვთ გარკვეული მოთხოვნები, მათ შორისაა: იყვნენ კარგად მომზადებულები, მაღალკვალიფიცირებულნი და თანამედროვე გამოწვევების

შესაბამისი უნარების მქონე, ჰქონდეთ გამჭირვალე და ობიექტური შეფასების სისტემები, ყოველთვის მისცენ სტუდენტებს უკუკავშირი, მოარგონ მასალები და აქტივობები სტუდენტების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და ასე შემდეგ. ასეთი მოთხოვნების მთავარი მიზანია პროფესორი იყოს ანგარიშვალდებული თავის ქმედებებსა და შედეგებზე. ამრიგად, მსგავსი მოთხოვნებით ჩვენ ვხედავთ მთავრობის, აკრედიტაციის ორგანოების და/ან უმაღლესი ორგანოების შეთანხმებულ ძალისხმევას უნივერსიტეტების რეგულირებისა და კონტროლისთვის, რათა თითოეულ ქვეყანაში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა თავსებადობაში იყოს საერთაშორისო მოთხოვნებთან.

## თავი 2. მიდგომები სწავლისადმი და მათი შედეგები

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა სწავლა-სწავლების განსხვავებულ მიდგომებს, მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებს. ზოგიერთი მათგანი მეტად ტრადიციული და ყველასთვის ნაცნობია, ზოგიერთი კი, შედარებით თანამედროვე. მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თითოეული მათგანის ძლიერი მხარე, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესების ეფექტიანად წარმართვას თანამედროვე, ციფრულ ეპოქაში.

უმადლესი სასწავლებლები იყენებენ ტრადიციულ სწავლების მეთოდებს, რომლებიც მეტადაა დაფუძნებული მეხსიერებასა და ინფორმაციის შეგროვებაზე, ხოლო ნაკლებად ფოკუსირდება გამოკვლევას, კონტექსტის გათვალისწინებასა და გამოყენებაზე. შესაბამისად, სტუდენტები შინაარსში ნაკლებად ერთვებიან და სრულად ვერ ივითარებენ შესაბამის უნარებსა და შესაძლებლობებს.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე პედაგოგიურმა მიდგომებმა სწავლა-სწავლების პროცესში მხარი უნდა დაუჭიროს სტუდენტებს მათი ცოდნის კონსტრუირებასა და სასწავლო პროცესებში ჩართულობაში, დამოუკიდებელი ურთიერთობების განვითარებაში თანატოლებსა და ლექტორებს შორის. ეს კი აუცილებელი პირობაა მათი სამომავლო პროფესიული საქმიანობისთვის მზადების პროცესში, იყვნენ პასუხისმგებლიანები, თანამშრომლობითი და დამოუკიდებელი.

გამოყოფენ სწავლის ორ მიდგომას – სიღრმისეულ და ზედაპირულ სწავლას. აღსანიშნავია, რომ სიღრმისეული სწავლისას სტუდენტი არა მხოლოდ იხსენებს ზედაპირულ ინფორმაციას ფაქტების, იდეებისა და პრინციპების შესახებ, არამედ იაზრებს მათ მნიშვნელობას. ზედაპირული სწავლისას ფოკუსირება ხდება ინფორმაციის გადაცემასა და მეხსიერების შემოწმებაზე და არა ინტერაქციასა და დისკუსიაზე. სტუდენტებს, რომლებიც სიღრმისეული სწავლის მიდგომას იყენებენ, აქვთ შინაგანი მოტივაცია, სურთ უფრო მეტი გაიგონ თემისა და საკითხის შესახებ. მაშინ, როცა ზედაპირული სწავლის მიდგომის მომხრეების ინტერესი მარტივი მიზნითაა განპირობებული, მიიღონ გამსვლელი ქულა და დახურონ კურსი წარმატებით, ან უფრო შორეულ პერსპექტი-



ვაში, მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია სწავლის დასრულების შემდგომ. სიღრმისეული სწავლების მიდგომებისას ფოკუსირდებიან კრიტიკულ აზროვნებასა თუ პრობლემის გადაჭრაზე, დისკუსიასა და ანალიზზე, სინთეზსა და შედარებაზე დაფუძნებულ შეფასებაზე.

აკადემიური ცოდნა სტუდენტებისგან მოითხოვს ისეთ კრიტერიუმზე დაფუძნებული ცოდნის შენებას, როგორცაა ლოგიკა, მტკიცებულება და არგუმენტაცია. რაც თავის მხრივ საჭიროებს ინსტრუქტორს/ლექტორს, რომელიც სტუდენტებს მხარს დაუჭერს ამ პროცესების წარმართვაში.

კონსტრუქტივისტებს სჯეროდათ, რომ ცოდნა, ძირითადად, სოციალური პროცესების შედეგად მიიღება, რაც სტუდენტებს უბიძგებს გაგების ზედაპირული დონიდან სიღრმისეულ დონეზე გადავიდნენ. სწავლის კონსტრუქტივისტური მიდგომა აქცენტს ქსელურ შემსწავლელეებზე აკეთებს, რომლის ყველა მონაწილე ინტერაქციისა და ერთმანეთთან დისკუსიის შედეგად სწავლობს, მათ ინდივიდუალური ინტერესები ამოძრავებთ, რომელიც შემდგომ სხვის ინტერესებს უკავშირდება. ბეიტსი (Bates) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ხშირი ინტერაქცია სტუდენტებს, სტუდენტებსა და ლექტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრულ ეპოქაში, ამ ყოველის სფეროში არსებული სხვადასხვა თეორია და კვლევა ადასტურებს.


## სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები

მიმოვიხილოთ სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელთა ოთხ ტიპსაც ბეიტსი (Bates) თავის ნაშრომში გამოიყოფს (ცხხიდი 4), იმის მიხედვით, თუ რა სახით იღებენ სტუდენტები სხვადასხვა ინფორმაციას სწავლის პროცესში.

სწავლების ყველაზე ტრადიციული ფორმა **ლექციაა**. მას მიმოვიხილავთ როგორც მოსმენით სწავლის მეთოდს, როდესაც ინფორმაცია ზეპირად გადაეცემა სტუდენტებს. ტრადიციული ლექცია მოიაზარებს ლექტორის მონოლოგს სტუდენტთა დიდი ჯგუფის წინაშე. ამ მეთოდს მიმართავენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ლექციას ხშირად ადარებენ თეატრს მისი წარდგენის

სტილის გამო, თითქოს სტუდენტები „ერთობიან“ პრეზენტაციებით და ნაკლებად ცდილობენ „ხელი შეუშალონ“ მათ წინ – „სცენაზე“ მომხდარს, რაც მიუთითებს სწავლების პროცესში ნაკლებ ჩართულობასა და სტუდენტების ინტერტულობაზე.

ცხიდი 4: სწავლა-სწავლების მეთოდები



ზემოთხსენებულ მეთოდს ხშირად აკრიტიკებენ, რადგან სწავლების პროცესი მოიაზრებს ერთ აკადემიურ საათს (ზუსტი 50 წთ), რაც სტუდენტთა ყურადღების კონცენტრაციისა და გადანაწილების სირთულეებს იწვევს. გარდა ამისა, კვლევები ცხადყოფს, რომ ლექციები არ არის ეფექტიანი მეთოდი განწყობებისა და ღირებულებების ცვლილებისა და საგნისადმი ინტერესის გაჩენის მიზნით, მეტიც, სტუდენტები ვერ აცნობიერებენ საკითხის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და საჭიროებას. შესაბამისად, ისინი ორიენტირდებიან ცოდნის და არა გაგების დონეზე – ცდილობენ დიდი რაოდენობით მასალის სიღრმისეული შესწავლის გარეშე დამახსოვრებას.

თუმცა, მიუხედავად ამ გასაუმჯობესებელი მხარეებისა, ლექციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რჩება ყველაზე გამოყენებად, ნაცნობ და კომფორტულ მეთოდად. ლექცია საშუალებას იძლევა:

- შესთავაზოს სტუდენტებს უახლესი და მრავალფეროვანი ინფორმაცია, რასაც ერთი წყაროს გამოყენებით ვერ შეაგროვებენ;

- გააზიაროს მრავალფეროვანი რესურსის გაანალიზების შედეგად შეჯამებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- სტუდენტებმა აღმოაჩინონ მნიშვნელოვანი ასპექტები, პრინციპები და იდეები;
- სტუდენტებმა გაანალიზონ და შედეგად ისწავლონ როგორ უმკლავდება პრობლემას და აზროვნებს კრიტიკულად ლექტორი, აკადემიკოსი, ფაკულტეტის წარმომადგენელი, ექსპერტი.

მიუხედავად მეთოდის ძლიერი მხარეებისა, მნიშვნელოვანია გასაუმჯობესებელ მხარეებზე კონცენტრირება. განვიხილოთ ეფექტიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია ლექციისას დამატებითი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, როგორც სწავლა-სწავლების სტრატეგია: პრეზენტაცია, ვიდეო, საკითხავი მასალა (ამონარიდი სხვადასხვა წყაროდან, რაც დაკავშირებულია მასალასთან და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს აუდიო-ვიზუალური მანიშნებლების გამოყენებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის აღქმას, გააზრებასა და დამახსოვრებას;
- ლექციისთვის გამოყოფილი დრო უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. პროცესი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ ლექციის გეგმის, განსახილველი საკითხების გაცნობას; საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრა/დამტკიცებას; სტუდენტების პოზიციის გაზიარებას საკითხის შესახებ; დისკუსიაში ჩართვას და კითხვა-პასუხის რეჟიმს;
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ეფექტიანი ლექციის წარმართვისთვის, სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ხელშეწყობაა. ეს სტრატეგია დაეხმარება პროფესორს, უკეთ გააცნობიეროს, რა მოლოდინები აქვთ სტუდენტებს, რა გაიგეს ახალი მასალის შესახებ, რა დარჩათ გაუგებარი და რა ასპექტებში სჭირდებათ მხარდაჭერა;
- რა თქმა უნდა, ამ ყველაფერთან ერთად, კარგ ლექტორს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს სოციალური და პრეზენტატორული უნარები, რაც არ არის მარტივად და მოკლე ვადებში შესაძენი, თუმცა მიღწევადია მუშაობის შედეგად.

სწავლის შემდგომი მეთოდებია – ე.წ. საუბრით სწავლა: **სამუშაო ჯგუფი მუშაობა** (ე.წ. სემინარი) და **ტუტორიალები** (სახელმძღვანელო პრინციპები).

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** მოიაზრებს მცირე ჯგუფურ დისკუსიებს, რომელშიც ერთიანდება 30-მდე სტუდენტი და ისინი წარადგენენ ან/და განიხილავენ სასწავლო მასალას. ამ ეტაპზე ლექტორი პასიურ როლშია, ის წარმოადგენს ასისტენტს სწავლების პროცესში, რომელსაც სტუდენტი წარმართავს. აღსანიშნავია, რომ რაც ნაკლებია სტუდენტების რაოდენობა მცირე ჯგუფში, მით უფრო ეფექტიანია პროცესი. ხშირად, სწორედ სტუდენტების დიდ რაოდენობას თვლიან სემინარის ნაკლოვანებად, რადგან დისკუსია, რომელიც ხელს უწყობს საკითხის ღრმა განხილვასა და კრიტიკულ აზროვნებას, მცირე აუდიტორიაში უფრო ეფექტიანია, მოკლე დროში აზრის თანაბრად დაფიქსირების მიმართულებით. სტუდენტების კიდევ უფრო მცირე ჯგუფებად დაყოფა კი თავის მხრივ, აუდიტორიებისა და დროის რესურსის სირთულეს ქმნის. მცირე ჯგუფებში დისკუსია, განსაკუთრებით ეფექტიანი სტრატეგიაა სწავლების პროცესის დაგეგმვისას, როდესაც სტუდენტი წინასწარ ამზადებს მასალას დამოუკიდებლად. მნიშვნელოვანია მან იცოდეს, რომელ ასპექტებზე გაამახვილოს ყურადღება ლექტორის ინსტრუქციის შესაბამისად.

დისკუსიის დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სტუდენტი მეტად აქტიურობს და შესაბამისად, დგება ჯგუფის ყველა მონაწილის პროცესებში ჩართვის სირთულეები. ამ მოცემულობით საკითხით ნაკლებად დაინტერესებული ზოგიერთი სტუდენტი სარგებლობს კიდევ. თუმცა, აქვე ვკონცენტრირდეთ დისკუსიის სახით წარმართული სამუშაო ჯგუფში მუშაობის ძლიერ მხარეზე, რომელიც სტუდენტებს სოციალური და პრეზენტატორული უნარების განვითარებაში ეხმარება.

არსებული პრაქტიკისას გამოიყოფა სასემინარო ჯგუფები, რომლებშიც სტუდენტები აკეთებენ პრეზენტაციების. ხშირად ლექტორი ერთი სამუშაო კურსის ფარგლებში 3-4 ჯგუფის მიერ საკითხის წარდგენას აორგანიზებს, სტუდენტების ნაწილი კი თავის რიგს ელოდება სრული სასწავლო კურსის დასრულებამდე. ეს სტრატეგია შესაძლებლობას იძლევა პრეზენტატორმა კონკრეტული საკითხი სიღრმისეულად შეისწავლოს და ცოდნა გაუზიაროს თანაკურსელებს, თუმცა ქმნის გარკვეულ სირთულეებს. შესაძლოა სტუდენტების ნაწილი იყოს ინერტული სხვა სასემინარო აქტივობებისას, როდესაც ის არ წარადგენს მასალას, რადგან ქულის მიღება მხოლოდ პრეზენტირებისთვის ამცირებს მის შინაგან

მოტივაციას, ჩაერთოს ყველა აქტივობისას საკითხის სიღრმისეული სწავლის მიზნით. შესაბამისად, რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობების ისე დაგეგმვა, სადაც პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ ჯგუფის სხვა მონაწილეები მოსმენილი და დამუშავებული თემის შესახებ ჩაერთვებიან დისკუსიაში.


**ლექტორის/ტუტორის მხარდაჭერა** წარმოადგენს სწავლების ერთ-ერთ მეთოდს, რომლის დროსაც პროფესორი და სტუდენტთა მცირე ჯგუფი (3-4 სტუდენტი) რეგულარულად იკრიბება შემსწავლელების საჭიროებების შესაბამისად, მათი ცოდნისა და უნარების განვითარების სუპერვიზიის მიზნით. მონაწილეები დისკუსიისა და პრეზენტაციის გამოყენებით მსჯელობენ სტუდენტის დამუშავებული საკითხის შესახებ, ლექტორი ფასილიტატორის როლს ირგებს, წარმართავს დისკუსიას, სვამს დამატებით კითხვებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტის კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას.

მიუხედავად ძლიერი მხარეებისა, უნივერსიტეტები ტუტორების მხარდაჭერის მეთოდის გამოყენებისას სირთულეებს აწყდებიან, ხელმძღვანელების ადამიანური და დროითი რესურსის სიმწირის გამო. პრობლემის აღმოსაფხვრელად დანერგილია სინქრონულ რეჟიმში ონლაინ შეხვედრების დაგეგმვა ან ასინქრონულ რეჟიმში კომუნიკაცია მონაწილე მხარეებს შორის ინფორმაციების გაზიარების მიზნით.

**დახელოვნება – კეთებით სწავლის მეთოდი**, რომელსაც ბევრი საერთო აქვს ისეთი მოტორული უნარების განვითარებასთან, როგორიცაა ველოსიპედის ტარება, სპორტის სხვადასხვა სახეობის თამაში, მაგრამ ისწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე პრაქტიკის, ლაბორატორიული მეცადინეობებისა და სამედიცინო პრაქტიკების დროს. დახელოვნების პროცესისას სტუდენტი სწავლობს კეთებით. მას დარგის ექსპერტი ქცევის მოდელირების შედეგად ავარჯიშებს და აწვდის უკუკავშირს შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხაზი უნდა გაესვას, რომ კეთებით სწავლა არ ნიშნავს მხოლოდ გარკვეული აქტივობის შესრულების დასწავლას, არამედ მოითხოვს კონტექსტის გათვალისწინებას, რომლის ფარგლებშიც ქცევა ხორციელდება. ინტელექტუალური/კოგნიტური დახელოვნების მოდელი განსხვავდება მოტორული უნარების სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

კონტექსტის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც ცოდნა ვითარდება და მიიღება. პრეტი და ჯონსონი (Pratt & Johnson) გვთავაზობენ კოგნიტური მოდელირების ხუთსაფეხურიან სქემას (ცხილი 5):

ცხილი 5: კოგნიტური მოდელირების საფეხუხები



განვიხილოთ კეტებით სწავლის ძლიერი მხარეები:

- სწავლა-სწავლება დაკავშირებულია სიღრმისეულ და მრავალ-ფეროვან კონტექსტთან, რაც რეალურ პირობებთან ადაპტაციის შესაძლებლობას იძლევა;
- ეფექტიანად იყენებს ექსპერტების დროს, რომლებსაც შეუძლიათ სწავლების ინტეგრირება რეგულარულ სამუშაო რუტინაში;
- სტუდენტებს მიეწოდებათ მკაფიო მოდელები და მისაღწევი მიზნები;
- სტუდენტები შესასწავლი სფეროს მახასიათებლებს, ნორმებსა და ღირებულებებს მეტად უკავშირდებიან/იზიარებენ.

მეორე მხრივ, მეთოდს გააჩნია შეზღუდვები უმაღლესი განათლების საფეხურზე დანერგვის მიმართულებით:

- ექსპერტებს/ლექტორებს ხშირად უჭირთ სქემის ვერბალიზაცია და დაგროვებული სიღრმისეული ცოდნის გადმოცემა. ეს თავისთავად სირთულეს წარმოადგენს სტუდენტებისთვის, რადგან ისინი უმეტესად თავისით ცდილობენ დაადგინონ, რა


თეორიული ცოდნა მოეთხოვებათ მათ დარგში დახელოვნებისთვის;

- ლექტორები უმეტესად მიმართავენ მოდელირების მეთოდს, მათ სჯერათ, რომ სტუდენტები მხოლოდ დაკვირვების შედეგად შეძლებენ უნარების განვითარებასა და ცოდნის კონსტრუირებას, თუმცა უჭირთ იმ ასპექტების გათვალისწინება, რაც მოდელის წარმატებას განაპირობებს;
- ლექტორი ვერ განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობას, ამიტომაც ის კონცენტრირდება სამუშაო პირობების ფარგლებში მისი ცოდნის გაზიარებაზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება სტუდენტების საჭიროებები მათი დიდი რაოდენობის გამო. მცირე ჯგუფებში სტუდენტების მხარდაჭერა მეტად ეფექტიანად ხორციელდება;
- სამუშაო მეთოდების სწრაფი ცვლილების ფარგლებში, ტრადიციულ ღირებულებებსა და ნორმებს დაუფლებული ექსპერტი/ლექტორი, შესაძლოა რთულად ადაპტირდეს ახალ გამოწვევებთან, რაც შეუსაბამოა ტექნოლოგიებსა და სტუდენტების საჭიროებებთან მიმართებით.

შემდგომი სწავლის მიდგომა, რომელსაც განვიხილავთ, არის **ექსპერიმენტული სწავლა**. მეცნიერები მას მოიაზრებენ ერთგვარ ქოლგად, რომელშიც ერთიანდება კეთებით სწავლის სხვადასხვა ტიპი: **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, შემთხვევის შესწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლა, თანამშრომლობითი სწავლა**.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი** 1969 წელს ჰოვარდ ბეროუსა (Howard Barrow) და მისი კოლეგების მიერ განვითარდა კანადაში, მედიცინის უნივერსიტეტში, საიდანაც ის გავრცელდა ბევრ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და საგანამანათლებლო ინსტიტუტში. მეთოდის თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეზღუდულ დროში დაეუფლონ ექსპერტულ ცოდნას. ჯგუფში მუშაობისას ისინი აანალიზებენ მათ არსებულ ცოდნას, საჭიროებებსა და ახალი ინფორმაციის მიღების გზებს, რომელიც დაეხმარებათ პრობლემის გადაჭრაში. სწავლის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ლექტორის ფასილიტატორული უნარები და პროცესების ხელმძღვანელობა.

ცხილი 6: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შვიდსაფეხიანი მოდელი



პირველიდან მეხუთე საფეხურის ჩათვლით მუშაობა მიმდინარეობს 20-25 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, ხოლო მეექვსე საფეხური მოითხოვს ინდივიდუალურ ან მცირე (4-5 სტუდენტისგან შემდგარი) ჯგუფებში სწავლას, მეშვიდე საფეხურზე კი მუშაობს მთელი ჯგუფი და ლექტორი.

პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ფრთხილად შეირჩეს პრობლემები სასწავლო მასალის შესაბამისად ისე, რომ ყველა საკითხი მოიცვას. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა საწყის ეტაპზე გამოწვევაა მათთვის ფუნდამენტური ცოდნის დაგროვებამდე, რომელიც დაეხმარება პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში.

მეთოდის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ლექციები ბევრად უფრო სწრაფად მოიცავს სასწავლო მასალის ყველა საკითხს, ვიდრე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. გარდა ამისა, ერთ-ერთი გამოწვევა შეფასების კომპონენტია, განსაკუთრებით მაშინ, თუ დასკვნითი გამოცდა მაღალი ქულით ფასდება. ამ შემთხვევაში გათვლისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტის პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება, ასევე შინაარსის ცოდნა.



თუმცა, ამის საპირისპიროდ, კვლევები ადასტურებს, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ეხმარება სტუდენტებს გრძელვადიან პერსპექტივაში დაიმახსოვრონ მასალა, გაიმჯობესონ სწავლისადმი დამოკიდებულება და გამოიმუშაონ ის უნარები, რომელსაც მომავალშიც გამოიყენებენ.

მიმოვიხილოთ სწავლის შემდეგი მეთოდი **შემთხვევის ანალიზი**, რომელსაც ხშირად პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ. მართლაც, წინამორბედი მეთოდის მსგავსად, ის იყენებს კვლევის მეთოდს, თუმცა შემთხვევების ანალიზისას ხშირად მოითხოვს სტუდენტებისგან სპეციფიკურ ცოდნას.

ირბი (Irby) გვთავაზობს შემთხვევის ანალიზის სწავლების ხუთ საფეხურს:

1. დაუკავშირეთ სწავლება შემთხვევას;
2. აქტიურად ჩართეთ სტუდენტები დისკუსიის, ანალიზისა და შემთხვევის ანალიზის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესებში;
3. იყავით სტუდენტების მოდელი, იაზროვნონ პროფესიული მიმართულებით და განიხილონ შემთხვევა შემსწავლელებთან ინსტრუქტორივით;
4. მიეცით მიმართულება და გაეცით უკუკავშირი დისკუსიის შემდგომ;
5. შექმენით თანამშრომლობითი გარემო, სადაც ყველა მონაწილე თანაბარუფლებიანია.

შემთხვევის შესწავლა განსაკუთრებით ღირებულია კომპლექსური, ინტერდისციპლინური საკითხების განხილვა/გადაჭრის პროცესში, როდესაც სტუდენტებმა უნდა შეაფასონ ალტერნატიული გზები და მიიღონ გადაწყვეტილებები. განხილული მეთოდი კომფორტულია როგორც შერეული, ასევე სრულად ონლაინ სწავლების დროს.

**პროექტზე დაფუძნებული სწავლა** შემთხვევის ანალიზის მსგავსი მეთოდია, თუმცა უფრო გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი პროცესია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მეტ ავტონომიურობას/დამოუკიდებლობას გრძნობენ. ისინი ირჩევენ საკითხებს, აორგანიზებენ მათ მუშაობას და თავადვე წყვეტენ, რომელი მეთოდები გამოიყენონ პროექტის შესაქმნელად. პროექტები როგორც წესი, ეფუძნება

რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემებს და სტუდენტებს აანალიზებინებს საკუთარი სწავლის პროცესის პასუხისმგებლობას.

მთავარ სირთულეს მეთოდის გამოყენებისას არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ლექტორებისთვისაც წარმოდგენს ძირითად საკითხებზე კონცენტრაციის დაკარგვა. შესაძლოა მნიშვნელოვანი საკითხები არ იყოს მოცული პროექტის ფარგლებში. შესაბამისად, მეთოდი საჭიროებს ფრთხილ დაგეგმვასა და ლექტორის სუპერვიზიას მუშაობის პროცესში.

**კვლევაზე დაფუძნებულ სწავლასა** და ზემოთ განხილულ მეთოდს შორის არსებობს მსგავსებები, თუმცა ამ შემთხვევაში, ლექტორის როლი განსხვავებულია. პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას ის სვამს მიმართულების მიმცემ შეკითხვას და უფრო აქტიურ როლს თამაშობს სტუდენტის ხელმძღვანელობის მიმართულებით. კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისას შემსწავლელი იკვლევს თემას, ირჩევს საკვლევ საკითხს და კვლევის გეგმას შეიმუშავებს, გამოიტანს დასკვნებს. რა თქმა უნდა, ლექტორი საჭიროების შესაბამისად მხარს დაუჭერს მუშაობის პროცესში.

განვიხილოთ **თანამშრომლობითი სწავლა**, მეთოდი, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე ინდივიდი სასწავლო პროცესში ერთობლივადაა ჩართული. ჯგუფის მონაწილეები ურთიერთობენ, ცდილობენ პრობლემის გადაჭრას სწავლის პროცესში, ინტერაქციისას იყენებენ თავიანთ კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ უნარებს და იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლის პროცესზე. თითოეული ინდივიდის ქმედება ჯგუფის შედეგს აერთიანებს და გავლენას ახდენს მასზე. შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობითი სწავლის გასაღები ინტერაქციაა. გამოყოფენ ინტერაქციის ორ სახეს, კოგნიტურ ინტერაქციას, როდესაც შემსწავლელები აქტიურად ერთვებიან ფიქრის, ანალიზისა და სასწავლო საკითხებზე კონცენტრირებისა და თანამშრომლობის პროცესში. მეორე სახეობა სოციო-ემოციური ინტერაქციაა, როდესაც სტუდენტები უგებენ ერთმანეთს, არიან ემპათიურები და მათი თანამშრომლობის მნიშვნელობას განიცდიან.

მეთოდი ეფუძნება ოთხ პრინციპს:

1. შემსწავლელი კონცენტრირდება ვარჯიშზე;
2. ინტერაქცია და ქმედება კრიტიკულად მნიშვნელოვანია;
3. ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვანი სწავლის მეთოდია;
4. ვარჯიში უნდა მოიცავდეს რეალური პრობლემების გადაჭრის სტრუქტურირებულ მიდგომას.

თანამშრომლობითი სწავლა მოიცავს ხუთ ძირითად ელემენტს: ინტერაქცია, პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება, პასუხისმგებლობა, სოციალური უნარები და სწავლის შეფასება. კვლევებით დადასტურებულია, რომ თანამშრომლობითი სწავლა ხელს უწყობს სტუდენტების განვითარებასა და მათი სწავლის წარმატებას. თანამშრომლობით სწავლას დადებითი გავლენა აქვს შემსწავლელის კოგნიტურ უნარებზე, მის სოციო-ემოციურ განვითარებაზე. მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტების სწავლისადმი დადებითი განწყობების ჩამოყალიბებას, უმაღლესს მათ სწავლის მოტივაციას და აუმჯობესებს აკადემიურ მიღწევას.

ჩვენ მიმოვიხილეთ სწავლის სხვადასხვა მეთოდი, რამდენიმე მათგანი გავაერთიანეთ ექსპერიმენტული სწავლის მეთოდის ქოლგის ქვეშ. საბოლოოდ შევაჯამოთ ექსპერიმენტული სწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები – სწორად ორგანიზებული ექსპერიმენტული სწავლა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას, ინფორმაციის უკეთ და ხანგრძლივად დამახსოვრებას. მიდგომის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მეთოდი უზრუნველყოფს სიღრმისეულ გაგებას, ავითარებს ციფრული ეპოქისთვის საჭირო უნარებს, როგორცაა პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაციისა და მენეჯმენტის უნარები.

თუმცა, თეორიის კრიტიკოსები: კირშნერი, სველერი და კლარკი (Kirschner, Sweller & Clark) აღნიშნავენ, რომ ხშირად ექსპერიმენტული სწავლის მეთოდები „უმართავია“ და იგივეება გამოცდის დაბალ ქულებსა და დიდხნიან სწავლის პროცესთან. ექსპერიმენტული სწავლის მეთოდები მოითხოვს სწავლების ორგანიზებასა და დეტალურ დაგეგმვას, რადგან მნიშვნელოვანია შესასწავლი საკითხების სრულად დაფარვა. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს ფაკულტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის გადამზადებასა და სტუდენტების ინფორმირებას.

### **თავი 3. უმაღლესი განათლების არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და გაუმჯობესების მექანიზმები**

#### **საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებული საგანმანათლებლო პრაქტიკა**

გლობალიზაციამ ადამიანების, იდეებისა და რესურსების მობილობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაზარდა. საჭირო გახდა გადახედილიყო მთავრობის მიერ შემუშავებული განათლების რეგულირების მექანიზმები. უმაღლესი განათლების სისტემის მნიშვნელობის გასაანალიზებლად, საჭიროა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კერძო სექტორის, კვლევითი სფეროს, ეკონომიკისა და პოლიტიკის დღის წესრიგის, გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სოციო-კულტურული გამოცდილების ჰოლისტური აღქმა.

თანამედროვე საზოგადოების წევრები აანალიზებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება ინტელექტუალურ განვითარებაში ჩადებული რესურსია, რაც ზრდის ადამიანის პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებას. ბოლო ათწლეულში მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიმდინარეობდა ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდა. ეროვნული განვითარების სტრატეგიები ორიენტირებულია საგანმანათლებლო სისტემის წინსვლაზე პოლიტიკის მხარდაჭერის დონეზე და აცნობიერებს, რომ განათლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

XXI საუკუნეში მოთხოვნადი ძირითადი უნარების განვითარების ხელშეწყობა განათლების პოლიტიკისა და რეფორმის მთავარ მიზანსა და საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ამ კონტექსტში მიმოვიხილავთ საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო პრაქტიკას უმაღლესი განათლების საფეხურზე სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

პირველი ქვეყანა, რომლის მაგალითსაც მიმოვიხილავთ – ფინეთია. ქვეყნის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ანგარიშში ჩანს, რომ უმაღლესი განათლების სისტემა ფინეთის ეროვნულ და ადგილობრივ ინოვაციურ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს – მჭიდრო კავშირია უმაღლეს განათლებასა და ეკონომიკის პოლიტიკას შორის. დღეს ფინეთში 20-მდე უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, მათ შორის, ათი მულტიდისციპლინურია, სამი ტექნოლოგიური, სამი ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლა და ოთხი შემოქმედებითი და საშემსრულებლო ხელოვნების ინსტიტუტი. გარდა ამისა, მეცნიერების პოპულარიზებისა და ხელშეწყობის მიზნით ფინეთში ვხვდებით 13 კვლევით ცენტრს. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების მიმართულება ჯერ კიდევ რჩება გამონწვევად საერთაშორისო კადრების ნაკლებობის გამო. უცხოელი მკვლევრების დაინტერესება უფასო განათლებითა და შესაბამისი ანაზღაურებით დაბალია, რაც დამატებით გამოწვევას უქმნის მიმართულების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ფინეთი ბილინგვური ერია და ორ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი შვედურ ენაზე მიმდინარეობს.

ფინეთში უმაღლესი განათლების ბინარული სისტემა მოქმედებს, რომელიც გულისხმობს უმაღლესი განათლების სივრცის დაყოფას უნივერსიტეტებად და პოლიტექნიკურ სასწავლებლებად. თითოული სექტორი ერთმანეთში ინაწილებს საგანმანათლებლო პასუხისმგებლობებს. ბინარული სისტემა მხარდაჭერილია პოლიტიკური სისტემების მხრიდან და ეფუძნება ეროვნულ ხედვას.

ფინეთში უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი რეფორმა 2005 წლიდან დაიწყო. რეფორმის თავდაპირველი მიზანი იყო ფინეთისთვის მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური ქვეყნის სტატუსის მოპოვება. უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებები მიზნად ისახავდა ფინეთის უნივერსიტეტების თანაბარ შესაძლებლობებს მსოფლიო დონის უნივერსიტეტებთან მიმართებით. რეფორმის შედეგად:

- ფინეთის უნივერსიტეტები გახდნენ მეტად დამოუკიდებელი ლეგალური იურიდიული პირები, რაც მათი მხრიდან სახელმწიფო დაფინანსების დათმობას გულისხმობდა;
- შეიცვალა უნივერსიტეტის მენეჯმენტი და შენობის საკუთრებაში ქონა. რაც გულისხმობს უმაღლესი დაწესებულებების სრულ

ავტონომიურობას, პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე;

- შეიცვალა უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს შემადგენლობა. თუ ადრე საბჭო დაკომპლექტებული იყო უნივერსიტეტს შიგნით არსებული პერსონალით, ასევე გარეშე სამთავრობო და არასამთავრობო პირებით, რეფორმის შემდეგ აღარაა სავალდებულო საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ გარე პირები.

ბოლო დროის რეფორმებს ფინეთში უმაღლესი განათლების სექტორის განვითარება მოჰყვა. რეფორმებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოაპოვებინა ავტონომიურობა, შეცვალა უნივერსიტეტის ურთიერთობები სახელმწიფოსთან და გააუმჯობესა მმართველობითი სისტემა.

შემდეგი ქვეყნის მაგალითი, რომელსაც განვიხილავთ ინგლისია. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სექტორთან დაკავშირებული ცვლილებები გამოწვეული იყო ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში არსებული გადრეწვებით, რომელიც დაიწყო 1970-იან წლებში, ნეოლიბერალიზმის ეპოქაში. ცვლილებების განვითარების დინამიკა განხილულია ჰუგო რადისის (Hudo Radice) ნაშრომის მიხედვით.

1992 წლიდან ინგლისში უნივერსიტეტები და პოლიტექნიკური სასწავლებლები ერთმანეთს გამოეყო, პროფესიული სასწავლებლების ნაწილი მათ შეუერთდა, ნაწილი კი, დაარსდა როგორც უმაღლესი სასწავლებელი. საუკუნის ბოლოს, უმაღლესი განათლება ინგლისში სრულად დაექვემდებარა უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოს. 2018-2019 წლების მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში 165 უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტია, განათლებას კი 2 მილიონზე მეტი სტუდენტი იღებს.

უნივერსიტეტების აკადემიურ კვლევით საქმიანობებს კომპლექსური სტრუქტურა აქვთ და ოთხი სისტემური მიმართულებით ხორციელდება: პირველი საჯარო კვლევითი ინსტიტუტებია, რომელსაც კვლევის მრავალფეროვანი სფერო აქვთ არჩეული და ექვემდებარება სამინისტროებსა და პარლამენტს; მეორე კვლევითი საბჭოა, რომელიც მთავრობამ დაარსა და აფინანსებს მკვლევრების ან მათი ჯგუფების

კვლევით პროექტებს; მესამე უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურული კვლევების დაფინანსების მიმართულებაა; მეოთხე კი, კერძო სექტორიდან კვლევითი დაფინანსებების მოპოვება. ეს შესაძლებლობები მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევის შედეგებით სარგებლობს როგორც სამთავრობო, საჯარო, ასევე კერძო სექტორი.

კიდევ ერთი ქვეყანა, რომლის მაგალითსაც ჩერნოშტანისა და გრიჩივას (Chernoshtan & Griciva) ნაშრომის საფუძველზე განვიხილავთ ლატვიაა. დღეისათვის ლატვიას ბოლონიის პროცესებში 24 წლიანი მონაწილეობის გამოცდილება აქვს, თავდაპირველ ეტაპზე კი, ბოლონიის პროცესის შედეგად გატარებული რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის მოპოვება. ავტონომიურობა უნივერსიტეტებს მიენიჭათ უპირობოდ, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სრული პასუხისმგებლობის აღებას განათლების ხარისხსა და დაინტერესებული მხარეების წინაშე.

ლატვიაში უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში ერთმანეთს გამოეყო უმაღლესი და პროფესიული განათლება. აკადემიური პროგრამები დაიყო საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებად და მათი დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭათ შესაბამისი ხარისხი. ასევე შესაძლებელი გახდა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება და 2000-2001 წლებისთვის ქვეყანაში 14 უმაღლესი კერძო სასწავლებელი ფუნქციონირებდა, რომელთა სტუდენტების 80% ლატვიელი იყო.

აკადემიური პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტებისათვის არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. შესაბამისად, ლატვიის განათლების სისტემისათვის გამოიყოფა სტრატეგიული განვითარების ორი მიმართულება – პირველი და მთავარი ეს არის საგანმანათლებლო და სამეცნიერო და მეორე, მატერიალური თუ სხვადასხვა სახის რესურსების მხარდაჭერა.

საბოლოო ჯამში, დღევანდელი სამყაროს სწრაფად განვითარებად გარემოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ შინაგან მდგომარეობაზე, არამედ გრძელვადიანი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს დროულ ადაპტირებას გარემოს მუდმივ ცვლილებებთან. გარემოსთან ადაპტაცია არის ნებისმიერი სისტემის წარმატებული ფუნქციონირების მთავარი პირობა.

სანამ ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის პრაქტიკას მიმოვიხილავთ, მოკლედ შევეხოთ გერმანიის მაგალითს ჰუთერისა და კრუქენის (Hüther & Krücken) ნაშრომის ანალიზზე დაყრდნობით. გერმანიაში გვხვდება როგორც საჯარო, ისე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. 2015 წლისთვის ქვეყანაში 427 საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, აქედან 270 საჯარო, 157 კი – კერძო. კერძო ინსტიტუტებში, ძირითადად, ვხვდებით გამოყენებითი მეცნიერების სპეციალიზებულ პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების 93% პროცენტი სწავლობს საჯარო უნივერსიტეტებში.

გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ფედერალური სისტემის ნაწილია. როგორც ცნობილია გერმანია 16 ფედერალურ მხარედ არის დაყოფილი. მთავრობა მეორახარისხოვან როლს თამაშობს უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირებაში. ის აფინანსებს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და პროგრამებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მხარეებისთვის დაფინანსების ეს პროგრამა მისაღები იქნება. გერმანიის უნივერსიტეტებისათვის პრიორიტეტულია სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა. იმისათვის, რომ კონკრეტულმა უნივერსიტეტმა ადგილი დაიკავოს ამერიკისა და ევროპის სხვა ელიტურ უნივერსიტეტებს შორის, მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა და მეცნიერების პოპულარიზაცია.

ახლა კი, მიმოვიხილოთ უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოს მაგალითზე განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგანტოს (EACEA) მიერ შემუშავებული დოკუმენტის ანალიზზე დაყრდნობით. 2004 წლის დეკემბერში „უმაღლესი განათლების შესახებ“ მიღებული საქართველოს კანონით რეფორმების სამართლებრივი



საფუძვლები შეიქმნა. განისაზღვრა უმაღლეს განათლებაში ჩართული ყველა რგოლის როლი და პასუხისმგებლობა, უმაღლესი განათლების საფეხურები, განათლების მიღების წესები, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცედურები და ა.შ.

განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ერთ-ერთი პრიორიტეტი უწყვეტი სწავლის განვითარებაა. უწყვეტი განათლების ასპექტები სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტშია ასახული, მათ შორის სამთავრობო პროგრამასა და კანონში უმაღლესი განათლების შესახებ.

საქართველოში 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათგან 55 უნივერსიტეტი კერძო სექტორს განეკუთვნება. უმაღლესი სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებასა და ფუნქციონირებას მონიტორინგის უწევს საქართველოს განათლების ხარისხისა და მართვის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის მართვის კრიტერიუმები ყველა დაწესებულებისთვის ერთნაირია. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამ ტიპს ვხვდებით: კვლევითი უნივერსიტეტები (მათ შორის აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება აქვთ); სასწავლო უნივერსიტეტები (I და II საფეხურის შესაბამისი სწავლების განხორციელების უფლება) და პროფესიული სასწავლებლები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის პრინციპი გათვალისწინებულია საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და აღიქმება, როგორც უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი.

საქართველოში უმაღლესი განათლება ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლების განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსს და სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს. არსებობს უმაღლესი სასწავლებლების სამი სამართლებრივი ფორმა, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი და არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ააიპ) (უკანასკნელი შეიძლება დააარსოს სახელმწიფომაც). კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. სახელმწიფოს აქვს

გარკვეული უფლებამოსილებები უმაღლესი განათლების სფეროში, კერძოდ:

- საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მენეჯმენტის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს;
- საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს სახელმწიფო განათლების გრანტის ოდენობას და ადგენს სოციალურ და სახელმწიფო პროგრამებს უმაღლესი განათლების სფეროში. მთავრობას შეუძლია ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად უსდ-ების ჩამოყალიბება. პრემიერ მინისტრი ნიშნავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორებს;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ერთიან პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში, შეიმუშავებს საბაზისო დოკუმენტებს, რომელიც ასახავს უმაღლესი განათლების სისტემაში გამოყენებულ ინდიკატორებს და გვთავაზობს სახელმწიფო განათლების გრანტების ოდენობას;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს გარე ხარისხის გარანტიას.

უმაღლესი განათლების რეფორმების სხვადასხვა ასპექტის ინიცირება შესაძლებელია უშუალოდ უსდ-ების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სხვა შემთხვევაში ორგანიზაციებს ან უმეტეს შემთხვევაში, თავად მთავრობის მიერ. თუმცა, პროცესის მთავარი წარმართველი აუცილებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს პარლამენტია (კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი).

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად პრიორიტეტებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების სისტემის მონიტორინგსა და სამართლებრივი აქტების მომზადებას, ცვლილებების შეტანას კანონში და მათი საპარლამენტო კომიტეტისთვის წარდგენას უზრუნველყოფს. განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავებაზეა პასუხისმგებელი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტონომიურობის ფარგლებში შეუძლიათ შეიმუშავონ და დაამტკიცონ კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის პოლიტიკა, კადრების მიღების წესი, აირჩიონ მმართველი ორგანოები და განკარგონ მათი ფინანსები და ბიუჯეტი.

## **უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები**

უმაღლესი განათლების ხარისხიანად განხორციელების აუცილებელი წინაპირობა მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის არსებობაა. იმისათვის, რომ კვალიფიციურ კადრებს ჰქონდეთ მაღალი მიჯაჭვულობის ხარისხი კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და ზოგადად, აკადემიურ სფეროსთან, ორიენტირებულები იყვნენ პირადი პოტენციალის სრულ რეალიზებაზე, მნიშვნელოვანია არსებობდეს კარიერული განვითარების ხელშეწყობის სისტემა, აკადემიური შვებულება, განუული სამუშაოს ადეკვატურად ანაზღაურების სქემა, საპენსიო პოლიტიკა და სხვა.

დღევანდელი გადმოსახედიდან აკადემიური კარიერის განვითარების შესაძლებლობები არც ისე ფართეა, განსაკუთრებით კარიერის საწყის ეტაპზე მყოფი პირებისათვის. აკადემიური პერსონალის კარიერული განვითარების ზრდის ხელშეწყობას არეგულირებს თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რაც კარგი პრაქტიკაა აკადემიური პერსონალის წახალისებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობისათვის.

საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი გამოწვევა განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე პირებისათვის ხარისხიანი განათლების თანაბარხელმისაწვდომობაა, რაც ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების განხორციელების სირთულით და მეორე მხრივ, სპეციალისტთა ნაკლები კვალიფიკაციითა და ხელმისაწვდომობითაა განპირობებული.

პირებს, რომლებთაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, ფიზიკური, მეტყველების, სმენისა და მხედველობის სირთულეების მიმართულებით, აქვთ შესაძლებლობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგის-

ტრაციისას მიუთითონ შესაბამის ველში მათი დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ ინფორმაცია და წარადგინონ სამედიცინო ცნობა (ფორმა №IV-100/ა). ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხდება მხოლოდ სასწავლო გარემოს მორგება/ადაპტირება, დროის გაზრდა და სხვა დამხმარე მექანიზმების გამოყენება პირის საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, შინაარსთან დაკავშირებული საკითხების მოდიფიცირება არ ხდება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების შემდეგ, დაწესებულება ზრუნავს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნაზე. იქნება ეს ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, ტაქტილური ბილიკი, მასალის გაზრდილი შრიფტით მიწოდება, აუდიო მასალის გამოყენება და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინკლუზიური განათლების ეფექტიანი განხორციელება უმაღლესი განათლების საფეხურისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

2021 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ მეცნიერ-მკვლევრებს შორის არ არის დაცული გენდერული ბალანსი. ქალების ნაკლებობაა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ტექნოლოგიები, ინჟინერია, STEM მიმართულება და მეცნიერება. ამ სქესის წარმომადგენლებს უფრო აქტიურად ვხვდებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გენდერულ როლებთან და პროფესიებთან დაკავშირებული სტერეოტიპები, რაც პროფესიის არჩევასა და კარიერის დაგეგმვაზე ახდენს გავლენას. გამოწვევაზე საპასუხოდ ეფექტიანი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული პოლიტიკის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე და დაამსხვრევს არსებულ სტერეოტიპებს.


როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ბოლონიის პროცესმა უნივერსიტეტების ერთიანი მართვის სისტემები გააჩინა, შეიქმნა კვალიფიკაციების ჩარჩო და დაარსდა განათლების ხარისხის მართვის დაწესებულებები. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე დაყრნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სისტემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასების მექანიზმია, რაც ბუნებრივია ვერ იქნება უნივერსიტეტის მართვის პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობა და ვერ ჩაანაცვლებს ხარისხის

შიდა შეფასების მექანიზმების მნიშვნელოვნებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საჯარო თუ კერძო უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ და დანერგონ ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები, ეს შეიძლება იყოს დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი და მისი ანალიზი ან საუნივერსიტეტო სფეროთი დაინტერესებული პირების გამოკითხვა.

უმაღლესი განათლების კიდევ ერთი გამოწვევა საფეხურებს შორის კავშირის ნაკლებობაა, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის ეფექტიან განხორციელებას უშლის ხელს. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს განათლების სხვადასხვა საფეხურს შორის გადასვლის მოქმედი სისტემები.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობაა მნიშვნელოვანი. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე სკოლამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა ინტერესების კვლევას, მათ დაკავშირებას არსებულ შესაძლებლობებთან, დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზებას და ამ პროფესიის სწავლების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაცნობას. ამ მიმართულებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაძლებელია უზრუნველყოს მოსწავლეთა ინფორმირება უსდ-ების ღია კარის დღეების შესახებ, ასევე უმასპინძლოს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, რომელთა მიზანია უნივერსიტეტების პოპულარიზაცია და განხორციელებული პროგრამების აბიტურიენტებისთვის წარდგენა. თითოეული ეს აქტივობა მოიაზრებს მცდელობას, აბიტურიენტებს ხელი შეეწყოს ზოგადი განათლების საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე ტრანზიციის (გადასვლის) პროცესში. *(ქვეთავში განხილული გამოწვევები და გადაჭრის გზები უმეცესწიდაე ყყხნობა საქათვედროს განათლებისა და მეცნიერების ეხოვნუდ სტრატეგიას 2022-2030).*






მეორე ნაწილი

სწავლა-სწავლების პროცესის  
ხელშემწყობი ფაქტორები  
უმადლესი განათლების  
საფეხურზე

## თავი 4. სტუდენტის მოტივაციის ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა

### მოტივაციის არსი და მნიშვნელობა

ცხილი 7: კავშირი მოტივაციას, ჩაბრუნებასა და შედეგებს შორის



მოტივაცია არის კარგი სწავლების როგორც პროდუქტი, ისე მისი წინაპირობა. მოტივაცია განსაზღვრავს იმას, თუ რა ხარისხით აპირებს ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში კი სტუდენტი კონკრეტულ აქტივობაში ჩართულობას. ჩართულობის შემთხვევაში სტუდენტის მოტივაცია შესაძლოა გაიზარდოს, შემცირდეს ან დარჩეს იგივე, იმ ხარისხის მიხედვით თუ როგორ ერთვება ის საქმიანობაში და/ან დავალების შესრულების პროცესში. ჩართულობა პირდაპირ გავლენას ახდენს შედეგებზე, როგორცაა სწავლა და შესრულება (ცხილი 7), რაც დემონსტრირებულია ბრეტ ჯონსის (Brett D. Jones) ნაშრომში.

სტუდენტები არიან მოტივირებულები, როდესაც სასწავლო გარემო მათ ჩართულობისაკენ მოუწოდებს და ასევე ქმნის კლიმატს, სადაც მათი გააქტიურებაა შესაძლებელი. ბრეტ ჯონსმა (Brett D. Jones) მიმოიხილა



მოტივაციის შესახებ არსებული კვლევები და თეორიები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და შემოგვთავაზა ის კომპონენტები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვას და მოტივაციის აღძვრას. ესენია: გაძლიერება, სარგებლიანობა, წარმატება, ინტერესი და ზრუნვა. მოდელი ცნობილია MUSIC მოდელის სახელწოდებით, რომელიც ინგლისურ ენაზე ამ სიტყვების აბრევიატურასთანაა დაკავშირებული. მოდელი შეიქმნა ფსიქოლოგიის, განათლებისა და მოტივაციის სფეროების ანალიზის შედეგად. ავტორის მხრიდან ძირითადი კომპონენტები გაერთიანდა მსხვილ და მრავლისმომცველ სიტყვებში.

ცხილი 8: MUSIC მოდელის კომპონენტები



MUSIC მოდელი შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი ძირითადი პრინციპისგან. ლექტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტები:

1. გრძნობდნენ **ძალას (eMpowerment)**, რომ აქვთ უნარი მიიღონ გადაწყვეტილება სწავლის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. თუ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს როგორ მიაღწევს კურსის სწავლის შედეგებს, შეუძლია აკონტროლოს როგორ ისწავლის კურსის ძირითად შინაარსს და აქვს მოქნილობის შესაძლებლობა დავალებების შესრულების კუთხით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კომპონენტის დონეზე ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტის მოტივაციის აღძვრას.

2. აცნობიერებდნენ, რატომ არის ის, რასაც ისინი სწავლობენ **სასარგებლო (Useful)** მათი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი მიზნებისთვის. თუ სტუდენტს აქვს განცდა, რომ კურსის ფარგლებში შეთავაზებული დავალებები მისთვის სასარგებლოა და გამოიყენებს პრაქტიკასა და პროფესიაში; თუ სტუდენტს აქვს განცდა, რომ შეთავაზებული დავალებები დაეხმარება მას მომავალში პროფესიის თვალსაზრისით და ის ცოდნა, რასაც კურსის მანძილზე იღებს მისი წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაშინ ამ კომპონენტის დაცვით ლექტორი ასევე ხელს უწყობს სტუდენტის მოტივაციის აღძვრას.
3. სჯეროდეთ, რომ **წარმატებას (Success)** მიაღწევენ, თუ საჭირო ძალისხმევას გამოიჩინენ. თუ სტუდენტი თავდაჯერებულია, რომ მას დავალების შესრულებისას შეუძლია მიაღწიოს წარმატებას, აქვს განცდა რომ შეუძლია გაუმკლავდეს კურსის ფარგლებში არსებულ აკადემიურ გამოწვევებს და აქვს რესურსი მიიღოს მაღალი შეფასებები კურსში, გამოდის რომ ლექტორი მხარს უჭერს სწავლის მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებას.
4. **დაინტერესებული (Interest)** არიან შინაარსითა და სასწავლო აქტივობებით. ეს კომპონენტი შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ კურსის ფარგლებში შეთავაზებული აქტივობები სტუდენტებისათვის საინტერესოა. თუ აქტივობა იპყრობს სტუდენტის ყურადღებას მაშინაც კი, როდესაც ის გაფანტულია და სხვა რამეზე ფიქრობს. ასევე თუ სწავლებისას გამოყენებული მეთოდები სტუდენტის შესაძლებლობების შესაბამისია და დავალებები სასიამოვნოდ შესასრულებელია.
5. თვლიდნენ, რომ სასწავლო გარემოში მყოფი სხვა პირები, მათ შორის, ლექტორი და სხვა სტუდენტები, **ზრუნავენ (Caring)** თავიანთ სწავლაზე და ერთმანეთზე, როგორც პიროვნებაზე. ეს კომპონენტი სრულდება და ლექტორი სტუდენტის მოტივაციას აღძრავს მაშინ, თუ ის არის სტუდენტის მხარდამჭერი, საჭიროებისამებრ, ეხმარება სტუდენტებს, პროცესში მუდმივად ამოწმებს როგორ ასრულებენ დავალებას, პატივს სცემს მათ და აქვს მეგობრული დამოკიდებულება.

მოტივაციის განსაზღვრება განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული სხვადასხვა სახელმძღვანელოსა და თეორიაში. მათ შორისაა

მაირონ დემბოსა და ჰელენა სელის (Myron H. Dembo & Helena Seli) ნაშრომში მოცემული მოტივაციის გაგება, რომ „ეს არის შინაგანი პროცესი, რომელიც ჩვენს ქცევას ენერჯიასა და მიმართულებას აძლევს“. ეს შინაგანი პროცესი მოიცავს ჩვენს მიზნებს, რწმენებს, აღქმასა და მოლოდინებს.

მერისა & მეიერის (Maehr & Meyer) თითქმის მსგავსი, თუმცა ოდნავ მოდიფიცირებული განსაზღვრების მიხედვით, მოტივაცია არის თეორიული კონსტრუქტი, რომელიც გამოიყენება მიზანმიმართული ქცევის დაწყების, მიმართულების, ინტენსივობის, გამძლეობისა და ხარისხის ასახსნელად. მოტივი არის ჰიპოთეტური კონსტრუქტი, რომელიც არის მცდელობა ავხსნათ, თუ რატომ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ. მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მიზანი და მოტივი. მოტივები არის შედარებით ზოგადი მოთხოვნილებები ან სურვილები, რომელიც ძალას აძლევს ადამიანებს წამოიწყონ მიზანმიმართული მოქმედებები და მიყვნიენ მათ თანმიმდევრულად, ამის საპირისპიროდ, მიზნები (და მასთან დაკავშირებული სტრატეგიები (მიზნების მისაღწევად და ამგვარად, მოტივების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული მეთოდები)) უფრო სპეციფიკურია და გამოიყენება კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედებების თანმიმდევრობის მიმართულებისა და ხარისხის ასახსნელად. მაგალითად, ადამიანი შიმშილს (მოტივი) პასუხობს რესტორანში წასვლით (სტრატეგია) და იქ საკვების მიღებით (მიზანი).

სტუდენტის მოტივაციის ცნება გამოიყენება იმის ასახსნელად, თუ რამდენად იჩენენ ისინი ყურადღებასა და ძალისხმევას სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას, რაც შეიძლება იყოს ან არ იყოს სასურველი მათი ლექტორებისათვის. სტუდენტის მოტივაცია ემყარება მის სუბიექტურ გამოცდილებას, განსაკუთრებით იმ გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო აქტივობებში ჩართვის სურვილთან და მიზნებთან.

## მოტივაციური ფაქტორები

დღემდე აქტიური კვლევის საგანია ის, თუ რა არის სტუდენტის მოტივი უნივერსიტეტში სწავლისას. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ,

რა აღძრავს სტუდენტების მოტივაციას და მეორე, გავერკვეთ გარეგან და შინაგან მოტივაციას შორის არსებულ განსხვავებებში. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რომელიც ფრაის, კეტერიჯისა და მარშალის (Fry, Ketteridge & Marshali) ნაშრომშია განხილული ამ კითხვაზე პასუხის მოპოვების მიზნით სტუდენტებს ეკითხებოდნენ რა იყო ერთადერთი მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც ისინი სწავლობდნენ უნივერსიტეტში. მიღებული პასუხები იყო ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული, თუმცა მკვლევრებმა დააჯგუფეს ისინი სამ ძირითად კატეგორიად და მიიღეს შემდეგი სურათი: „მიზნების მიღწევის შესაძლებლობა“, „პიროვნული განვითარება“ და „დროებითი მიზანი“. კვლევაში მონაწილეობდა 1000-მდე სტუდენტი, მიღებული შედეგები უფრო კონკრეტულად მოცემულია ცხრილის (ცხრილი 9) სახით.

ცხრილი 9: სტუდენტის სწავლის მიზეზები (კვლევის შედეგები)

<b>დროებითი მიზანი</b>	10%
დავალების თავიდან არიდება სიზარმაცე სტუდენტური ცხოვრება გართობა და სიაშოვნება	
<b>მიზნის მიღწევის შესაძლებლობა</b>	66%
ცხოვრების დონის გაუმჯობესება სამუშაოს პოვნის შესაძლებლობის ზრდა კარიერის განვითარება პარტი კვალიფიკაციის მიღება	
<b>პიროვნული განვითარება</b>	24%
ცხოვრებისეული უნარების გაუმჯობესება პირადი პოტენციალის რეალიზება ცოდნის მოპოვება საკუთარი თავისთვის აკადემიური ინტერესების გაღრმავება საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის მოპოვება	

პირველ კატეგორიაში მოხვედრილი სტუდენტები (10%) სწავლობდნენ, რადგან არ იცოდნენ სხვა რა შეიძლება ეკეთებინათ ან უბრალოდ უნდოდათ სწავლის პერიოდით სიამოვნების მიღება. იმ სტუდენტებს, რომლებიც მიზნის მიღწევის კატეგორიაში ერთიანდებიან სურთ მოპოვებული ხარისხით რაიმის მიღწევა, ეს შეიძლება იყოს უკეთეს ანაზღაურებადი

სამსახური ან უბრალოდ კვალიფიკაცია. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სტუდენტებს ჰქონდათ თავად საგნის და პროფესიის ინტერესი და სურვილი, რომ მოპოვებული ხარისხი გამოეყენებინათ პოტენციალის რეალიზებისთვის ან პირადი უნარების განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევის განზოგადება ფართო პოპულაციაზე ვერ მოხდება, აღსანიშნავია ის, რომ კვლევის შედეგად გამოყოფილი კატეგორიები მსგავსია სხვა კვლევებში გამოყოფილი კატეგორიებისა.

სტუდენტებს შორის მოტივაციის თვალსაზრისით არსებული ძირითადი განსხვავება უკავშირდება სხვაობას შინაგან და გარეგან მოტივაციას შორის. შინაგანი მოტივაციის ქონის დროს სტუდენტები სარგებლობენ გამონწვევით, სურთ დაეუფლონ საგანს, არიან ცნობისმოყვარეები და სურთ ისწავლონ მეტი, ხოლო გარეგანი მოტივაციის მქონე სტუდენტებს აწუხებთ მიღებული შეფასებები, გარე ჯილდოები და ის, მიიღებენ თუ არა სხვათა მოწონებას. აშკარაა, რომ შინაგანი მოტივაცია მჭიდროდ შეესაბამება პიროვნულ განვითარებას მაშინ, როცა გარეგანი მოტივაცია მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ჯონ ბიგსი და კატერინა თანგი (John Biggs & Catherine Tang) თავის ნაშრომში აღნიშნავენ, რომ ინტრინსიკული მოტივაცია აკადემიური იდეალია, თუმცა უფრო იშვიათად ვხვდებით პრაქტიკაში. სტუდენტები სწავლობენ, რადგან ისინი დაინტერესებულნი არიან თავად დავალებით ან აქტივობით. ისინი ასრულებენ დავალებებს ინტელექტუალური სიამოვნებისთვის და არ აქვთ რაიმე ჯილდოს მოლოდინი. შინაგანი მოტივაცია განაპირობებს სწავლისადმი სიღრმისეულ მიდგომას და საუკეთესო აკადემიური მუშაობის წინაპირობაა. შინაგან მოტივაციას აძლიერებს არსებული გამოცდილება წარმატების მიღწევის კუთხით. თუმცა ის ფაქტი, რომ ბევრ სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონოდა წინარე ჩართულობა საგანში ან საგნის კონტექსტში, არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ განუვითარდებათ შინაგანი ინტერესი ამ საკითხისადმი. მაგალითად, ინტერესი ისეთი საგნების მიმართ, როგორცაა ფსიქოლოგია ან სოციოლოგია (საგნები, რომლებიც შეიძლება ადრე შესწავლილი არ იყო) აღიძვრება ცნობისმოყვარეობისა და არაფორმალური გამოცდილებიდან ან კიდევ, კარიერული გეგმებიდან გამომდინარე.

გარეგან მოტივაციასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც სტუდენტები ასრულებენ დავალებას იმ ღირებულების ან მნიშვნელობის გამო, რაც მათ მოუტანთ სასურველ შედეგს, ეს შეიძლება იყოს მატერიალური ჯილდო, ან რაიმე უარყოფითისგან თავის არიდება, როგორცაა სასჯელი, რომელიც მოჰყვება წარუმატებლობას ან ნაკლებ ჩართულობას. გარეგანი მოტივაციის პირობებში სწავლის ხარისხი ჩვეულებრივ დაბალია. სტუდენტის ყურადღება არ არის კონცენტრირებული იმდენად დავალებაზე, რამდენადაც მის შედეგებზე.

შინაგანი მოტივაციის მქონე სტუდენტებს შეიძლება მოეთხოვოს, რომ ჰქონდეთ კონკრეტულ მასალაზე/შინაარსზე უფრო ხარისხიანი და სიღმისეული წვდომა, ვიდრე გარეგანი მოტივაციის მქონე სტუდენტებს. შინაგანად მოტივირებული სტუდენტები შესაძლოა უფრო მდგრადი იყვნენ ცუდი ნიშნის ფონზე იმედგაცრუების მიმართ მაშინ, როცა გარეგანი მოტივაციის მქონე სტუდენტები ხასიათდებიან უფრო ზედაპირული მიდგომებით სწავლისადმი.


სტუდენტებს შორის მოტივაციის კუთხით განსხვავებას ასევე განაპირობებს ის მიზანი, რომელიც მათ ამოძრავებთ, ეს შეიძლება იყოს შესრულების მიზნები ან სწავლის მიზნები. სტუდენტები, რომლებსაც აქვთ შესრულების მიზნები, მოტივირებულნი არიან, პირველ რიგში, კარგი ნიშნების მოპოვებით და სხვებთან შედარებით უკეთესი შედეგების მიღწევით, ხოლო სწავლაზე ორიენტირებულ სტუდენტებს სურთ რეალურად ისწავლონ საგნის შინაარსი. შესრულების მიზნები დაკავშირებულია მიზნის მისაღწევ საშუალებებთან (და გარეგან მოტივაციასთან), ხოლო სასწავლო მიზნები დაკავშირებულია პიროვნულ განვითარებასთან (და შინაგან მოტივაციასთან).

მოტივაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია შევხვით დემოტივაციის ცნებასაც. დეცის (Deci) მიხედვით სტუდენტები, რომლებმაც არ იციან, რატომ არიან უნივერსიტეტში, თავს არაკომპეტენტურად თვლიან და გრძნობენ, რომ ნაკლებად აკონტროლებენ რა ხდება მათ თავს სწავლის ასპექტით, ავლენენ მოტივაციის ნაკლებობას.

როგორ მოტივაციის განმარტებისას აღვნიშნეთ, მას აქვს ძალა და მიმა-

რთულეა. ამ ფაქტორების არსებობა ნიშნავს, რომ იდენტური მიზნების მქონე სტუდენტებსაც კი შეიძლება ჰქონდეთ მოტივაციის ძალიან განსხვავებული პერსპექტივები. მაგალითად, განვიხილოთ ორი სტუდენტი, რომელთა სწავლის მთავარი მიზანი უკეთესი სამუშაოს პოვნაა. ერთისთვის ეს მიზანი ცხოვრებისეული და გულწრფელი ამბიციაა, ხოლო მეორესთვის წარმავალი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოტივები ერთი და იგივეა, ამ მოტივების განსხვავებულმა ინტენსივობამ და მიმართულებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ქცევითი შედეგი. მაგალითად, სტუდენტი, რომლისთვისაც ეს ყოველივე წარმავალი ინტერესია ადვილად დანებდენა სირთულეების და გამოწვევების არსებობის დროს, დაკარგავს ინტერესს, ხოლო ის, ვისაც გულწრფელად სურს მიზნის მიღწევა არ დანებდება და გამოავლენს გამძლეობას მიზნისკენ სავალ გზაზე.

ცხილი 10: მოტივაციის სახეები და სასწავლო მიზნები



კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც უნდა განვიხილოთ მოტივაციის კონტექტში არის მიღწევის მოტივაცია. ის არის ერთ-ერთ ძირითადი

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების სწავლის შედეგებზე. ჯონ ბიგსისა და კატერინა თანგის (John Biggs & Catherine Tang) ნაშრომში აღნიშნულია, რომ გარეგანი და შინაგანი მოტივაციის მქონე სტუდენტებს შეიძლება ჰქონდეთ მაღალი ან დაბალი მიღწევის მოტივაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღწევის მოტივაცია მეტწილად არის მოტივაციის სიძლიერის საზომი და არა მისი მიმართულების.

მოტივაციის სპეციფიკური ტიპები და სწავლის სპეციფიკური მიდგომები, როგორც წესი, დაკავშირებულია ერთმანეთთან. შინაგანად მოტივირებული სტუდენტები მეტად იყენებენ სტრატეგიებს, რომლებიც შექმნილია მასალის კონცეპტუალური გაგების გასავითარებლად, ვიდრე გარეგანი მოტივაციის მქონე სტუდენტები, ისინი მიმართავენ მასალის გამეორების სიხშირის ზრდას ზედაპირულ დონეზე მისი დამახსოვრების მიზნით. შინაგანი მოტივაციის მქონე სტუდენტები ცვლიან მიდგომებსა და სტრატეგიებს გარემოებების მიხედვით. მაგალითად, თუ ისინი შეაფასებენ, რომ ზედაპირული მიდგომა აუცილებელია ერთ სიტუაციაში, გამოიყენებენ მას, მაგრამ სხვებში შეიძლება გამოიყენონ მასალის სიღრმისეულად დამუშავების მიდგომა. თუ სტუდენტი თვლის, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მაღალი ქულების მიღება, ის თავის სწავლის სტრატეგიას ადაპტირებას გაუკეთებს ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ მიზნის მისაღწევად. მიღწევის მოტივაცია ხასიათდება, როგორც მაღალი ქულების მიღების სურვილი მაშინაც კი, როდესაც შესასრულებელი დავალება არ იწვევს ინტერესს.

## მოტივაციის შექმნის შესაძლებლობები

ლექტორები ხშირად წუწუნებენ სტუდენტების მოტივაციის ნაკლებობაზე და სვამენ კითხვას „რა შეგვიძლია გავაკეთოთ სტუდენტების სწავლის მოტივაციის გასაუმჯობესებლად“? ბუნებრივია, ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ რა მიმართულებასაც არ უნდა ეხებოდეს დემოტივაცია, ნებისმიერ შემთხვევაში არასასურველია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოტივაციის სწრაფად, ერთ ცდაზე გაჩენა არ ხდება. სანამ მიზანმიმართული აქტივობების განხორციელებას დავიწყებთ, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, კონკრეტულად პროცესის/დავალების რა ასპექტებზეა საჭირო სტუდენტის მოტივაცია, რომ შესაბამისად განვსა-



ზღვროთ პრიორიტეტები და გადავდგათ თანმიმდევრული ნაბიჯები. მოტივაციის აღძვრის საკითხის განხილვისას პროფესორთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ შინაგანი მოტივაციის აღძვრაზე მუშაობა უფრო სასურველი და პრიორიტეტულია, ვიდრე გარეგან მოტივაციაზე ზრუნვა.

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც მოტივაციის „საპირისპირო“ ფორმები, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული გავლენა აქვს სწავლაზე. კერძოდ, ერთი ასოცირდება შედარებით ზედაპირულ, მეორე კი მაღალხარისხიან და სიღრმისეულ სწავლასთან. შესაბამისად, ჩნდება კითხვა გვაქვს თუ არა საქმე ორ განსხვავებულ ფენომენტთან? განვიხილით მაგალითი, რომელიც ადასტურებს, რომ ერთსა და იმავე სიტუაციაში სტუდენტს შესაძლებელია ერთდროულად ამოძრავებდეს მოტივაციის ორივე სახე. მაგალითად, შინაგანი მოტივაციის ფარგლებში სტუდენტს აქვს კონკრეტული საგნის და პროფესიისადმი დიდი ინტერესი, აანალიზებს რა ამ საკითხის შესწავლის საჭიროებას მისი პიროვნული და პროფესიული განვითარების კონტექსტში და ამავდროულად, სურს გახდეს უნივერსიტეტის სტიპენდიანტი. ამ შემთხვევაში მოტივაციის ერთი სახის არსებობა მეორეს ხელს სულაც არ უშლის.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ლექტორებს უჩნდებათ შემდეგი შინაარსისაა – თუ სტუდენტი ჯერ კიდევ არ თვლის დავალებას მნიშვნელოვანად, როგორ დავეხმაროთ მის შესრულებაში? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ შევუწყოთ ხელი სტუდენტებში შინაგანი მოტივაციის განვითარებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ განვიხილოთ ის, თუ რა მიდგომები აქვს ლექტორს სასწავლო კურსში ისეთი, რომელიც გარეგან მოტივაციასთანაა დაკავშირებული. ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ სტუდენტები დახარჯავენ დროს თემის შესწავლაში, თუ ფიქრობენ, რომ ის არ იქნება შეფასებული. თუ თემის დამუშავება მხოლოდ ქულობრივად ფასდება ეს არის „საუკეთესო“ შესაძლებლობა გავაუფასუროთ ეს თემა, საკითხი და ზოგადად, საგანიც კი. გამართულ საგანმანათლებლო სისტემაში მსგავს პრაქტიკას არ ვხვდებით. რეალური ერთადერთი მიზანი, რის გამოც თემა შეიძლება შეფასდეს არის ის, რომ ეს თემა მონაწილეობს წინასწარ გასაზღვრული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევაში. სწავლის შედეგებში თემის არსებობა კი, უკვე პირდაპირ მიუთითებს მის ღირებულებაზე.

დავუბრუნდეთ მოტივაციის გაჩენის ხელშემწყობი ფაქტორების განხილვას. პირველი კითხვა, რომელსაც უნდა ვუპასუხოთ არის – როგორ ავირიდოთ თავიდან სტუდენტის დემოტივაცია? ზოგიერთი სტუდენტისთვის ეს თითქმის შეუძლებელი იქნება, რადგან ისინი შესაძლოა უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ სოციალური ცხოვრებით ტკობის მიზნით მოხვდნენ. ასევე, არსებობს ხედვა იმაზეც, რომ შესაძლებელია ლექტორის ქმედებამაც განაპირობოს სტუდენტის დემოტივაცია. მოტივაციის დაკარგვის წინაპირობა შეიძლება იყოს ქულა, უკუკავშირის ნაკლებობა, სტუდენტთა ინტერესის გაუთვალისწინებლობა. თუ სტუდენტი ხედავს, რომ არ არსებობს კავშირი მის დავალების შესრულებაზე გაღებულ ძალისხმევასა და მიღებულ ქულას შორის, ესეც დემოტივაციის წინაპირობაა. შესაბამისად, დემოტივაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა დავრწუნდეთ იმაში, რომ სტუდენტებმა მიიღეს სრული და ამომწურავი უკუკავშირი შესრულებულ დავალებასთან მიმართებით. ზოგჯერ ლექტორები ამბობენ, რომ მსგავს უკუკავშირს სჭირდება ძალიან დიდი დრო და თუ ლექტორისთვის ამ დროის გამოყოფა და უკუკავშირისთვის დათმობა შეუძლებელია, მაშინ მათ უნდა გადახედონ შეფასების სისტემებს და შეიტანოს ცვლილებები, რადგან დამატებითი დროითი ფაქტორის თავიდან არიდება არ უნდა იყოს დემოტივაციის წინაპირობა. როგორც აღვნიშნეთ, დემოტივაციის წინაპირობა შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის ნაკლებობაა, ამ საკითხზე უფრო დეტალურად III ნაწილში ვისაუბრებთ და აქ თქვენს ყურადღებას სხვა ასპექტებზე გადავიტანთ.

მოტივაციაზე ზრუნვისას მეორე საკითხი არის ის, თუ როგორ უნდა წავახალისოთ შინაგანი და არა გარეგანი მოტივაცია. სტუდენტების სწავლისადმი მიდგომა და მათი მოტივები მეტწილად უმაღლესი განათლების სისტემის რიგი ასპექტებით განისაზღვრება, მათ შორის, მათი აღქმით ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის შესახებ, სადაც ისინი სწავლობენ და ზოგადად საუნივერსიტეტო სისტემით. სტუდენტების მოტივების შეცვლის მცდელობა ერთი სასწავლო კურსის ან კურსების სწავლების მეთოდის შეცვლით ნაკლებად სავარაუდოა რომ ეფექტიანი იქნება, რადგან საუნივერსიტეტო გარემოში ყველა სხვა ასპექტი იმუშავებს ამ ცვლილების წინააღმდეგ. თუმცა, არსებობს უმაღლეს განათლებაში ერთი ასპექტი, რომელიც, როგორც ჩანს, გადამწყვეტად მნიშვნელოვანია სტუდენტების მოტივაციაში, და ეს არის შეფასების სისტემა.

ის თუ როგორ იქნება აღქმული შეფასება სტუდენტების პერსპექტივიდან მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ლექტორზე. განვიხილოთ მაგალითი. ლექტორი ეუბნება თავის სტუდენტებს: „მომდევნო ორი კვირის განმავლობაში საკმაოდ არასასიამოვნო თემებს შევეხებით, შეიძლება ეს თემები თქვენ მომავალში არაფერში გამოგადგეთ, მაგრამ სილაბუსშია მოცემული და იძულებული ვართ განვიხილოთ“. ამის საპირისპიროდ, პროცესში ერთმა სტუდენტი აცხადებს, რომ ეს არის მისთვის ამ კურსში ყველაზე საინტერესო საკითხი და მის ირგვლივ მოხსენებას ამზადებს. მიუხედავად ლექტორის წინასიტყვაობისა, ამ სტუდენტს მან თემის ღირებულება ვერ დაუკარგა, რადგან მას ამ საკითხისადმი პირადი ინტერესები ამოძრავებდა. თუმცა ის სტუდენტი, რომელსაც ლექტორის სიტყვის გარდა სხვა ხელჩასაჭიდი სწავლისას არაფერი აქვს, ამ თემას განიხილავს როგორც უსარგებლოს და ჩათვლის რომ არ ღირს მისი სწავლა.

შესაბამისად, მაგალითიდან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ სოციალური მოტივაციის ძალაზე, როგორც ეფექტიან სტრატეგიაზე სტუდენტების მოტივირების მიზნით. ლექტორები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საგანი და მასში მოცემულ თემებს აჩვენებენ სტუდენტებს როგორც ძალიან საინტერესოსა და მნიშვნელოვანს, იგივე განწყობებს მოელიან სტუდენტებისგანაც. მაშასადამე, მოტივაციის გასაღები არის იმის უზრუნველყოფა, რომ აკადემიური აქტივობები იყოს აზრიანი და ღირებული. ეს ძალიან ნათლად ჩანს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლაში, სადაც რეალურ ცხოვრებაში პრობლემები ხდება კონტექსტი, რომელშიც სტუდენტები იაზრებენ აკადემიურ შინაარსს და ივითარებენ პროფესიულ უნარებს. მაგალითად, თუ ვხვდებით პაციენტს, რომელსაც აქვს ფეხის საეჭვო მოტეხილობა და მას სტუდენტები უნდა დაეხმარონ, ისინი შეისწავლიან ყველა საჭირო საკითხს, რომლითაც შეიძლება პაციენტისთვის დიაგნოზის დასმასა და შემდგომ მკურნალობას, ეს კი, აშკარად ღირებულ საქმიანობას წარმოადგენს მედიცინის პროგრამის სტუდენტისთვის.

სტუდენტები შესაძლოა იყვნენ შინაგანად მოტივირებულები მიიღონ საგნის ღრმა ცოდნა, თუმცა გამოცდის დროის მოახლოებასთან ერთად ისინი სულ უფრო მეტად გარეგანი სტიმულებით მოტივირებულები ხდებიან, იზეპირებენ მასალას კარგი ქულის მიღების მიზნით.

ამ ხედვის შეცვლის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს შეფასების სისტემის ცვლილება და გადასვლა სისტემაზე, რომელიც მეტად წაახალისებს კონცეპტუალურ გაგებას, ვიდრე დახეპირებულ სწავლას. მიუხედავად იმისა, რომ საგამოცდო ტესტში თემის/ესეს არსებობა ლექტორისთვის დამატებითი დროა მსგავსი მოცულობითი ნაშრომის გასასწორებლად, მიიჩნევა რომ ის სტუდენტის პერსპექტივიდან უფრო სწავლის ზედაპირულ მიდგომებზეა ორიენტირებული. ნაცვლად ამისა, ტესტში უნდა ვხვდებოდეთ მაგალითებს, სადაც საჭიროა პრობლემის შესწავლა, სიტუაციური ამოცანის ანალიზი და სხვა მსგავსი მეთოდები, სადაც მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება უნდა გამოჩნდეს და არა უბრალოდ მასალის დასწავლა.

რიგ შემთხვევაში ასევე ეფექტიანია ლექტორი ფლობდეს და იყენებდეს სხვადასხვა სტრატეგიას, რომელიც დაეხმარება სტუდენტების მოტივაციის დარეგულირებაში. აღსანიშნავია, რომ ეს სტრატეგიები ცვალებადია სტუდენტების ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მოცემული ამოცანის მიხედვით. მსგავს ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიებს შორის არის გარეგანი ჯილდოების შეხსენება (ჩვეულებრივ გამოცდის კარგად ჩაბარების აუცილებლობა), შემეცნებითი სტრატეგიები, როგორცაა ჩანაწერების კითხვა, ახალი ჩანაწერების მომზადება და გარემოს შეცვლა, რომელშიც სწავლა მიმდინარეობდა (მაგ., შესვენების გაკეთება ან უფრო წყნარ ოთახში გადასვლა). უცნობია, ამ სტრატეგიებიდან რომელია ყველაზე ეფექტიანი და ალბათ ეს ბუნებრივიცაა, რადგან სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე ვერ განისაზღვრება სტრატეგია, რომელიც თანაბრად ეფექტიანია ყველასთვის. მსგავსი სტრატეგიების გამოყენება სტუდენტს თავად შეუძლია იმისათვის, რომ გაზარდოს პირადი მოტივაცია სწავლისადმი, ეს კი მოტივაციის თვითრეგულირებაში დაეხმარება.

სწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს ისეთი კონსტრუქტები, როგორცაა თვითშეფასება, თვითრწმენა ანუ რწმენა იმისა, გვაქვს თუ არა ის თვისებები, რომელიც დაგვეხმარება დავალებებზე თავის გართმევაში და გვაქვს თუ არა სწავლის შესაბამისი უნარები, კომპეტენცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლის მოტივაციაზე საუბრისას ჩვენ განვა-სხვავებთ მოტივაციის ორ პატერნს, ერთი ეს არის ორიენტაცია

სასწავლო მიზნებზე, ანუ სწავლის მოტივაცია და ორიენტაცია პროცესზე ანუ შესრულების მიზნები. იმ სტუდენტებს, რომლებსაც ამოდრავებით სასწავლო მიზნებზე ორიენტაცია, სწავლობენ დახელოვნებისა და კომპეტენციის ზრდის მიზნით. ეს სტუდენტები მიდრეკილები არიან უნარების დაუფლებასა და ინტელექტის, აზროვნების განვითარებაზე. სტუდენტები ირჩევენ გამონვევის შემცველ დავალებებს და მოსწონთ სიძნელეების გადალახვა. მეორე მხრივ, შესრულების მიზანზე ორიენტირებული სტუდენტებისათვის კომპეტენციის ზრდა და დახელოვნება ნაკლებად მნიშვნელოვანია, მათთვის მთავარია თავიდან აირიდონ არასახარბიელო შეფასებები. ისინი ინტელექტს განიხილავენ როგორც რალაც ფიქსირებულს, მეტწილად, თავს არიდებენ რთულ დავალებებს და ასრულებენ ისეთს, რომელთა მიმართაც ფიქრობენ, რომ მათ შესასრულებლად საჭირო შესაძლებლობა აქვთ და შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას. შესაძლოა თავი აარიდონ რთულ დავალებებს, რომელთა შესრულებასაც სჭირდება გარკვეული ძალისხმევა და ეს არიდება დაუკავშირონ მათ დაბალ შესაძლებლობებს. მოტივაციის ეს მიზანი დაკავშირებულია გამონვევების თავიდან აცილებასთან და სირთულეების წინაშე უფრო ადვილად დანებებასთან.

ბუნებრივია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანია ისე დაგეგმოს პროცესი რომ ხელი შეუწყოს სააზროვნო უნარებისა და ინტელექტის განვითარების შესაძლებლობებს, ანუ ორიენტირება სწავლის მოტივაციაზე გააკეთოს. მნიშვნელოვანია თითოეულ სტუდენტს სჯეროდეს, რომ დავალებაზე თავის გართმევისთვის საჭირო უნარები არ არის თანდაყოლილი. ალბათ აუცილებელია სტუდენტების ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუპირისპირდნენ საკუთარ, ზოგჯერ წარუმატებელ მცდელობებს, დაეუფლონ იმას, რის სწავლასაც ცდილობენ. მეორე მხრივ კი, სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი არ არიან ისეთი კომპეტენტური რომელიმე საქმიანობაში, როგორც თავად წარმოედგინათ და მნიშვნელოვანია მეცადინეობა, ძალისხმევა, რომ განვითარდნენ.

იმისათვის რომ გავზარდოთ სწავლის მიზანზე ორიენტაცია და შევამციროთ შესრულების მიზნისაკენ სწრაფვა, მნიშვნელოვანია შევამციროთ სტუდენტების ინტელექტის ქება. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებები უნდა აღვნიშნოთ, მკაფიო ფრაზები, რომ ის არის „ჭკვიანი“, „მოქნილი“ ან მსგავსი, სავარაუდოდ წაახალისებს კომპეტენციების

შესახებ სუბიექტის ხედვას და შესრულების მიზნის ორიენტაციას. მეორე, ჩვენ უნდა ვეძებოთ შესაძლებლობები, რათა დავეხმაროთ სტუდენტებს თავიანთი წარმატებები და წარუმატებლობა მიაწერონ ძალისხმევას ან მის ნაკლებობას. მაგალითად, თუ სტუდენტის შესრულებულმა ნამუშევარმა პლაგიატის შემოწმების დროს აჩვენა მაღალი პროცენტი, მნიშვნელოვანია მან დაიწყოს ფიქრი გამოსწორების ალტერნატივებზე და დაგეგმოს ნაბიჯები ისე, რომ მიიყვანოს წარმატებაამდე. იმან, რაც ვისწავლეთ არასწორი პასუხებიდან, გაკეთებული არასწორი ამოცანიდან, შესაძლოა შეამციროს მარცხი და მომავალში წარმატების მიღწევის შესაძლებლობები გაზარდოს.

სწავლის მოტივაციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია ლექტორმა სტუდენტებს შესთავაზოს ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც პროცესში მათ მყისიერ და ეფექტიან ჩართულობას უზრუნველყოფს. ეს მიდგომა ზრდის მოტივაციას, რადგან სტუდენტი აცნობიერებს, რომ შეთავაზებული დავალების ღირებულება მისთვის მაღალია, მას სთავაზობენ ისეთ პრობლემას და/ან სიტუაციურ ამოცანას, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან და პირადად მასთან აქვს კავშირი. გარდა ამისა, დავალების შინაარსი და მოთხოვნები ისეთია, რომ მასში სტუდენტები იქნებიან წარმატებულები, ბუნებრივია, ეს ზრდის მოტივაციას.

მოტივაციის ხელშეწყობის მიზნით ბევრჯერ ვახსენეთ შესასრულებელი დავალების ღირებულების გაცნობიერების მნიშვნელობა სტუდენტის პერსპექტივიდან. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, როგორ გავზარდოთ დავალების მნიშვნელობა სტუდენტებისათვის? ზოგადი პასუხი საკმაოდ ნათელია: სამუშაო გავხადოთ მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო. თუმცა, სამუშაოს მნიშვნელოვნობის აღქმა სხვადასხვა სტუდენტის პერსპექტივიდან შეიძლება განსხვავებული იყოს. ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს შედეგი, რასაც იძლევა ეს სამუშაო (გარეგანი მოტივაცია), ზოგისთვის ის, თუ რას აფასებენ სხვა ადამიანები (სოციალური მოტივაცია), ეგოს გაძლიერების შესაძლებლობა (მიღწევის მოტივაცია) ან მისი შესრულების პროცესით ტკბობა (შინაგანი მოტივაცია).

სოციალური მოტივაცია ჩნდება მაშინ, როდესაც სტუდენტები სწავლობენ იმისთვის, რომ მოეწონონ ადამიანებს, ვისი აზრიც მათთვის მნიშვნელოვანია. ზოგიერთ შემთხვევაში სოციალურმა მოტივაციამ

შეიძლება მიიღოს შინაგანი მნიშვნელობა შემსწავლელებისთვის. ეს აშკარაა ზოგიერთ ოჯახში, განსაკუთრებით აზიურ ოჯახებში, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ განათლებას. ამ ოჯახური წარმომავლობის მქონე სტუდენტები, სავარაუდოდ, აღიარებენ, რომ განათლება არის კარგი და დამატებითი კითხვების გარეშე უნდა მიიღონ მას.

მიღწევის მოტივაცია გულისხმობს მიღწევებს ეგოს გაძლიერების მიზნით, როგორცაა სხვა სტუდენტების წინააღმდეგ კონკურენცია და მათი დამარცხება, ასეთ შემთხვევაში ისინი თავს კარგად გრძნობენ. მსგავსმა დამოკიდებულებამ ხშირად შესაძლოა გამოიწვიოს მაღალი მიღწევები და მიდრეკილება სიღრმისეული სწავლებისაკენ, მაგრამ სიღრმისეული სწავლის მიზნები და მიღწევების მოტივაცია, საბოლოოდ, განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწავლის სიღრმისეული მიდგომა ეხება ამოცანის რაც შეიძლება სათანადოდ შესრულებას, მიღწევის მოტივაცია კი, ეფუძნება იდეას, რომ მიიღოთ უმაღლესი შეფასება. მაღალი შეფასება და სიღრმისეული სწავლა საუკეთესო შემთხვევაში ერთი და იგივეს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ცუდად შემუშავებულ შეფასების სისტემასა და შეთავაზებულ ამოცანებში სტუდენტს შეუძლია მაღალი შეფასება მიიღოს არასათანადო, სწავლის ზედაპირული დონის გამოყენებითაც.

მიღწევის მოტივაცია კლავს თანამშრომლობით სწავლებას. სხვა სტუდენტები ხდებიან კონკურენტები და არა კოლეგები, შესაბამისად, გადაიდგმება ნაბიჯები სხვების საზიანოდ. კერძოდ: ძირითადი მითითებები დამალული ან დამახინჯებულია, მინიშნებები არ არის გაზიარებული, მოცემულია შეცდომაში შემყვანი რჩევები. მიღწევის მოტივაციას სჭირდება კონკურენტული პირობები, რომლებშიც უნდა იმუშაოს, და მიუხედავად იმისა, რომ ეს ერგება სტუდენტთა უმცირესობას, რომლებიც დადებითად არიან მოტივირებული კონკურენციით, ის რეალურად აზიანებს მათ სწავლას, ვინც კონკურენციას საფრთხედ აღიქვამს. მიღწევის მოტივაცია, ისევე როგორც შფოთვა, ცვლის სტუდენტების პრიორიტეტებს, რადგან გამოსავალი მარცხის ასარიდებად, მხოლოდ შინაარსში დახელოვნებაა.

ცხილი 11: მოცივების შექმნის შესაძლებლობები და პრაქტიკული აქტივობები

მოცივების შემდგომი შესაძლებლობები	პრაქტიკაში გამოყენების მეთოდები
<p>თვითმკურნალობა და კომპლემენტარული რეჟიმი სტრუქტურული უმცირესი მოცივებისას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყავით მკაფიო და გუსტი უკუკავშირი ისე, რომ დააკმაყოფილოთ სტრუქტურის კომპლემენტარული მოცივების და ხაზი გაუსვით მის თვითმკურნაობას;</li> <li>• შეიმუშავეთ დავალებები, რომელიც შეესაბამება სტრუქტურის შესაძლებლობებს და ასევე შეიცავს გამოწვევებს ახალი ცოდნის ასათვისებლად.</li> </ul>
<p>ადამიური მახასიათებლები და კონტროლის რეჟიმი სტრუქტურის უმცირესი მოცივებისას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზნობრივ უკუკავშირში, რომელიც ხაზს გაუსვამს სწავლის პროცესს, სტრუქტურის ძლიერების მიზნობრივობას, სტრუქტურის და სწავლის პროცესში თვითკონტროლის შესაძლებლობას;</li> <li>• მივიჩნიოთ შესაძლებლობა განახორციელოთ არჩევანი და სწავლის პროცესში იყოს მათი კონტროლის ქვეშ;</li> <li>• სასწავლო საზოგადოების წევრებში უზრუნველყავით მხარდაჭერა და პიროვნულ ურთიერთობებში რეინტეგრირებული გარემო.</li> </ul>
<p>ინტერესის მაღალი დონე და ინტერნალიზირებული მოცივების ალტერნატიული სტრუქტურის მოცივებისას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზნობრივ მასტიმულირებადი და სანიტარული ამოცანები, აქტივობები და მასალები, შემთავაზებთ სიხალეობი და მრავალფეროვნება ამოცანებსა და აქტივობებში;</li> <li>• მიზნობრივ მათთვის პიროვნულად მნიშვნელოვანი და სანიტარული შინაარსის მასალა და ამოცანები;</li> <li>• გაითვალისწინეთ მათი ინტერესები აქტივობების შერჩევისა და შემთავაზების პროცესში.</li> </ul>
<p>დავლების/საიტების ღირებულების მაღალი დონე ალტერნატიული სტრუქტურის მოცივებისას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზნობრივ ამოცანები, მასალები და აქტივობები, რომელიც შეესაბამის და სასარგებლოა სტრუქტურისთვის. ისეთი, რაც საშუალებას მისცემს უკმაყოფილოდ გარკვეული პიროვნულ ინტენტივობის სწავლასთან;</li> <li>• სასწავლო პროცესში ფოკუსირებული იყოს შინაარსისა და აქტივობების მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე.</li> </ul>
<p>სასწავლო მიზნები ალტერნატიული სტრუქტურის მოცივებისას და უმცირესი მისთვის სწავლაში.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოიყენეთ თანამშრომლობითი სწავლება ჯგუფებში, რათა შესაძლებელი იყოს როგორც სოციალური, ასევე აკადემიური მიზნების მიღწევა;</li> <li>• სასწავლო დისკუსიის ფოკუსირებული იყოს კურსისა და ლექციის შინაარსის დაუფლებაზე, სწავლასა და გაგებაზე;</li> <li>• გამოიყენეთ დავალების, ზილდოსა და შეფასების სტრუქტურები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის დაუფლებას, სწავლას, ძლიერების, პროგრესსა და თვითგამოწონებას და ნაკლებად ეყრდნობა სოციალურ შედეგებს ან ნორმებზე მიტიმბრულ სტანდარტებს.</li> </ul>



გარდა უკვე განხილულისა, გიზიარებთ რამდენიმე ზოგადი ხასიათის რეკომენდაციას მოტივაციის ხელშეწყობის მიზნით:

- **მიწოდებული დავალების შინაარსი** – სწავლა-სწავლების აქტივობა სტუდენტისათვის უნდა იყოს ღირებულების შემცველი და არ განიხილებოდეს როგორც უბრალოდ დატვირთული სამუშაო. სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილი იყოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სწავლის შედეგების მიღწევა, სტუდენტი აცნობიერებს სწავლის ღირებულებას მასალის სტრუქტურირებულად მიწოდებისას, რადგან ხვდება, რომ ის, რასაც ასრულებინებენ ეხმარება მიზნების მიღწევაში;
- სტუდენტს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ **დავალების შესრულებისას მიაღწევს წარმატებას**. ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს ისეთ ამოცანებს, რომელიც ეყრდნობა სტუდენტთა შესაძლებლობებს, ანუ მიღწევადია. დასახული მიზანი და შეთავაზებული აქტივობა უნდა იყოს მიღწევადი, მაგრამ გამოწვევის შემცველი. თითოეულმა სტუდენტმა უნდა იცოდეს ის კრიტერიუმები, ანუ რუბრიკები, რომლითაც განისაზღვრება მათი წარმატება/მიღწევა;
- სტუდენტები საუკეთესოდ სწავლობენ მაშინ, როცა თავს **თავისუფლად გრძნობენ, აქვთ ნდობა, შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ სწავლაზე**.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს სტუდენტი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ უნდა. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად გავზარდოთ შანსი, რომ ის, რისი გაკეთებაც უნდა სტუდენტს რეალურად შეასრულოს. იმისათვის, რომ სტუდენტმა ისწავლოს და გაუჩნდეს პოტენციალის რეალიზების სურვილი ჯონ ბიგსი და კატერინა თანგი (John Biggs & Catherine Tang) თავის ნაშრომში ორი ასპექტის გათვალისწინებას გვირჩევენ:

1. სწავლა უნდა იყოს მისთვის მნიშვნელოვანი. სწავლას გარკვეული ღირებულება უნდა ჰქონდეს სტუდენტისათვის;
2. სტუდენტს უნდა ჰქონდეს წარმატების მოლოდინი სასწავლო დავალების შესრულებისას.

არავის არ სურს გააკეთოს ის, რაც მას უსარგებლოდ მიაჩნია. შესაძლოა რაღაც სტუდენტისთვის იყოს ღირებული, თუმცა თუ მიაჩნია, რომ წარმატების შანსი არ აქვს, არც მაშინ ექნება შესრულების სურვილი. ორივე

შემთხვევაში, დავალების შესრულება დროის კარგვად ჩაითვლება. ამ საყოველთაო თეორიას იმის შესახებ, თუ რატომ სურთ ან არ სურთ სტუდენტებს სწავლა, ეწოდება მოტივაციის მოლოდინი-ღირებულების თეორია, რომელიც ამბობს, რომ თუ ვინმეს სურს ჩაერთოს აქტივობაში, მას უნდა ესმოდეს რა ღირებულებას მოუტანს ეს დავალება და ასევე ჰქონდეს წარმატების მოლოდინი მის მიღწევაში. დავალება უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც მაღალი ღირებულების მატარებელი, ასევე წარმატების მოლოდინით სავსე. თუ რომელიმე ერთი არის ნულოვანი, მაშინ სტუდენტს არ ექნება მოტივაცია.

## თავი 5. სწავლაზე ორიენტირებული სწავლება

უნივერსიტეტებს შორის მზარდი კონკურენცია მათ გამოწვევის წინაშე აყენებს, რათა შეინარჩუნონ სწავლისა და სწავლების ხარისხი, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე და მუდმივად გააუმჯობესონ სწავლა-სწავლების პროცესები. აქედან გამომდინარე, მათთვის გამოწვევებთან გამკლავების გზა სწავლების ტრადიციული ფორმიდან სწავლაზე ორიენტირებულ მოდელზე გადასვლაა.

ბიგსი და თანგი (Biggs & Tang) მათ ნაშრომში სწავლაზე ორიენტირებულ სწავლებას სტუდენტის სწავლის გამოცდილების გაუმჯობესების ეფექტიან მოდელად განიხილავენ. მოდელი გულისხმობს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების გამოყენებას (მაგ.: მეთოდები, დავალებები, შეფასება), რათა ლექტორის მხრიდან პასუხი გაეცეს მარტივ, თუმცა მნიშვნელოვან შეკითხვას: „კურსის კონტექსტიდან გამომდინარე, ჩემს სტუდენტებს ეძლევათ სწავლის უკეთესი შესაძლებლობა?“

მოდელის დანიშნულება სწავლის მხარდაჭერაა. ის ფოკუსირდება სტუდენტის სამუშაოზე და დასახული მიზნის წარმატებით მიღწევის პროცესზე. სხვადასხვა ლიტერატურაში, მოდელს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, მათ შორის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კონსტრუქტივისტული სწავლების სახელით და ეს სავსებით ლოგიკურია. როგორც ვთქვით, მოდელის მთავარი დანიშნულება სწორედ შემსწავლელის სწავლის პროცესის მხარდაჭერაა.

სტუდენტზე ორიენტირებული გარემო სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სასწავლო გარემოსგან. სტუდენტებს მოეთხოვებათ მოირგონ ახალი სასწავლო როლები და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, აკონტროლონ მათი სწავლის პროცესი და აქტიურად ჩაერთონ მასში ნაცვლად ჩანაწერების კეთების, ლექტორზე მოსმენისა და გამოცდების ჩაბარებაზე კონცენტრირებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია ისინი ფოკუსირდნენ არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული სწავლის მიდგომის პრინციპებზე. სტუდენტზე ორიენტირებული გარემო საშუალებას აძლევს შემსწავლელებს, სუპერვიზია გაუწიონ საკუთარ სწავლის პროცესს და თავად აირჩიონ რა და როგორ ისწავლონ.

სხვადასხვა მკვლევარი: ვებერი და კოლეგები (Weber and colleagues), ჯანგი და გრაფი (Jung & Graf), კიმი (Kim) და სხვები, აღნიშნავენ, რომ სტუდენტების სწავლის პროცესში აქტიურად ჩასართავად, საჭიროა მათი ინდივიდუალური განსხვავებებისა და თავისებურებების გათვალისწინება სწავლების პროცესში. განსხვავებები მოიცავს შემსწავლელის სწავლის სტილს, მიდგომებს, სწავლის ტემპსა და სხვა. თუ ამ განსხვავებებზე კონცენტრირდება ლექტორი, თითოეულ სტუდენტს ექნება თვითგანვითარებისა და სწავლის შესაძლებლობა. სწავლა აქტიური პროცესია და ის დგება მაშინ, როდესაც შემსწავლელი აცნობიერებს მის მნიშვნელობას, თუ ის საკუთარი იდეების გენერირების პროცესში აქტიურადაა ჩართული და ნასწავლს წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან აკავშირებს.

შემსწავლელი განიხილება ინფორმაციის კონსტრუქტორად, ის ქმნის ცოდნას პიროვნული გამოცდილებისა და გარემოს მოლოდინების შესაბამისად. ცოდნის შექმნის პროცესი დაკავშირებულია წინარე ცოდნასთან. ვანგი (Wang) მიუთითებს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნის ხარისხი და რაოდენობა აძლევს მას საშუალებას სხვადასხვა ტიპის ასოციაცია დაამყაროს უკვე არსებულ და ახალ კონტექსტებს შორის. კონსტრუქტივისტები ეწინააღმდეგებიან შეხედულებას, რომ შემსწავლელი სუფთა ფურცელია (ე.წ. „ტაბულა რაზა“), ცოდნისა და გამოცდილების გარეშე. ისინი თვლიან, რომ კულტურული ფაქტორებისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით ახალი ცოდნის გენერირება ხდება. სტუდენტები განათლების ცენტრად მიიჩნევიან, მათი კოგნიტური და აფექტური სწავლის გამოცდილება უნდა განსაზღვრავდეს შემსწავლელის მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სასწავლო აქტივობებს ტრადიციული მიდგომის თანახმად ლექტორი არჩევს სასწავლო მასალის შინაარსს, უწევს პროცესს ორგანიზებას, ახორციელებს სწავლის შეფასებას და ა.შ., ხოლო სტუდენტის ძალისხმევა ძირითადად ჩანაწერების კეთებაზეა მიმართული. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელზე გადასვლისას, მნიშვნელოვანია შეიცვალოს პროფესორისა და შემსწავლელის როლი. ვეიმარი (Weimer) სწავლაზე ორიენტირებული სწავლებისას ლექტორს განიხილავს, როგორც „სცენაზე მდგომ აქტორს“, რომელიც განცალკევებით დგას შემსწავლელისგან. მნიშვნელოვანია ლექტორმა „სცენიდან

სტუდენტების გვერდით გადაინაცვლოს“ და ისინი აღიქვას და მიიღოს არა „ცარიელ ქურჭლად“, რომელთა ცოდნით შევსებაა საჭირო, არამედ მიიჩნიოს მაძიებლებად, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ მათ პიროვნულ განვითარებას. სტუდენტები თავად იძენენ ცოდნას შესრულებული აქტივობების შესაბამისად, შინაარსის ინტერპრეტირებისა და არსებული სქემების საშუალებით. სწავლება არა ცოდნის გადაცემის, არამედ სტუდენტების აქტიურ შემსწავლელებად ჩამოყალიბების პროცესია.

## სტუდენტების მხარდაჭერა სწავლების პროცესში

განვიხილოთ სტუდენტის სწავლის პროცესი, თუ როგორ ესმის მას სწავლა და რა სირთულეებს აწყდება სწავლის პროცესში. ტერი დოილის (Terry Doyle) წიგნში „სტუდენტების დახმარება შემსწავლელზე ორიენტირებულ გარემოში“, ის გვთავაზობს რვა მიზეზს, თუ რატომ უჭირთ სტუდენტებს ახალი მიდგომის შესაბამისად სწავლა (*ჩვენ გავაეხითიანთ პიხვედი და მეოხე მიზეზი, ჩვენი სასწავლო ხეაღობის გათვადისწინებით და გთავაზობთ შვიდ მიზეზს*):

### 1. ძველ ჩვევებთან გამკლავება რთულია

თორმეტწლიანი სწავლებაზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის როლებისა და პასუხისმგებლობების ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს კლასში მშვიდად ჯდომას, მასწავლებლის მიწოდებული დავალების შესრულებას, ჩანაწერების გაკეთებასა და დასმულ კითხვებზე არჩევითი პასუხის გაცემას. შედეგად, მოსწავლემ მიიღო გამოცდილება დაიმახსოვროს ინფორმაცია და დეტალები, ნაკლებად კონცენტრირდეს საკითხის მიზეზებსა და შედეგებზე. სტუდენტებს სჭირდებათ დრო და პრაქტიკა სწავლის ახალი ჩვევების გამომუშავებისა და მათი საშუალებით წარმატების მისაღწევად.

### 2. სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი სწავლა არ არის

სტაინბერგი (Steinberg) კვლევის შედეგად ადასტურებს, რომ სტუდენტებისთვის სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არა სწავლისადმი ინტერესი, არამედ ქულების მიღებაა. ეს გასაგებობაა, რადგან პირველი კურსის პირველ სემესტრში სტუდენტებს განსაკუთრებულად უჭირთ ახალ

რეალობასთან გამკლავება, მას შემდეგ, რაც სწავლობდნენ სტრუქტურირებულ გარემოში წლების განმავლობაში. მათთვის უნივერსიტეტი აღქმულია როგორც უმაღლესი მწვერვალი, რომლის დაპყრობის შემდეგ ის მიიღებს ანაზღაურებად სამუშაოს და ეს თითქოს სწავლის დასასრულს ჰგავს.

### **3. სტუდენტები სწავლის პროცესში ნაკლებად რისკავენ**

პროფესორებმა იციან რომ სწავლა გულისხმობს გარისკვასა და წარუმატებლობისთვის წინააღმდეგობის განწევას. სტუდენტები ხშირად განიხილავენ მარცხის შესაძლებლობას ნეგატიურ გამოცდილებად და იღებენ მტკივნეულად, შესაბამისად, ცდილობენ თავი აარიდონ ემოციურ სირთულეებს. ეს შეხედულება სწავლის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორია. სტუდენტები თავს იკავებენ გარისკვისა და შეცდომების დაშვებისგან, რათა არ განიცადონ უმწეობა, თუმცა მარცხი და მისი მიმღებლობა ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევ გზაზე.

### **4. სწავლაზე ორიენტირებული სწავლება უცნობი ფენომენია სტუდენტებისთვის**

18 წლის ასაკისთვის სტუდენტებს ცხოვრების 70% გატარებული აქვთ სკოლაში. მათ გამოცდილებაში, ეს არის ადგილი, სადაც მასწავლებელი საუბრობს, მოსწავლე უსმენს, ასრულებს საკლასო და საშინაო დავალებებს, წერს შემაჯამებელ წერას. მასწავლებლები აძლევენ მათ ინსტრუქციებს, რაც მოსწავლეებისადმი მოლოდინებს ასახავს, ისინი კი ასრულებენ მათ. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებს ცოდნის მიღებისა და დემონსტრირების მრავალფეროვანი გზების არჩევის საშუალება არ აქვთ. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რამდენად არასასიამოვნო და არაკომფორტული იქნება სტუდენტისთვის ისეთი ახალი გამოცდილების მიღება, როგორც სწავლაზე ორიენტირებული გარემოა. ამ პროცესებში სტუდენტები ლექტორებს შეცვლილ როლში აღიქვამენ, სადაც ისინი ნაკლებად ასრულებენ საკუთარ სამუშაოს, იყვნენ სწავლების პროცესის ძირითადი წარმმართველები.

### **5. სტუდენტებს არ სურთ დამატებითი ძალისხმევის გაღება**

უნივერსიტეტები სტუდენტებისგან ხშირად იღებენ ერთმანეთის მსგავს საჩივარს დამატებითი სამუშაოს შესრულების შესახებ. სწავლაზე ორიენტირებული გარემო მოითხოვს დამატებით ჯგუფურ თუ წყვილში მუშა-

ობას, მეტ რეფლექსიასა და კომუნიკაციას თანატოლებთან. ეს აქტივობები კი, თავისთავად, გარკვეულ ძალისხმევას მოიწოდებს და სტუდენტებისთვის დამატებით სამუშაოდ აღიქმება, განსხვავებით მათი ზედაპირული სწავლის მიდგომაზე დაფუძნებული წინარე გამოცდილებისგან.

## **6. სტუდენტების განწყობები რთული შესაცვლელია სწავლაზე ორიენტირებული სწავლების მიმართ**

მათ, ვისაც სჯერათ, რომ ინტელექტი და შესაძლებლობა უცვლელია მთელი ცხოვრების მანძილზე, აქვთ საკმაოდ ურყევი წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ და ცდილობენ დაამტკიცონ მათი შესაძლებლობები დიდი ძალისხმევით ფასად, რათა მარცხი აირიდონ თავიდან. თავის არიდება კი ზღუდავს სტუდენტებს ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რაც დაეხმარება მათ გახდნენ „სმარტები“ (იგულისხმება ნიჭიერება, მოხერხებულობა). ეს განწყობები გავლენას ახდენს სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, რასაც სტუდენტები უსარგებლოსა და უმნიშვნელოდ თვლიან. სტუდენტები აღიქვამენ, რომ დახმარებისთვის ლექტორთან, თანატოლებსა და ფაკულტეტთან დაკავშირება, დროის ფლანგვაა. ამის საპირისპიროდ, მათი გარკვეული ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ინდივიდის მძიმე შრომით რეალური პოტენციალი მიიღწევა, რისკავს ბევრს და მარცხს იღებს შრომის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, სტუდენტები ორი სახის მიზანს ისახავენ: სასწავლო მიზანი – საკუთარი კომპეტენციის, გაგებისა და მიღების შესაძლებლობა. ხოლო მეორე, შესხუდების მიზანი გულისხმობს შესრულებას სხვისი ინსტრუქციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სწავლისა და შესრულების მიზნები ერთმანეთს არ გამოირიცხავს და ერთად თანაარსებობენ.

## **7. ბევრი სტუდენტი სწავლისას მინიმალურ წინააღმდეგობას იჩენს**

ხშირად სტუდენტები სვამენ კითხვებს: „ეს დავალება რამდენი ქულით ფასდება?“, „რამდენი ქულა მაქვს დაგროვებული კურსის ფარგლებში?“ და სხვა. ეს მიუთითებს იმ გარემოში სწავლის გამოცდილებაზე, სადაც ქულების დაგროვება ან დაკარგვა დასჯასა და წახალისებასთან იყო გაიგივებული და სწავლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. მსგავს შემთხვევებში, სტუდენტების მიზანი არა სწავლა, არამედ ქულების დაგროვებაა. სტუდენტის სწავლის მოტივაციას დიდი გავლენა აქვს მის მომავალზე, თუ რა გზას აირჩევს, როგორც შემსწავლელი.

როგორც განვიხილეთ, სწავლაზე ორიენტირებული სწავლა სტუდენტების პერსპექტივიდან გამომდინარე ალიქმება. შესაბამისად, ტრადიციული მიდგომების, მეთოდებისა და დავალებებიდან კონსტრუქტივისტულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მხრიდან. სტუდენტებს სწავლის სტილის შესაცვლელად სჭირდებათ მხარდამჭერი სისტემა. ამასთანავე გასათვალისწინებელია თავად სტუდენტების თვითგამორკვევის შესაძლებლობა ამ პროცესებში. გთავაზობთ ბიშოპისა და კოლეგების (Bishop and colleagues) რეკომენდაციებს, რომელიც აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სტუდენტებისთვის უნარების განვითარებისა და სწავლის მიმდინარეობის გაგების პროცესში მხარდამჭერისას:

- **ცვლილებები ჩვენს წარმოდგენებში – როგორ სწავლობენ ადამიანები** – ბოლოდროინდელმა ნეირომეცნიერულმა კვლევებმა დაადგინა, რომ ტვინის დენდრიტული უჯრედები მაშინ იზრდება, როდესაც ტვინი აქტიურად მუშაობს. ნეირონული ქსელები კი ფორმირდება და ურთიერთდაკავშირებული რჩება, თუ განმეორებით იყენებენ მათ. ლექტორებმა მუდმივად უნდა უმეორონ სტუდენტებს, რომ სასწავლო დავალებები მოითხოვს ნეირონული ქსელების განვითარებას წარმატების მისაღწევად. სტუდენტებს შემსწავლელის ახალი როლის მოსარგებად, ამის გააზრება სჭირდებათ. მსგავსი ინფრომაციის მიწოდების შედეგადაც, ისინი დაინახავენ კავშირს სწავლების მეთოდოლოგიასა და სწავლის პროცესებს შორის. სტუდენტის მონაწილეობა გულისხმობს სწავლას, ჯგუფურ აქტივობას, პრაქტიკას, რეფლექსიას, სხვების სწავლებასა და პრეზენტირებას, რაც მის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს სწავლის პროცესში.
- **სტუდენტების კარიერისთვის მომზადება** – სწავლის უნარების, ქცევების, განწყობებისა და კრიტიკული აზროვნების სტრატეგიების სწავლება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსების ნაწილია, რადგან სწორედ ამ უნარების გამომუშავებას საჭიროებენ სტუდენტები სამომავლო კარიერისთვის. როდესაც ლექტორი სტუდენტებს მცირე ჯგუფებში ამუშავებს, ეს სიღრმისეულ სწავლას უწყობს ხელს. გარდა ამისა, სხვებთან საუბარი და მათი მოსმენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია კარი-




ერულ სფეროში წარმატების მისაღწევად. პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა კი, ხელს უწყობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარის – საჯარო საუბრის განვითარებას.

- **სტუდენტების მომზადება, ისწავლონ მუდმივად** – ახალი რეალობის გაცნობიერებაში სტუდენტების დახმარება ნიშნავს, ახსნას, რომ უმაღლესი განათლება მათთვის საგანმანათლებლო გამოცდილების დასასრულს არ ნიშნავს. მათ უნდა ისწავლონ მთელი ცხოვრების მანძილზე, უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, თვითმორტივირებულები დააგროვონ გამოცდილება. სტუდენტს უნდა ესმოდეს, რომ როდესაც მას უნივერსიტეტში სწავლისას სთხოვენ წერას, დიდი რაოდენობით ინფორმაციის წაკითხვას, დროის მენეჯმენტის სწავლას, სხვებთან ერთად მუშაობას, უკუკავშირის გაცემასა და მიღებას, აზრების მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებას, სხვების გაგებას, აქტიურ მოსმენასა და პოზიციის დაცვას, შესაბამისი რესურსის მოძიებას – სარგებლის მიმღები თავადაა. ამ აქტივობების შედეგად შემსწავლელი ივითარებს უნარებს, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებს და არა მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. თითოეული სასწავლო აქტივობა ისე უნდა დაიგეგმოს ლექტორის მიერ, რომ ამ მიზანს ემსახურებოდეს.
- **სტუდენტის მომზადება ანმყოსა და მომავლისთვის** – ლექტორმა უნდა დაანახოს სტუდენტს, რომ ის რასაც ახლა სწავლობს, არის მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლო მისი სამომავლო სასწავლო შესაძლებლობების განვითარებისთვის. ამ ინფორმაციის გააზრება შემსწავლელს დაეხმარება ყოველდღიური მიზნების დასახვასა და გამოცდილების მიღებაში, რაც სწავლის მნიშვნელობის გაგების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

წიგნის წინა ნაწილში განვიხილეთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მოდელი. ახლა კი გთავაზობთ სწავლაზე ორიენტირებული სწავლების გათვალისწინებით შემუშავებულ სასწავლო გარემოს რვა პრინციპს, რომელიც ეფუძნება პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლის მეთოდს. პრინციპები შემუშავებულია სევირისა და დაფის (Savery & Duffy) მიერ და მოიცავს როგორც ცოდნის პრეზენტაციას, ასევე სააზროვნო აქტივობებს.

ცხილი 12: პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო გახეობის ჰვა პრინციპი



პირველი და მეორე პრინციპი კონცენტრირდება პრობლემაზე უფრო დიდ კონტექსტში. სასწავლო დავალებებმა უნდა გზარდოს სტუდენტების მოტივაცია და მისცეს შესადლებლობა გაუმკლავდნენ გამონვევებს. დავალება უნდა იყოს რეალისტური, მისი გადაჭრის გზები ნათლად არ უნდა ჩანდეს, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ პრობლემის იდენტიფიცირების შესადლებლობა მუშაობის პროცესში.

მესამე და მეოთხე პრინციპის მიზანია ცოდნის ტრანსფერის შესადლებლობა პრაქტიკულ კონტექსტში. რელევანტური დავალების შექმნა მოიცავს ისეთი კონტექსტის მოფიქრებას, რომელიც რეალურთან მიახლოებულია და სტუდენტს დაეხმარება მისი პრაქტიკული მნიშვნელობის დანახვაში, მოამზადებს მას ყოველდღიური ცხოვრებისათვის და დაეხმარება გამონვევებთან გამკლავებაში.

მეხუთე პრინციპი დაკავშირებულია პრობლემის გამკლავებასთან. კონსტრუქტივისტული სწავლებისას დავალებები მხოლოდ ერთ სწორ გადაჭრის გზას არ სთავაზობენ შემსწავლელებს. არამედ, აძლევენ საშუალებას მიყვნენ მათ სტრატეგიებსა და მიზნებს პრობლემასთან გამკლავების პროცესში. მათ თავად უნდა გადაწყვიტონ რომელი სტრატეგია, ტექნიკა და პროცედურა აირჩიონ.

შემდგომი პრინციპი მოიცავს სტუდენტის სააზროვნო პროცესებს, როდესაც ყურადღება მიმართულია დავალების სირთულეზე. სტუდენტი განიხილავს რისი გახსენება სჭირდება, რა გაიგო საკითხის შესახებ, რომელი გამოცდილი გზების გამოყენება შეუძლია ახალ პრობლემასთან გასამკლავებლად, რა დამატებითი ცოდნის კონსტრუირებას საჭიროებს მის გადასაჭრელად.

მეშვიდე და მერვე პრინციპი მიმართულია სასწავლო მასალისა და იდეების შეფასებასა და რეფლექსიაზე.

ჯანმინ ლის (Junmin Li) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად გაზრდილი და კომპლექსური სამუშაოების საჭიროებისა, სტუდენტების მოტივაცია – გადაეჭრათ პრობლემები, შენარჩუნებული იყო როგორც კვლევის სანყის ეტაპზე, ისე მის შემდგომ. შემსწავლელები მიუთითებდნენ, რომ უფრო მეტი ისწავლეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ კომპლექსური სასწავლო აქტივობები სტუდენტებს ეხმარებოდა რეალურ გამოწვევებთან გამკლავებაში და მიღებული ცოდნის ტრანსფერში.

## კონსტრუქტივისტული სწავლების წარმატებული მაგალითი

ნათია გვენოროგიების ფაკულტეტზე მათემატიკას ასწავლის სტუდენტებს იმ გზადიციური მიდგომების გამოყენებით, როგორც მას ასწავლეს წლების წინ. ამ მოდელის მიხედვით, დექლარირებული აკონტროლებს ცოდნის კონსტრუირებისა და გავრცელების პროცესს. ნათია უგულებელყოფდა თავის სტუდენტურ მოგონებებს, როგორც უჭირდა მათემატიკის შესწავლა, ხადგან თითოეულ ახასწორად გაცემულ პასუხზე შენიშვნას იღებდა; აუდიტორიაში კი, ზოგიერთ

სტუდენტს ვეიც კი ამჩნევდა, ხადგან ისინი იშვიათად ტოვებდნენ თავიანთ ადგილს და გადიოდნენ დაფასთან.

დროთა განმავლობაში ნათიამ შეამჩნია, რომ მათემატიკის სწავლებისთვის ტიპიური მეთოდები ახ იყო ეფექტიანი, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, ვინც ნაკლებად ეხთვისოდა სასწავლო პირობებში და ვისაც ახ ჰქონდა სავნის ინტეხესი. სტუდენტების გაჩვეულ ნაწილს ახ ესმოდა ცნებების ახსი და ნაცვლად იმისა, ელიახებინათ რომ საჭიროებდნენ დახმებას, უბხაროდ ნებებოდნენ. ნათიამ გააცნობიერა პირობემა და მისი ანადიზის შედეგად ჩათვარა, რომ ამ პირობემას ოხი მიზეზი ჰქონდა: „ცახციოთ ახსნისა და საუბიოთ ცოდნის გადაცემის“ მოდელის გამოყენება და სწავლების ეითადეითი მეთოდი, ხასაც ის იყენებდა.

ნათიამ ნედ-ნედა შეიგანა ცვლილებები სწავლების პირობებში და დაიწყო კონსტრუქტივისტური პინციპების დანეიგვა. მაგ: დაფაზე ფოხმულების წეიისა და მაგარიოების ამოხსნის დემონსტრირების ნაცვლად, ის ზოგჯეი სთხოვდა სტუდენტებს წინასწახ ესწავლათ მომდევნო თავი და შემდეგ დეექციოზე აეხსნათ ჯგუფებებისთვის ხა გაიგეს საკითხის შესახებ. გახდა ამისა, ნათია ახარი მასადის ახსნისას მიმახთავდა გონებიივი იეიიშის ტექნიკას, ხაც სტუდენტებს ეხმაიებოდა წინახე ცოდნის გაექციიებაში, ახარი საკითხის ახსებუდ გამოცდილებასთან დაკავშიიებასა და სასწავლო პირობებში მეტად ჩახთურობაში. ნათია სთხოვდა სტუდენტებს დაეწეიათ მათემატიკური ცნებების გაგების მათი ინტეიპეიეცია, განესაზღვრათ ადგოიითი და ნახაცივის სახით გაეწეიათ თითოეული საფეხური, ხაც გაიახეს პირობემის გადაჭის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ ნათიას გამოყენებული მეთოდების შემდგომ, სტუდენტები ცდილობდნენ დავალებების შესეულებას, ყუხადლებით უსმენდნენ სხვებს, ადახებდნენ ეითმანეთს მათ ვეისიებს, ახედექციიებდნენ ნაწეებებს იმის მიხედვით, თუ ხა გაიგეს ახარი.

ახარი მიდგომის დანეიგვის შემდგომ, ნათიას აინტეიესებდა სტუდენტების აზიი, თუ ხოგოი ესმოდათ მათ სწავლის ფენომენი, ხოგოი სწავლობდნენ და ხამდენად ეხმაიებოდა მათ ამ პირობებში დექტოიის თანამედროვე მიდგომები. ნათიამ სთხოვა სტუდენტებს ანონიმიური უკუკავშიიის მიწოდება მისთვის სწავლა-სწავლების პირობებთან დაკავშიიებით, ხათა ყოფიდიყ-

ვინ მაქსიმალურად გუდახდები. ეს დაეხმარებოდა ნათიას სტუდენტების პეისპეტივის გათვადისწინებაში. დექლომა მიიღო ეთმანეთისგან სხურად განსხვავებული უკუკავშირი. ზოგიერთი სტუდენტი დადებითად აფასებდა მათემატიკური პიობდემების გადაჭისას დამოუკიდებლად და ჭგუფებში მუშაობის გამოცდილებას. სტუდენტების ნაწიდი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მიდგომებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებისა, ისინი ზოგჯერ იბნეოდნენ და ვეი ილებდნენ შესაბამის ახსნას საკითხის შინაა-ხის შესახებ. სტუდენტთა გაჩვეულება კატეგორიამ უაჩყოფითად შეაფასა დექლომის გამოყენებული მეთოდები. მათი აზრით, ის სხუდფასოვნად აი ასხუდებდა მის სამუშაოს და ნაკლებ ძადისხმევას ებდა სწავლების პიოცესში.

ნათიამ გაანადიზა სტუდენტების უკუკავშირი და გამოიგანა დასკვნა, რომ სწავლება მხოლოდ ახადი იდეების გენეიხიება და მათი სტუდენტებისთვის შეთავაზება აი აიის. მნიშვნელოვანია დისკუსიების ჩაგაჩება და საკითხის განხილვა ჰოდისგუხად, ხაც დექლომის უქმნის შესადებდობას თითოეული შემსწავლელის გაგების პიოცესის შესახებ მიიღოს ინფორმაცია. ნათიამ გადაწყვიტა სწავლების პიოცესში გამოყენებინა პიოფესიონადიზმი, დაეკონკრეტებინა სტუდენტების შეკითხვები და მუდმივად ეპასუხა მათზე. ახადი გამოცდილების გამოყენებამ სწავლების პიოცესში, შეცვალა სტუდენტების შეხედულებები და მათი თითქმის აბსოლუტური უმიხავდესობა პოზიტი-უხად აფასებდა დექლომის მიდგომებს სწავლების პიოცესში. თავად მან კი ისწავდა, რომ მნიშვნელოვანია აია მხოლოდ პიხადი გეგმის მიყოლა, ახამედ სტუდენტების საჭიხოებებისა და გამოცდილების გათვადისწინება სწავლების პიოცესში; სტუდენტის მიეი მასადის გაგების უკეთესი გზების შეიჩევა და სწავლა-სწავლების პიოცესში ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც შემსწავლელებს დაეხმარება საკითხის უკეთ გაგებასა და დასახური სასწავლო მიზნების მიღწევაში.

ინფორმაციის მიმოხილვისას, მუდმივად აქცენტს ვაკეთებდით სტუდენტზე, როგორც სწავლების პროცესის მთავარ ორიენტირზე, თუმცა ამ პროცესში არ უნდა დავივიწყოთ დექლორის როლი, რომელიც ფასილი-ტატორი, მრჩეველი და მიმართულების მიმცემი უფროა, ვიდრე „მასწავლებელი“. ის კი არ გადადის სწავლებისას უკანა ფლანგზე და სტუდენტებს მართო ტოვებს ცოდნის კონსტრუირების პროცესში, არამედ თამაშობს აქტიურ როლს სასწავლო გარემოს ორგანიზებაში.

პროფესორი ხელს უწყობს შემსწავლელს ახსნა-განმარტების, მიმართულების მიცემის საშუალებით. ისინი ქმნიან შემსწავლელების/მკვლევრების საზოგადოებას მათ აუდიტორიებში, რომლის დინამიური და მნიშვნელოვანი ნაწილი თავად არიან. ამასთან, არცერთი მხარე არ ერიდება კითხვის დასმას თუ კითხვებზე პასუხს, შეუსაბამო ინტერპრეტაციების რედაქტირებასა და გამორკვევის პროცესში სტუდენტების მხარდაჭერას. მოკლედ რომ ვთქვათ, ლექტორს უნდა ჰქონდეს უნარი და შესაძლებლობა ტექნოლოგიის, პედაგოგიკისა და დისციპლინის ინტეგრირების მიმართულებით.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლაზე ორიენტირებული სწავლება უნდა იყოს მოქნილი, სტუდენტების რეალურ საჭიროებებზე და არა ლექტორის აღქმაზე ფოკუსირებული. აკადემიური პერსონალის ამოცანაა გააცნობიეროს შემსწავლელების ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისად შეცვალოს სწავლის მიდგომები ეფექტიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით.

## თავი 6. ეფექტიანი სწავლება – დასაქმების წინაპირობა

### დასაქმების ცნება

დასაქმება არის ტერმინი, რომელსაც მრავალი განმარტება აქვს. ზოგისთვის დასაქმება არის უნარ-ჩვევების ნაკრები, ზოგისთვის კი ეს არის აქტივობა, რომელიც ამზადებს ინდივიდებს გრძელვადიანი სამუშაოსთვის. ამ ორივე ხედვის გაერთიანებით კი შეგვძლია ჩამოვაცალიოთ ნაითისა და იორკის (Knight & Yorke) მიერ შემოთავაზებული დასაქმების შემდეგი განსაზღვრება: „მიღწევა, რომელიც აერთიანებს უნარებს, ცოდნასა და პიროვნულ თვისებებს, რაც კურსდამთავრებულებს უჩენს სურვილს დასაქმდნენ და იყვნენ წარმატებულები თავიანთ არჩეულ საქმეში“.

დასაქმების მრავალფეროვანი განმარტებებიდან გამომდინარე შეგვიძლია შემოგთავაზოთ ნაითისა და იორკის (Knight & Yorke) ყველაზე გავრცელებული 7 განმარტება. თითოეული მათგანი დასაქმებას სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს. ამ განმარტებების მიხედვით, დასაქმება ეს არის:

სტეპენსონი (Stephenson) დასაქმებას უკავშირებს შესაძლებლობებს. მისი სიტყვებით დასაქმებისუნარიან ადამიანს აქვს რწმენა საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, რომ:


1. მიიღებს ეფექტიან და შესაბამის გადაწყვეტილებებს;
2. ახსნის, რის მიღწევას ცდილობს;
3. შეძლებს სხვებთან ერთად ეფექტიან ცხოვრებასა და მუშაობას;
4. გააგრძელებს სწავლას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად მრავალფეროვან და ცვალებად საზოგადოებაში.

სტეპენსონი (Stephenson) ასევე აღნიშნავს, რომ დასაქმებისუნარიან ინდივიდებს აქვთ სპეციალიზებული ცოდნა, რომელიც მომდინარეობს მათი ხარისხის და/ან სხვა გამოცდილებიდან და რაც მთავარია, მათ იციან როგორ გამოიყენონ ეს ცოდნა და თან დამატებით მიიღონ ახალი. მათ აქვთ უნარი გააგრძელონ სწავლა და განივითარონ თავიანთი უნარები და ცოდნა ისე, რომ იყვნენ მუდმივად მოთხოვნადები სამუშაო

ბაზარზე. ფრაი, კეტერიჯი და მარშალი (Fry, Ketteridge & Marshali) თავიანთ ნაშრომში გამოყოფენ ავსტრალიელი სტუდენტების იმ უნარებს, რომელიც მათ შედარებით დასაქმების მარტივ შესაძლებლობას აძლევს. ეს უნარებია:

- არსებული სიღრმისეული ცოდნიდან გამომდინარე პროფესიული პრაქტიკის დანყება;
- მზაობა უწყვეტი სწავლისთვის პიროვნულ განვითარებასა და პროფესიულ პრაქტიკაში სრულყოფილების მისაღწევად;
- ლოგიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გამოყენება მთელი რიგი პრობლემების მიმართ, პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა;
- როგორც დამოუკიდებელი, ისე გუნდში მუშაობა;
- ორიენტირება ეთიკურ ქმედებებსა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე, პროფესიონალი და კარგი მოქალაქის პერსპექტივიდან;
- ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება პროფესიულ და საზოგადოებრივ წრეებში;
- საერთაშორისო პერსპექტივების გამოვლენა, როგორც პროფესიონალის ისე მოქალაქის ამპლუიდან.

ცხილი 13: დასაქმების განმახტება სხვადასხვა პეისპექტივიდან





## დასაქმების მხარდაჭერა

ჯერ კიდევ ბევრი წლის წინ დიუი (Dewey) აღნიშნავდა, რომ ადამიანებისთვის კარგი ცხოვრება გარემოსთან ჰარმონიულ ყოფას ნიშნავს. მუდმივი განვითარების კონტექსტში ადამიანები ორიენტირებულები უნდა იყვნენ პირად და პროფესიულ განვითარებაზე, მოერგონ სამყაროს, რომ დარჩნენ მასთან ჰარმონიაში. ამრიგად, დიუისთვის სწორედ განათლებამ უნდა აღძრას ადამიანში ის სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას იყოს ზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული და ამ გზით ჰარმონიზდეს სამყაროსთან. საგანმანათლებლო დაწესებულებამ სწორედ იმ უნარებით უნდა აღჭურვოს ადამიანი, რომელიც ამ ყოველივეს შესაძლებლობას მისცემს. ეს შეხედულება სწავლისადმი აცნობიერებს ისტორიული, სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენას სწავლაზე და მიუთითებს განწყობებისა და შესაძლებლობების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით ახალ და ცვალებად გარემოში სწავლის უნარზე.

განათლება ყოველთვის ზრუნავდა იმ უნარებისა და ცოდნის გამოვლენაზე, რომელიც აუცილებელია სამუშაოს პროდუქტულად შესრულებისათვის, ასევე ოჯახურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. თუმცა, ბოლო დროს საჯარო და კერძო სექტორის მხრიდან გაზრდილია მოთხოვნა უნივერსიტეტებისადმი, რომ მათ უზრუნველყონ განათლება, რომელიც უფრო მეტადაა შესაბამისობაში დამსაქმებლის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. ეს მოთხოვნა ნიშნავს სწავლას, რომელიც ნაკლებ აბსტრაქტულია და მეტად ახლოსაა სამუშაო შინაარსთან.

თანამედროვე სამუშაო სივრცეს დღეს სჭირდება მაღალკვალიფიციური, კარგი ადაპტური უნარების მქონე და მოქნილი ადამიანები, ანუ ის ძალა, რომელსაც შეუძლია სწრაფად და ეფექტიანად გამოიყენოს არსებული ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში, ჩაერთოს გამოწვევებში, რომელსაც არსებული გარემოებები სთავაზობს. ახალი ხედვების მიხედვით, თანამედროვე დასაქმებული პირები ორ მახასიათებელს უნდა ფლობდნენ. პირველი – მუდმივი სწავლისა და განვითარების აუცილებლობა იმ სამუშაო კონტექსტში, რა მოვალეობაც აკისრიათ და მეორე – სამუშაოსადმი დამოკიდებულებებისა და განწყობების არსებობა. გამომდინარე აქედან, სამუშაო სამყაროსთვის მომზადება

მოიცავს როგორც სამუშაოსთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებს, ისე პიროვნულ განწყობებს. შესაბამისად, შრომით ბაზარს აქვს მოლოდინი, რომ უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ ისეთი კადრების მომზადებას, რომლებსაც აქვთ სამუშაოს შესაბამისი ცოდნა და უნარები, ასევე ექნებათ ისეთი მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა: განწყობები/დამოკიდებულებები საქმისადმი, პიროვნული თვისებები და ეცოდინებათ თავიანთი ადგილი სამყაროში.

სამუშაოსათვის მზადყოფნის შესაბამისი ცოდნის შექმნისა და უნარების განვითარების პროცესში უნივერსიტეტებმა შეისწავლეს გზები, რომლითაც შრომითი ბაზრის მოთხოვნები უფრო ეფექტიანად ინტეგრირდება უნივერსიტეტის გამოცდილებაში. ჩვეულებრივ, ამის შესაძლებლობა სწავლების პარალელურად არსებული პრაქტიკული კურსებია ან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლა, სადაც თავად სამუშაო ქმნის მისი მომავალი თანამშრომლისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების საფუძველს კურიკულუმზე დაყრდნობით. დღეს მიღებული პრაქტიკაა სამუშაოსთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება და სასწავლო კონტრაქტების არსებობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ამ გზებით სამუშაო ადგილი სულ უფრო მეტადაა წარმოდგენილი, როგორც სასწავლო რესურსი და სასწავლო ადგილი საუნივერსიტეტო სექტორში. თანამედროვე სამყაროში მზარდია მოთხოვნა უწყვეტ განათლებაზე და განათლებაზე მთელი ცხოვრების მანძილზე. შესაბამისად, იმ სრულწლოვან ადამიანებს, რომლებსაც ვხვდებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქვთ მოთხოვნა, პროგრამამ, რომელზეც სწავლობენ აღჭურვონ ისინი ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს დასაქმებას. მართლაც, ცოდნის იდეა, რომელიც წარმოიქმნება აკადემიურ სივრცეში და შემდგომში „გამოიყენება“ სამსახურში, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღარ არის აკადემიურ სივრცესა და სამუშაო ადგილს შორის ურთიერთობის ასახვის ერთადერთი გზა.

სამუშაო ადგილზე სწავლა არის აქტიური სასწავლო გამოცდილება, რომელიც ფოკუსირებულია სიტუაციურ სამუშაო აქტივობებში სტუდენტის მონაწილეობაზე. ის უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ისეთ მიმდინარეობას, სადაც სტუდენტები სწავლობენ აქტიური მონაწილეობით (ჩვეულებრივ სუპერვიზიის ქვეშ) პროფესიული პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტში.

დღეს ბევრი უნივერსიტეტი სწავლების პარალელურად სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტს, რათა მათ უფრო სიღრმისეულად გაივარჯიშონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები და გახდნენ შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები. ერაუტის (Eraut) მიხედვით, სანამ უნივერსიტეტი სწავლის პროცესში და სწავლითი აქტივობებისთვის სტუდენტს გაუშვებს სამუშაო ადგილზე განათლების მიღების მიზნით, აზუსტებს შემდეგ საკითხებს:

- რის სწავლას ველით სტუდენტებისგან სამუშაო ადგილზე ყოფნის დროს?
- როგორ წარიმართება სწავლა-სწავლება?
- რა ფაქტორები იმოქმედებს ამ ტიპის სწავლაზე?

კითხვებზე პასუხის მიღების პარალელურად, უნივერსიტეტმა კარგად უნდა გააცნობიეროს ის სარგებელი, რასაც პრაქტიკის გავლა ან სამუშაო ადგილზე სწავლა მოუტანს მის სტუდენტებს. რომ ეს არ იქნება მხოლოდ სწავლა განსხვავებულ სოციალურ და ფიზიკურ გარემოში და სიტუაციაში და რომ ამით სტუდენტები განივითარებენ ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, რომელიც მომავალში კარიერის დაგეგმვაში დაეხმარება. პრაქტიკული გამოცდილების სტუდენტებს შეუძლიათ საკითხის განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვა, რეფლექსურად ფიქრი და აზროვნება.

მსგავსი ტიპის სწავლების დროს არაა რეკომენდებული კურიკულუმზე ფიქრი და იმ ცოდნაზე ორიენტირება, რაც სტუდენტმა უნდა მიიღოს. ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი უმჯობესია გაკეთდეს არსებული თეორიული ცოდნის შესაბამისი უნარების ფორმირებაზე. პრაქტიკული სწავლების დროს სტუდენტებს მოუწევთ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში მოხვედრა, სტრესულ სიტუაციასთან გამკვალავება და ისეთი უნარების გამოვლენა/განვითარება, რაც ცდება კონკრეტულ დარგში კომპეტენტურობას. პრაქტიკა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც თეორიის გამოყენების შესაძლებლობა დასაქმების ადგილას, თუმცა ის რეალურად ბევრად მეტია. პრაქტიკის ობიექტზე ან სამუშაო ადგილზე ყოფნისას სტუდენტს უვითარდება ინტერპერსონალური უნარები, ერთი შეხედვით ძალიან ნაცნობ საკითხებს ხედავს იმდენად განსხვავებული პერსპექტივებით, რომ ბევრად მეტს აღწევს, ვიდრე მხოლოდ თეორიული ცოდნის გადატანა რეალურ გარემოში.

ცხიდი 14: ხას სწავდობენ სტუდენტები სამუშაო ადგიდზე? (ეჩაუტის (Eraut) თეორიული ჩაჩჩო)

<p><b>დავალების შესრულება</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• სისწრაფე და სრულყოფილება</li><li>• რთული ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრა</li><li>• კომუნიკაცია ადამიანთა ფართო სპექტრთან</li><li>• თანამშრომლობითი მუშაობა</li></ul>	<p><b>სამუშაო ფუნქციები</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• პრიორიტეტების გამოყოფა</li><li>• პასუხისმგებლობის ღიაპაზოლი</li><li>• სხვა ადამიანების სწავლის მხარდაჭერა</li><li>• ლიდერობა</li><li>• ანგარიშვალდებულება</li><li>• სუპერვიზია</li><li>• ეთიკური საკითხების მოგვარება</li><li>• მოულოდნელ პრობლემებთან გამკლავება და კრიზისების მართვა</li><li>• განვითარებაზე ზრუნვა</li></ul>
<p><b>ცნობიერება და გაცემა</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• სხვა ადამიანები: კოლეგები, მომხმარებლები, მენეჯერები და სხვა</li><li>• კონტექსტი და სიტუაციები</li><li>• პრობლემები და რისკები</li><li>• ღირებულებები</li></ul>	<p><b>აკადემიური ცოდნა და უნარები</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• მტკიცებულებებისა და არგუმენტების გამოყენება</li><li>• დეკლარატიული ცოდნის კონა</li><li>• კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკა</li><li>• თეორიული აბრევენება</li><li>• იმის ცოდნა, რისი ცოდნაზე შეიძლება დაბჭირდეთ</li><li>• რესურსების გამოყენება (ადამიანური, ქალაქდზე დაფუძნებული, ელექტრონული)</li><li>• იცოდე, როდის რა თეორია გამოიყენო (პრაქტიკულ სიტუაციებში)</li></ul>
<p><b>კირევეული განვითარება</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• თვითშეფასება</li><li>• თვითრეგულაცია</li><li>• ემოციების მართვა</li><li>• ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება</li><li>• სხვადასხვა პერსპექტივის განხილვა</li><li>• სხვებთან მუშაობა და კონსულტირება</li><li>• ორიენტაცია სწავლასა და საკუთარი პრაქტიკის განვითარებაზე</li><li>• შესაბისი კომპეტენცია და გამოცდილება</li><li>• გამოცდილებებით სწავლა</li></ul>	<p><b>გადანყვეთილების მიღება და პრობლემის გადაჭრა</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• სირთულეებთან გამკლავება</li><li>• ზგუფური გადანყვეთილების მიღება</li><li>• პრობლემის ანალიზი</li><li>• ვარიანტების მიმოხილვა, ფორმულირება და შეფასება</li><li>• პროცესის მართვა შესაბამის ვადებში</li><li>• გადანყვეთილების მიღება ჩაწოლის პირებებში</li></ul>
<p><b>გუნდური მუშაობა</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• თანამშრომლობითი მუშაობა</li><li>• სტრუქტურული ურთიერთობების ხელშეწყობა</li><li>• ერთობლივი დაგეგმვა და პრობლემის გადაჭრა</li><li>• მხარდაჭერისა და ხელშეწყობის უნარი</li></ul>	<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>• შესრულების ხარისხი</li><li>• გამოსავალი და შედეგები</li><li>• პრიორიტეტები ღირებულების კუთხით</li><li>• რისკის დონეები</li></ul>

სამუშაო ადგილზე სწავლის დროს სტუდენტებს შეუძლიათ:

- უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და უნარების ინტეგრირება რეალურ პროფესიულ გარემოსთან;
- თეორიებისა და უნარების პროფესიული პრაქტიკის ყველა ასპექტში გამოყენება;
- ყველა მხარესთან თანამშრომლობა და მულტიდისციპლინური მიდგომით ხელმძღვანელობა;
- პროფესიული ღირებულებებისა და ეთიკური პასუხისმგებლობების გაზიარება და დაცვა.

დასაქმების უნარების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა ხელი შეუწყონ ინტერპერსონალური უნარების (ე.წ. „soft skills“) განვითარებას ყველა დონეზე და განათლების ყველა სექტორში. ერთი მხრივ, სწავლებისას მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება ტექნიკურ უნარებზე, თუმცა, მეორე მხრივ, გაცილებით მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ უნარებზე, როგორიცაა: კომუნიკაბელურობა, გუნდური მუშაობა, ინოვაციურობა, თვითრეგულაცია, მოქნილობა, საკუთარი თავისა და სხვების კრიტიკული შეფასება, პრობლემის გადაჭრა, თვითგანვითარებაზე ზრუნვა, შემოქმედებითობა, მრავალფეროვნების გაგება და ლიდერობა.

დასაქმებისათვის საჭირო ინტერპერსონალური უნარები ადამიანს სამუშაო გარემოში, ოჯახსა თუ სოციალურ გარემოში განვითარებაში ეხმარება. სწავლების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანი ეუფლება ისეთ კომპეტენციებს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მიაღწიოს წარმატებას და უპასუხოს ანმყოფსა თუ მომავლის გამოწვევებს. OECD-ის ჩატარებული პროექტის (DeSeCo) შედეგად გამოიყო XXI საუკუნის სამი ძირითადი სფერო, რომელიც ეხმარება ადამიანს პიროვნულ, ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაში. ესენია:

1. სოციალურად ჰეტეროგენულ ჯგუფებში ინტერაქცია:
  - კარგად ურთიერთობს სხვებთან;
  - თანამშრომლობს სხვებთან და მუშაობს გუნდურად;
  - მართავს და აგვარებს კონფლიქტებს.
2. ავტონომიური მოქმედება: (მიეცით ინდივიდს შესაძლებლობა მართონ თავიანთი ცხოვრება, აიღონ პასუხისმგებლობები, აკონტროლონ სამუშაო)

- მოქმედებს ფართო კონტექსტში;
  - აყალიბებს და ახორციელებს როგორც ცხოვრებისეულ გეგმებს, ისე პირად პროექტებს;
  - იცავს წესებს, დროის ლიმიტს და ითვალისწინებს ინტერესებსა და საჭიროებებს.
3. სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენება:
- იყენებს ენას, სიმბოლოებსა და ტექსტებს;
  - აქვს შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია;
  - იყენებს ტექნოლოგიებს.

## სწავლა-სწავლება დასაქმებისთვის

თავდაჯერებული სტუდენტები, რომლებიც ფიქრობენ უმაღლეს სასწავლებლებში განვლილ პროცესებსა და მიღებულ ცოდნაზე, უფრო ეფექტიანი სტუდენტები და მკვლევრები ხდებიან მომავალში. ნებისმიერ შემთხვევაში ბედნიერი, თავდაჯერებული, დასაქმებული სტუდენტები კარგია უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის, როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. სტუდენტები, რომლებიც სწავლის დასრულებამდე ხვდებიან სამუშაო ბაზარზე და ასრულებენ სწრაფად ანაზღაურებად სტუდენტურ სამუშაოებს, უნივერსიტეტის წლებსა და სწავლას იხსენებენ პოზიტიურად. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის გაზიარება აქტიური სტატუსის სტუდენტებისათვის ძლიერი მოტივატორია მომავალი დასაქმების დაგეგმვისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ სტუდენტს, თუნდაც სწავლის პარალელურად გაუჩნდეს დასაქმების ამბიციის და სურვილი, საჭიროა აცნობიერებდეს საკუთარ შესაძლებლობებს. სწავლის პერიოდში ბევრი სტუდენტი ეძებს და პოულობს მოკლევადიან სამუშაოს ან სამუშაოს არდადეგების პერიოდში, შესაბამისად, მათთვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დასაქმება აღარ აღიქმება დაბრკოლებად.

დასაქმების სურვილი და დასაქმების პროგრამებში ჩართულობა დამოკიდებულია სტუდენტების მოტივაციაზე. თუ სტუდენტს სწავლის დროს უფრო შესრულების მიზანი ამოძრავებს და არაა ორიენტირებული სიღმიესეულ სწავლაზე, ნაკლებად ექნება სურვილი ჩაერთოს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილ სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში.

დასაქმების ხელშემწყობი პირების წარმომადგენლობითობა უნივერსიტეტებში განსხვავებულ პრაქტიკებს ეყრდნობა. უნივერსიტეტების ბაზაზე არსებობს კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრები, რომელიც მათ სასურველი სამსახურის პოვნაში ეხმარება, ასევე მხარდაჭერას უცხადებს სამუშაოზე წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადებასა (რეზიუმე, სამოტივაციო წერილი) და გასაუბრებისათვის საკუთარი თავის პრეზენტირების უნარების გავარჯიშების პროცესში.

უნივერსიტეტებში არსებობს პრაქტიკა, რომ დამსაქმებლები ფაკულტეტის და/ან კომიტეტის წევრების შემადგენლობაში შედიან და მუდმივად ერთვებიან კონკრეტული პროგრამის შემუშავებისა თუ განახლების პროცესში, შესაბამისად, მათ, სწავლების პროცესშივე აქვთ შესაძლებლობა მისცენ უნივერსიტეტებს უკუკავშირი, რა უნარების მქონე პირი სჭირდებათ სამსახურში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასევე არსებობს სხვადასხვა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა შემუშავებული იყოს ერთობლივი სასწავლო კურსები, პრაქტიკები და გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში უზრუნველყოფდნენ თავიანთი სტუდენტების დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებას სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე გაგზავნით, სტაჟირების პროგრამაში ჩართვით და სხვა.

დასაქმების აქტივობების დაგეგმვის წინაპირობა უნივერსიტეტის მხრიდან ისეთი მტკიცებულებების შეგროვებაა, როგორცაა მაგალითად, გაირკვეს რა რაოდენობის კურსდამთავრებული გადადის სამაგისტრო საფეხურზე ან დიპლომის შემდგომ განათლებაზე ყოველწლიურად. ეს მოკვლევა საშუალებას იძლევა გაირკვეს, თუ კურსდამთავრებული არ მოხვდა შრომით ბაზარზე შესაძლოა, ის ჩაერთოს აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში პროფესორის სუპერვიზიით.

დასაქმების ხელშემწყობის მიზნით უნივერსიტეტი შესაძლებელია ახორციელებდეს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ეხმარება უნივერსიტეტს მიიღოს უკუკავშირი მისი დაგეგმილი სასწავლო პროცესიდან რა დაეხმარა პირს დასაქმებაში ან რისი გაუმჯობესებაა მომავალში საჭირო.

ასევე, მიიღოს უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რათა განსაზღვროს, რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებას. მსგავსი ტიპის კითხვარებში ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლების ჩართულობა, რათა მათ თავიანთი პერსპექტივიდან შეაფასონ კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგები, ანუ წარმოიდგინოს კადრი, რომელიც ამთავრებს უნივერსიტეტს და დაუკავშიროს ის მის სამუშაო ადგილს, დაამყაროს მისთვის საჭირო უნარებსა და ინდივიდის უნარებს შორის ჰიპოთეტური კავშირები.


კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომლითაც უნივერსიტეტს შეუძლია სტუდენტის დასაქმების ზრდის ხელშეწყობა, არის ისეთი სასწავლო კურსის შეთავაზება სტუდენტებისათვის, რომელიც მათ კარიერის დაგეგმვასა და სამუშაოსთვის მომზადებაში დაეხმარება. მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი სტუდენტს დაემხარება კარიერული მიზნების განსაზღვრაში, თვითგამორკვევაში, ასევე კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებაში დასაქმების კამპანიის კონტექსტში. ასევე კურსი ორიენტირებული უნდა იყოს სააკლიკაციო დოკუმენტების მომზადებასა და სამუშაოზე აყვანის წინარე ინტერვიუსთვის სტუდენტის მომზადებაზე.

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმება დაუკავშიროთ თავად სტუდენტებს და გავაფართოვოთ მათი დასაქმების ლექსიკა. მნიშვნელოვანია რომ დამსაქმებლის მიერ გამოყენებული უნარებისა და კომპეტენციის შესაბამისი ტერმინები და მათი სინონიმები გამოვიყენოთ მოდულის აღწერებსა და სწავლის შედეგებში. განვიხილოთ ფრაის, კეტერიჯისა და მარშალის (Fry, Ketteridge & Marshali) ნაშრომში შემოთავაზებული მსგავსი ყველაზე გავრცელებული ლექსიკური ერთეულები.

**კრიტიკული აზროვნება** – სამუშაოს შესრულებისას ახალი ტენდენციების ანალიზი და დასკვნების გამოტანა კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ასპექტია. ის მოიცავს კომპლექსური ინფორმაციის მიღებას, მის დანაწევრებას, ანალიზსა და შემდეგ შედეგებზე ასახვას. ამ პროცესის აღწერის საკვანძო სიტყვები შეიძლება მოიცავდეს მსჯელობას, ლოგიკურ აზროვნებას, ინტეგრაციასა და კავშირების დამყარებას.



ცხიდი 15: სასწავლო კუხის სწავლის შედეგების უნახები და კომპეტენციები



**შემოქმედებითობა** – დამსაქმებლები, რომლებისთვისაც კრეატიულობა ინდივიდის მნიშვნელოვანი უნარია, პიროვნებისგან მოელიან და ეძებენ ისეთ საკვანძო ასპექტებს, როგორიცაა: ინოვაცია, გამოგონება, ორიგინალობა, სიახლე, გონებრივი იერიში, კავშირების დამყარება, ახალი იდეების გენერირება. ეს უნარები მარტივად აღმოსაჩენია ხელოვნებისა და დიზაინის პროგრამის სტუდენტებისათვის, თუმცა მეცნიერების სხვადასხვა დარგის პროგრამის სტუდენტებთან შეიძლება ყოველდღიური ლექსიკის ფარგლებში არ გამოიყენებოდეს. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია კურიკულუმი შედგეს ისე, რომ სტუდენტები ჩართულები იყვნენ სწავლის აღმოჩენით აქტივობებში, რაღაც ახლისა და განსხვავებულის შექმნასა და ახალი პერსპექტივის ჩამოყალიბებაში. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება საკმაოდ ნაცნობი სტრატეგიაა მეცნიერების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, თუმცა

ის არასდროსაა ნახსენები შემოქმედებითობის კონტექსტში, სწავლის შედეგებთან მიმართებით, სწორედ ამიტომ, ნაკლებია მოლოდინი, რომ სტუდენტი აღწერს თავის ნამუშევარს, როგორც შემოქმედებითს.

**პრობლემის გადაჭრა** – როდესაც დამსაქმებელი ითხოვს პრობლემის გადაჭრის უნარების გასიტყვებას ინტერვიურების დროს, ზოგიერთი სტუდენტი დაიწყებს ფიქრს პრობლემებზე, რომელიც მათ თავად განსაზღვრეს და გადაჭრეს. რეალურად დამსაქმებელი ამას უფრო ფართო გაგებით უყურებს და პრობლემას განიხილავს როგორც ნებისმიერ საკითხს ან აქტივობას, რომელსაც სჭირდება დამუშავება. ეს პროცესი მოიცავს საკითხის სხვადასხვა პექსპექტივიდან დანახვას/განიხლვას, მტკიცებულებების მოძიებას, რომ გაამყაროს ან უარყოს გარკვეული პოზიცია და განიხილოს, არის თუ არა საკითხის უფრო სიღრმისეულად დამუშავების საჭიროება. საკვანძო სიტყვები, რომელსაც ვხვდებით შემდეგია: იდენტიფიცირება, ანალიზი, შეფასება, ფიქრი, იდეების გენერირება, გონებრივი იერიში და ჯგუფური დისკუსიები.

**გადანყვეტილების მიღება** – გადანყვეტილების მიღება საყოველთაო საქმიანობაა. დამსაქმებელი ეძებს მტკიცებულებას, რომ მისი თანამშრომელი შეისწავლის საკითხს (კვლევა), გაანალიზებს მას (შეფასება), განიხილავს საკითხთან დაკავშირებულ რელევანტურ ასპექტებს და შესთავაზებს გადანყვეტილების მიღებისას არგუმენტირებულ ალტერნატივებს. გადანყვეტილების მიმღებმა უნდა ახსნას და დაიცვას თავისი არჩევანი მტკიცებულებებისა და პროცესის მკაფიო აღწერით. საკვანძო სიტყვები შეიძლება მოიცავდეს განხილვას, არჩევას, დასაბუთებას, ასახვას, შეფასებას, განსახილველ ვადებს.

**პირადი ეფექტიანობა** – დაგეგმვა, დროის მენეჯმენტი და ორგანიზებულობა არის ის მნიშვნელოვანი უნარები, რომლებიც დამსაქმებელთა უმეტესობას მოსწონს. საკვანძო სიტყვები მოიცავს კოორდინირებას, პრიორიტეტების გამოყოფას, დაგეგმვას, ეფექტიანობას, კომპეტენციას, შესაძლებლობებს, მიზნების დასახვასა და დროის მენეჯმენტს. დაგეგმვა და ორგანიზება დაკავშირებულია დავალების დროულად შესრულებასთან, რაც შეიძლება საუკეთესო სტანდარტებით. აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისერტაციაზე ან პროექტზე მუშაობისას, ამიტომ საკვანძო სიტყვები ისეთი სასწავლო

კურსების პოტენციური სწავლის შედეგებია, სადაც სტუდენტების მხიდან შესასრულებლად განსაზღვრულია წერიტი ნაშრომები და/ან პროექტები. სტუდენტების პერსპექტივიდან დასაქმების კონტექსტში ეს შეიძლება უკავშირდებოდეს სამოტივაციო წერილისა და რეზიუმეს მომზადებას.

**კომერციული ცნობიერება** – კომერციული ცნობიერების ფარგლებში ადამიანს აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ორგანიზაციები და როგორ ურთიერთობენ ადამიანები მათთან. კომერციულად ინფორმირებულ ადამიანს შეუძლია გაანალიზოს ბიზნეს სიტუაციები და მასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან. თემები მოიცავს ბიზნესის დაგეგმვას, მომხმარებლებთან ურთიერთობას, ბიუჯეტის საკითხებს, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას, SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და გამოწვევები) ანალიზს, რეკლამასა და მარკეტინგის, მიზნების დასახვას, ორგანიზაციის მისიისა და მიზნების გაგებას.

**პირადი კომპეტენციები** – პირადი კომპეტენციების მიხედვით, ადამიანს შეუძლია ისაუბროს თავის მოტივაციაზე, ენერგიაზე, რომელიც ხელს შეუწყობს დაიწყოს ახალი ინიციატივები, გადაჭრას რთული ამოცანები და უზრუნველყოს დავალებების შესრულება. საკვანძო სიტყვები შეიძლება შეიცავდეს ისეთ შინაარსებს, როგორიცაა: თვითშემეცნება, ინიციატივა, ინოვაცია, გადაწყვეტილების მიღება, მოქნილობა, მოთმინება, ზრუნვა და სიმკაცრეც კი. დამატებითი დაზუსტებების შემდეგ სტუდენტების უმეტესობა აცნობიერებს, რომ ისინი ხშირად იყენებდნენ ამ უნარებს პრაქტიკაში, მაგრამ აქამდე არ აცნობიერებდნენ მათ მნიშვნელობას.

უნივერსიტეტის დამსაქმებლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სასწავლო პროგრამის ბუნებასა და დონეზე, ასევე იმ აქტივობებზე, რასაც სტუდენტები ახორციელებენ ამ პროგრამის შესწავლისას. თუმცა, შეგვიძლია განვიხილოთ ფრაის, კეტერიჯისა და მარშალის (Fry, Ketteridge & Marshali) ნაშრომში შემოთავაზებული რამდენიმე შესაძლებლობა ამ ჩართულობის გაზრდისა და დაჩქარების მიზნით (*პიჩვედწყაიში შემოთავაზებული შესაძლებლობები მოღიფიცხებუღია და მოხგებუღია საქაიხთვეღოს ჰეაღობას*):


- თითოეულ სასწავლო კურსში და საბოლოოდ, პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა იყოს ასახული ის უნარ-ჩვევები, რომლებიც შრომითი ბაზრის მხრიდანაა მოთხოვნადი. ეს სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს დროულად დაფიქრდნენ შედეგებთან დაკავშირებულ მიღწევის გზებზე, თუნდაც პირადი განვითარების გეგმის მეშვეობით;
- სტუდენტებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორ უკავშირდება მათი ცოდნა და უნარები პრაქტიკას და რეალურ გამოცდილებებს სხვადასხვა სფეროში;
- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მათი ცოდნა და უნარები დადებითად შეფასდება დამსაქმებლის მხრიდან და უნივერსიტეტი მათ ეხმარება ისეთი მიღწევების ფორმირებაში, რომელიც კონკურენტულია ბაზარზე;
- საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს უნდა მიეცეთ მრავალფეროვანი შესაძლებლობა თავიანთი პიროვნული და პროფესიული უნარები გამოსცადონ პრაქტიკის ან სტაჟირების პროგრამებში, ასევე მოკლევადიან დასაქმების პროგრამებში ან დასვენების დროს სამუშაოს შესრულებაში;
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა თუ კურსდამთავრებულებმა შედარებით უკეთ იციან როგორ უკავშირდება მათ პროგრამაში არსებული სწავლის შედეგები დასაქმების სფეროსთან, შესაბამისად კონკურსებში მონაწილეობის დროს მათ კარგად შეუძლიათ დაასაბუთონ მათი უნარების პრაქტიკასთან თავსებადობა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს შედეგზე ორიენტირებული და ზუსტად ჰქონდეს განსაზღვრული თითოეული პროგრამის ფარგლებში ის შედეგები, რომელსაც სტუდენტები სწავლის დასრულების შემდეგ მიაღწევენ. სწავლის შედეგები საუკეთესო შესაძლებლობაა უნივერსიტეტმა წარმოაჩინოს, რომ ის ორიენტირებულია, როგორც პროცესზე ისე შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები განისაზღვრება ინდივიდუალურად პროგრამისთვის, დაწესებულების ავტონომიურობის ფარგლებში შეგვიძლია გამოვყოთ სავარაუდო შედეგების 6 მსხვილი და ზოგადი კატეგორია, რომელიც ორიენტირებულია როგორც კომპეტენტურობაზე კონკრეტულ სპეციალობაში, ისე დასაქმების უნარებზე:

1. ცოდნის სიღრმე და ზოგადი საზღვრები;
2. სხვადასხვა მეთოდოლოგიის ცოდნა;
3. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
4. კომუნიკაციის უნარები;
5. ცოდნის საზღვრების გაცნობიერება;
6. ავტონომიურობა და პროფესიული შესაძლებლობები.

აღნიშნული ექვსი მიმართულება/განზოგადებული შედეგი, არის ფართო აღწერილობა იმის, თუ რა უნდა შეძლოს, იცოდეს და გააკეთოს კურსდამთავრებულმა პროგრამის დამთავრების დროისათვის. თითოეული უნარი ვიწრო ანალიზის და ჩაშლის დონეზე აზუსტებს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც მნიშვნელოვან კავშირში უნდა იყოს კომპეტენციასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან.





მესამე ნაწილი

შეფასებასთან დაკავშირებული  
საკითხები უმაღლესი  
განათლების საფეხურზე

## თავი 6. შეფასების არსი და მნიშვნელობა

პასტორი (Pastore) თავის ნაშრომში მიმოიხილავს ბოლონის პროცესსა და მის შედეგებს. ხაზს უსვამს პროცესების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებზე და აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აძლიერებს ლექტორებს, რათა დაწერონ სტუდენტების მიღწევის შეფასების პრაქტიკა. შეფასება ემსახურება უმაღლესი განათლების სისტემების ეფექტიანი განვითარებისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზანს. შესაბამისად, შეფასების პრაქტიკა სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი მნიშვნელობისა და ფუნქციების გათვალისწინებით ის კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც და რას სწავლობს სტუდენტი. შეფასება მიმართულია ცვლილებისა და გაუმჯობესებისკენ. პროცესი მოიცავს სანდო ინფორმაციის მოპოვებას სტუდენტის მიზნების, ცოდნის, განწყობების, უნარებისა და ქცევების შესახებ. ასევე, მოპოვებული ინფორმაციის ხარისხის დადგენას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას (მაგ: რეკომენდაცია, ხელშეწყობა და ა.შ.).

შეფასებას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს და განსხვავებულ მიზანს ისახავს უმაღლესი განათლების საფეხურზე. ტრადიციულად, ის უზრუნველყოფდა სერტიფიცირების, ხარისხის მინიჭებისა და მიღწევის სხვადასხვა დონის განსხვავების შესაძლებლობას სტუდენტებს შორის. თანამედროვე პერსპექტივით რომ ვიმსჯელოთ, შეფასებამ გაორმაგებული ფუნქცია შეიძინა: ის აკმაყოფილებს სტუდენტების არსებულ საჭიროებებს და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის გაზომვის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, სტუდენტებს უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარები. ეს უნარები კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის მზაობის მისაღწევად.

თუმცა, ფუნქციების ამგვარი დაყოფის გარდა, მორისი და ადამსონი (Morris & Adamson) განიხილავენ შეფასების განსხვავებულ ტიპოლოგიას: ქულების მინიჭება, შერჩევა, დიაგნოსტიკა, დახელოვნება,



მხარდაჭერა და პროგნოზირება. თითოეული მათგანი განიმარტება შემდეგნაირად:

- **ქულების მინიჭება** – სტუდენტების რანჟირება მათი სწავლის მიღწევის მხრივ;
- **შერჩევა** – წარმატებული სტუდენტების გამოყოფა სხვა სტუდენტებისაგან;
- **დიაგნოსტიკა** – სტუდენტის სწავლის პროცესში ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება;
- **დახელოვნების შეფასება** – გარკვეული კომპეტენციების შედარება წინასწარ განსაზღვრულ დახელოვნების დონესთან და სერტიფიცირება;
- **მხარდაჭერა** – სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება მის გასაუმჯობესებელ მხარეებზე მუშაობის მიმართულებით;
- **პროგნოზირებადი შეფასებები** – გარკვეული მოლოდინების შექმნა სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ მომავალ საქმიანობაში.

ცხიდი 16: შეფასების ახსი და მიზნები

**პედაგოგიკა**

სტუდენტის სწავლის ხელშეწყობა უკუკავშირის საშუალებით (განსაზღვრა რა და როგორ ისწავლოს)

**გაგონება**

სტუდენტის ცოდნის, გაგების დონის, უნარებისა და შესაძლებლობების შეფასება

**სტანდარტიზაცია**

სტუდენტის მიღწევის შეფასება კულის საშუალებით

**სერტიფიცირება**

სტუდენტისთვის უმაღლესი განათლების მიცემა და მიღწევის დონის აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა

ხშირად, შეფასება რამდენიმე ფუნქციას ერთდროულად ასრულებს. თუმცა, შეიძლება ითქვას რომ შეფასების პროცესის გამოწვევები მისი მრავალფუნქციორობაა, რადგან ის კონკრეტულ სისტემაში, კონკრეტულ კონტექსტში, კონკრეტულ პრიორიტეტებზე ორიენტირდება, შესაბამისად ზოგიერთი ფუნქცია შეიძლება უგულებელყოფილი დარჩეს.

გთავაზობთ დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებულ ჩარჩოს, რომელშიც მოცემული და განმარტებულია სტუდენტის შეფასების ოთხი მიზანი და ფუნქცია ფრაისა და კოლეგების მიერ (Fry & colleagues) (იხ. ცხიდი 16).

გამოიყოფა შეფასების სხვადასხვა სახე თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის გათვალისწინებით: კარლსისა და ბოუდის (Carlless & Boud) თანახმად, სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული შეფასება დაკავშირებულია მათ თანამშრომლობასა და აქტიურ ჩართულობასთან; ამასთან, ბიგსისა და თანგის (Biggs & Tang) მიხედვით, შეფასება მრავალმხრივ გავლენას ახდენს სტუდენტების მიღწევაზე და ამ ფენომენის აღიარებამ გაამყარა შეფასების მნიშვნელობა. ანდრეიდი (Andrade) აღნიშნავს, რომ შეფასება ხელს უწყობს სწავლას და ეხმარება სტუდენტებს გახდნენ თვითრეგულირებადი შემსწავლელები. და ბოლოს, შეფასების ალტერნატიული მეთოდები (მაგ.: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და ა.შ.) არანაკლებ ეფექტიანია სტუდენტებისთვის ახალი კომპეტენციების დაუფლების მიმართულებით, რასაც შემდგომ თავებში განვიხილავთ.

სასწავლო აქტივობების მომზადებისას, ლექტორები ცდილობენ შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას: „რა სახის აქტივობა შევთავაზო და როგორ დავაორგანიზო დავალება ისე, რომ სტუდენტებმა უკეთ ისწავლონ?“. ამ საკითხს განსხვავებულად განიხილავენ სტუდენტები, მათთვის შესასრულებელი დავალება შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ისინი ფოკუსირდებიან შეფასების მეთოდებზე და კონკრეტული დავალების ინსტრუქციაზე, რათა მაქსიმალურად მაღალი შეფასება მიიღონ შესრულებისთვის. სტუდენტებთან კომუნიკაციის გამარტივებისა და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, რეკომენდებულია ლექტორმა სილაბუსზე მუშაობისას გაითვალისწინოს სტუდენტების საჭიროებები და მათი მოლოდინები, რათა შეფასების

სისტემის შესახებ ერთმანეთის მსგავსი მიდგომები გამოიყენონ და მაქსიმალურად ეფექტიანად დაგეგმონ პროცესი.

შეფასების პროცესის დაგეგმვა მოიცავს მისი მნიშვნელობისა და ფუნქციების გათვალისწინებას სტუდენტის მიღწევის, კონტექსტის, უკუკავშირის ორგანიზებისა და მიწოდების, შესაფასებელი აქტივობების მომზადების მიმართულებით. შესაფასებელი აქტივობები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტუდენტების მიღწევის განსასაზღვრად. აქვე, აუცილებელია ხაზი გავუსვათ შეფასების მიწოდების პროცესს. ხშირად შეფასება განხილულია შემაჯამებელი უკუკავშირის სახით, როდესაც სტუდენტის სამუშაო უკვე დასრულებულია. რეალურად შეფასების მრავალფეროვანი ფუნქციების შესასრულებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი დროში მუდმივობის შენარჩუნება, რაც გულისხმობს დემონტრირებას, უკუკავშირსა და პროგრესის სუპერვიზიას სტუდენტის სამუშაო პროცესთან მიმართებით და არა მისი დასრულების შემდგომ. სხვაგვარად, ის სტუდენტების პერსპექტივიდან აღიქმება როგორც ქულის მინიჭება და კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა და არა სწავლა-სწავლების ხელშემწყობი მექანიზმი.

## შეფასების მიდგომები


არსებობს რამდენიმე მიდგომა, რომელიც ლექტორმა შეფასების დიზაინის დაგეგმვისას უნდა გამოიყენოს. მიდგომები განსხვავებულ პრაქტიკასა და თეორიულ ჩარჩოებს ეფუძნება. ბოუდი და სოლერი (Boud & Soler) ხაზს უსვამს შეფასების მნიშვნელობას, ხანგრძლივი დროით იქონიოს გავლენა სტუდენტზე; კარლსის (Carless) თანახმად, შესაფასებელი დავალებები სტუდენტებს უვითარებს თვითშეფასების უნარს და საშუალებას აძლევს სტუდენტს თავად დაეუფლოს უკუკავშირის გაცემის უნარებს. თითოეული მიდგომის თეორიული საფუძვლის დადებითი მხარეები და მტკიცებულებები დადასტურებულია, თუმცა ნაკლები ინფორმაცია გვხვდება სტუდენტების პერსპექტივის შესახებ.

სხვადასხვა თეორიაზე დაფუძნებით შემუშავდა ახალი მიდგომა იბარა-საიზისა და მისი კოლეგების მიერ (Ibarra-Saiz & colleagues). მოდელში შეფასება განხილულია, როგორც სწავლისა და გაძლიერების ინსტრუმენტი, რომლის თანახმად სამი ძირითადი გამოწვევა გვხვდება:

**სტუდენტის ჩართულობა, უკუკავშირი და დავალების ხარისხი.** ავტორები აღნიშნავენ, რომ მონაწილეობა და ჩართულობა აძლიერებს სტუდენტებს გაიუმჯობესონ უნარები და დააგროვონ სწავლის პროცესის შესახებ გამოცდილება. გაძლიერება განიხილება დისკუსიის, რეფლექსიისა და სხვადასხვა აქტივობის ხელშემწყობ ფაქტორად, რომელიც სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს.

სწავლისა და გაძლიერების მიდგომის თანახმად, შესაფასებელ აქტივობაზე მუშაობისას ფოკუსირდებიან სტუდენტის შეფასების პროცესში მონაწილეობასა და შეფასების პროცესის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიღებაზე, რაც მეტწილად განსაზღვრავს სტუდენტის თვითრეგულაციასა და ცოდნის ტრანსფერს კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის შემდგომ.

ცხილი 17: შეფასების სწავლისა და გაძლიერების მიდგომა



### შეფასების პროცესის მახასიათებლები

პასტორი (Pastore) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ შედეგებზე დაფუძნებულმა სწავლებამ და ბოლონის პროცესებმა გავლენა იქონია შეფასების პროცესის დახვეწაზე, რომელიც ხასიათდება სანდოობით, ვალიდურობითა და გამჭვირვალობით და ფუნქციურად ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ტესტირებისა და გაზომვის პროცედურები გადაიხედა სტუდენტების სწავლის პროგრესის დასადგენად, სტუდენტების

სწავლის გაზომვისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის (ფაკულტეტის წევრები, სტუდენტები, ოჯახები და ა.შ.) ცნობიერების ამაღლების მიზნით.


განვიხილოთ შეფასების მახასიათებლები, რაც მის ეფექტიანობას განაპირობებს, ესენია: **სანდოობა**, **ვალიდობა** და **გამჭვირვალობა**. წარსულში ტესტები დგებოდა შემთხვევითი პრინციპით შედგენილი კითხვებისაგან, თუმცა ახალი მიდგომის თანახმად, თანამედროვე ტესტები დგება კურსის შინაარსის შესაბამისად, რათა შეფასების საშუალებით გაიზომოს მიღწევა როგორც ზოგად დონეზე, ასევე დეტალურად.

ზოგად დონეზე შეფასება გულისხმობს კურსის დასახული მიზნების მიღწევას. მაგალითად, თუ კურსის ფარგლებში შედეგებში მოიაზრება პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება, შეფასების საშუალებით იზომება ამ უნარის განვითარება და არა ინფორმაციის გახსენების შესაძლებლობა. კურსი, რომლის სასწავლო შედეგებში მოიაზრება პრეზენტატორული და ჯგუფში მუშაობის უნარების განვითარება, სწავლის შედეგები ნაკლებად შემოწმდება ტესტირების საშუალებით და საჭირო იქნება განსხვავებული ტექნიკების გამოყენება. დეტალური შეფასებისას, მნიშვნელოვანია ტესტის თითოეული კითხვა/დებულება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი იყოს.

ერთი შეხედვით, ამ მაგალითების განხილვისას შეიძლება იფიქროთ, რომ ვალიდობა მარტივი დებულებაა – „ტესტმა უნდა შეამოწმოს ის, რის შემოწმებასაც აპირებს“, მაგრამ მას უფრო კომპლექსური სტრუქტურა აქვს და რთული სახის კვლევას ჰგავს. გამოყოფენ ვალიდობის სამ სახეს: შინაარსის, კონსტრუქტისა და შეფასების ვალიდობას.

შეფასების პროცესის ვალიდობა თვისებრივად, ხოლო სანდოობა მათემატიკური სიზუსტით ითვლება. აქედან გამომდინარე, სანდოობა უფრო მარტივად საკვლევ კონსტრუქტად ითვლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტესტი სანდოა, თუ მიღებული შედეგები იგივე იქნება ტესტირების განმეორების შემთხვევაში, როდესაც დაცულია მსგავსი პირობები, შესასრულებელი დავალება და პარამეტრები. პროცესში შეცდომის გამომწვევი ორი ელემენტი გამოიყოფა – კანდიდატი (სტუდენტი) და შემფასებელი.

ცხიდი 18: ვადიდობის სახეები



ნათელია, რომ იდენტური სტუდენტები და შემფასებლები სხვადასხვა პირობებში ვერ შეირჩევიან, მეტიც, ერთმა და იმავე პიროვნებამ შესაძლოა განსხვავებული შედეგები აჩვენოს. სანდოობის მისაღწევად გამოიყენება ტესტ-რეტესტი, ტესტის გამეორების შემთხვევაში მისთვის იგივე ქულების მინიჭება და შემფასებლებს შორის შინაგანი შეთანხმებულიობის მიღწევა. მნიშნელოვანია ლექტორებმა შეფასების პროცესში სანდოობის მნიშვნელობა დაინახონ.

სანდოობა და ვადიდობა ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია. კავშირის უკეთ დასანახად განვიხილოთ მაგალითი: თუ ტესტის დებულებები მკაფიოდაა დაკავშირებული კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან (ვადიდობა), ვადიდობა დაბალი იქნება; თუ შემფასებლები მიღწევის შესაბამისი ქულის განსაზღვრაზე ვერ შეთანხმდებიან, ან თუ იგივე სტუდენტებზე ჩატარდება ტესტირება განსხვავებულ პირობებში და ისინი განსხვავებულ ქულებს მიიღებენ, ტესტი არასანდო იქნება. თუ ტესტის ქულასა და სამომავლო მიღწევას შორის (რომლის პროგნოზირებისთვისაც ტესტი შეიქმნა) კორელაციური კავშირი არ დადგინდება, სანდოობაცა და ვადიდობაც არაეფექტიანი იქნება.

რაც შეეხება ვადიდობის მესამე მახასიათებელს, ის მიუთითებს ლექტორსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის სიმარტივეზე, თანამ-

შრომლობითი გარემოს შექმნაზე, სადაც შემფასებელი უთანხმდება შემსწავლელს შეფასების მეთოდებზე, კრიტერიუმებსა და სახეებზე. არსებული ინფორმაცია სტუდენტს ეხმარება უკეთ მოემზადოს შესაფასებელი დავალებისთვის, მეტად ენდობა შემფასებელს, შფოთვის დონე უმცირდება შეფასებამდე და თავს უსაფრთხოდ გრძნობს სასწავლო გარემოში. სტუდენტის პერსპექტივიდან გამჭვირვალობის მახასიათებლის დაცვა მიუთითებს სამართლიანობის პრინციპის დაცვაზე.

შეჯამებისა და რეკომენდაციების სახით გთავაზობთ შეფასების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს სწავლა-სწავლების პროცესში: ლექტორებმა შეფასების პროცესი უნდა განიხილონ სწავლის ხელშეწყობის და არა კონტროლის მიზნით. მნიშვნელოვანია სწავლის პროცესის ერთგვარი დოკუმენტირება, თუმცა მთავარი მიზანი სტუდენტების სწავლის გაძლიერება უნდა იყოს. ლექტორები ცდილობენ შეფასების პროცესში ცოდნის, კომპეტენციებისა და კურსის ფარგლებში არსებულ მიღწევაზე ორიენტირებას, სტუდენტები კი, კონცენტრირდებიან სწავლის მიდგომებსა და სტრატეგიებზე, შეფასების კრიტერიუმებზე მათი მოლოდინების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება და რეალური მოლოდინების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამისთვის საჭიროა, შეფასების პროცესი იყოს მაქსიმალურად სამართლიანი, გამჭვირვალე და თვალსაჩინო. თუ პროფესორის სურვილია შეცვალოს სტუდენტების სწავლის მიდგომები და ზოგადად სწავლის შინაარსი, ყველაზე ეფექტიანი გზა ამ მიზნის მისაღწევად, შეფასების პროცესში შეტანილი ცვლილებებია. თუმცა, გასათვალისწინებელია რომ სტუდენტებს სიღრმისეული მიდგომის თანახმად უკეთ ესმით შესაფასებელი დავალების არსი, როდესაც აცნობიერებენ მის კავშირს კურსის სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან. ამ შემთხვევაში მარცხის შიში მინიმუმამდეა დაყვანილი და შეფასება მრავალმხრივ ფუნქციებს ასრულებს.

## თავი 7. შეფასების დიზაინი და გავრცელებული მოდელები

პელეგრინოსა და კოლეგების (Pellegrino & colleagues) თანახმად, შეფასების დიზაინი სხვადასხვა გზამკვლევს ეყრდნობა, რომელთა გათვალისწინებითაც, შეფასების პროცესი მიზნის დაკონკრეტებითა და საზომი ობიექტის შინაარსის იდენტიფიცირებით უნდა დაიწყოს. შესაფასებელი ობიექტის არჩევა არც ისე მარტივი ამოცანაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მნიშვნელოვანია მისაღწევი შედეგების მიზნები შემეცნებისა და სწავლის მოდელზე დაყრდნობით განისაზღვროს. მოდელი აღწერს, თუ როგორ ივითარებენ კომპეტენციებს და ახდენენ ცოდნის დემონსტრირებას შესაფასებელი ობიექტის ფარგლებში. მაგ: თუ შეფასების მიზანია, ლექტორმა დაადგინოს კონკრეტულ მათემატიკურ საკითხში დავალების შემდგომი ეტაპის შესახებ ინსტრუქციის მიწოდება (საჭიროება, გამარტივება, დანაწევრება, ვიზუალიზაცია და ა.შ), მნიშვნელოვანია მან პროცესში გაითვალისწინოს მოზარდთა განვითარების მახასიათებლები.

ქეისის, გრიფინისა და მათი კოლეგების (Case, Griffin & colleagues) მიერ შემუშავებული კოგნიციისა და სწავლის მოდელი ერთ-ერთია, რომელზე დაფუძნებითაც შეგვიძლია განვიხილოთ შეფასების დიზაინის ჩამოყალიბება. მოდელი საშუალებას იძლევა 1) განსაზღვროს ცოდნა, რომელიც სტუდენტის წარმატების მიღწევითვის მნიშვნელოვანია; 2) დაადგინოს ცოდნის სტანდარტები, რასთან მიმართებითაც სტუდენტის შეფასება განისაზღვრება და 3) დაეხმაროს სტუდენტებს შესაბამისი გამოცდილების დაგროვებაში ცოდნის კონსტრუირების დროს. კოგნიციისა და სწავლის მოდელი ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და სწავლის ასპექტებს. შესაბამისად, შეფასების დიზაინის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სწავლის ინდივიდუალურ სტილზე ორიენტირება და სტუდენტებისთვის ისეთი შესაფასებელი დავალებების მიწოდება, რომლის შესრულების ბოლოს მათ მიეწოდებათ დეტალური უკუკავშირი. მსგავსი აქტივობები შეიძლება იყოს ქვიზების სახით წარმოდგენილი (რომელიც ჩატარდება ყოველკვირეულად/ყოველთვიურად). ქვიზის შედეგებზე დაყრდნობით, შეფასების მიზნებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციას ლექტორი მიაწვდის სტუდენტებს, სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მოდელის თანახმად, შეფასების დიზა-



ინის არჩევისას მნიშვნელოვანია დავალების კოგნიტურ მახასიათებლებზე კონცენტრირება, ვიდრე ე.წ. ზედაპირულ მახასიათებლებზე. მაგ: სტუდენტებისთვის დავალების წარდგენა, პასუხის გაცემის ფორმატი და ა.შ. მიიჩნევა, რომ მრავალ არჩევითპასუხებიანი და ფაქტების გახსენებაზე მორგებული დავალებები, დაბალი სააზროვნო პროცესების შეფასების საშუალებას იძლევა, შესაბამისად, შესრულების დავალებები მაღალი კოგნიტური პროცესების შეფასების საშუალებას იძლევა.


სანამ შეფასების კიდევ ერთ მოდელს მიმოვიხილავთ, მნიშვნელოვანია შევხებით თვითრეგულირებად სწავლას, რომელიც ხაზს უსვამს სტუდენტის შესაძლებლობას სწავლისას სააზროვნო უნარების, მოტივაციისა და ქცევის რეგულირების შესახებ. თვითრეგულირებადი შემსწავლელები ისახავენ სწავლის მიზნებს და შესაბამისი სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით (იქნება ეს შინაგანი თუ გარეგანი უკუკავშირი), გაზრდილი ძალისხმეების შედეგად იღებენ შედეგებს. მიღებული შედეგები შეფასდება სწავლის მიზნების მიღწევასთან მიმართებით. სტუდენტზე ორიენტირებული თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია შეფასება განმავითარებელ კომენტარზე (რომელსაც ვრცლად ამავე თავში მიმოვიხილავთ) დაყრნობით განხორციელდეს, რადგან კვლევებით დადგინდა უკუკავშირის მნიშვნელობა სტუდენტების თვითრეგულირებადი სწავლის პროცესის ხელშეწყობის პროცესში. ლექტორები ფოკუსირებულები არიან ხელი შეუწყონ სტუდენტის თვითშეფასების უნარების განვითარებას. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, თვითრეგულირებად შემსწავლელებს შეუძლიათ უკუკავშირის უკეთ მიწოდება და მიღება დასახული მიზნების მიღწევის პროცესში. შესაბამისად, მათ უკეთ აქვთ განვითარებული თვითშეფასების უნარიც.

განმავითარებელი კომენტარი საშუალებას იძლევა სწავლის პროცესის შედეგად შეავსოს „სიცარიელე“ მიღებულ ცოდნასა და დასახულ მიზანს შორის. მიუხედავად შინაგანი უკუკავშირის (თვითშეფასების გზით მოპოვებული) შესაძლებლობისა, მათ სჭირდებათ გარეგანი შესაფასებელი ინსტრუმენტები სწავლის პროცესის სუპერვიზიის მიზნით.

ბოუსისა და რენგელის (Bose & Rengel) მიხედვით განვიხილოთ მოდელის შესაბამისი პირამიდის თითოეული დანაყოფი. უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტების ინიდივიდუალური ზრდის ხელშეწყობას, მათ დამოუკი-

დებლობას, კრეატიულობას, თვითმოტივირებულობას, რათა გახდნენ კრიტიკური მოაზროვნეები და შემსწავლელები. გაზრდილი მოთხოვნილებისა და შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობისა, უნივერსიტეტები სწავლებას *მხავადიციხოვან აუდიტორიებში* აგრძელებენ. ამიტომაც ხშირად შეფასების დიზაინი შეირჩევა „ერთნუთიანი დავალებების“ ან „სწრაფი უკუკავშირის“ ინსტრუმენტის გამოყენებით. ეს მიდგომები ეხმარება ლექტორებს მიიღონ დამატებით ინფორმაცია სტუდენტის სწავლის პროცესზე, განსაზღვრონ მათთვის გაუგებარი საკითხის ასპექტები დროის დაზოგვის ხარჯზე. მიდგომის საშუალებით მყარდება გარკვეული ტიპის ინტერაქცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, მიღებული ინფორმაციის საშუალებით პროფესორი განსაზღვრავს შემსწავლელის საჭიროებებს და პასუხობს მას შესაბამისად.

ცხიდი 19: განმავითაჰებელი შეფასების სტრატეგიის მოდელი



ონლაინ თვითშეფასება საშუალებას აძლევს სტუდენტებს მათი სურვილის შესაბამისად, შესრულების შემდგომ მიიღონ ონლაინ უკუკავშირი ლექტორთან შეხვედრის გარეშე. საიტზე დაფუძნებული თვითშეფასება ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში და მისი სარგებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტისთვის, რომლებსაც საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლი

აქვთ მიზნად დასახული. ასევე, მრავალრიცხოვანი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში.

*უხთიერთშეფასება* ფართოდ გამოიყენება უმაღლესი განათლების საფეხურზე, რადგან სტუდენტებისთვის მას ორი უმთავრესი ფუნქცია აკისრია: სტუდენტები ლექტორების როლს ირგებენ და სასწალო პროცესში აქტიურად ერთვებიან. მსგავსი უკუკავშირი ხელს უწყობს რევიზიის, შეჯამების, კლასიფიკაციის, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სტანდარტებთან მიახლოების დადგენის საშუალებას.

*თვითშეფასება* თვითრეგულაციის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტია. როგორც წესი, სტუდენტები თავდაცვის პოზიციაში ნაკლებად არიან შესრულებული სამუშაოს პირადად შეფასებისას. სწორედ ამიტომ, მათი თვითრეგულაციის განვითარებისთვის ეფექტიანი გზა დავალებების შეფასებაა. ამ პროცესში სტუდენტები მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს აცნობიერებენ, ლექტორი კი გასაუმჯობესებელ მხარეზე ფოკუსირებით მიანვდის უკუკავშირს სწავლის გაუმჯობესების მიზნით, მთლიანობაში კი მიიღება დეტალური ინფორმაცია დასახული მიზნის მისაღწევად.


*რეეგოხის შეფასება* ყოველთვის მნიშვნელოვანია სტუდენტის პერსპექტივიდან, რადგან პროფესორები მათი ცოდნისა და გამოცდილების საშუალებით მნიშვნელოვან უკუკავშირს აწვდიან სტუდენტებს, ხშირად უკუკავშირის მიწოდების გარეშე, კარგი შესრულება ყურადღების მიღმა რჩება. ეს კი შესაძლოა შემსწავლელის მოტივაციის დაქვეითების მიზეზი გახდეს. უკუკავშირი თვითრეგულაციის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

აღნიშნულ მოდელზე დაყრნობით განხორციელებული შეფასების დიზაინის გამოყენებისას, ლექტორმა უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მრავალრიცხოვანია მისი აუდიტორია, რა საჭიროებები აქვთ მის სტუდენტებს და შესაბამისად გამოიყენოს შეფასების ინსტრუმენტი სტუდენტთა სწავლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

შემდეგი კონცეპტუალური მოდელი, რომელსაც განვიხილავთ, ეხება უკუკავშირს (განმავითარებელ კომენტარსა) და თვითრეგულაციას.

მოდელი ეფუძნება ბატლერისა და ვინის (Butler & Winne) ნაშრომს. როგორც ცხიდი 20-დან ჩანს, ნაცრისფერი ნაწილი სტუდენტის შინაგანი პროცესებია და მიუთითებს, როგორ უწევს საკუთარი სწავლისა და შესრულების პროცესს სუპერვიზიას თავად სტუდენტი. ასევე, ხაზს უსვამს შინაგანი უკუკავშირის მნიშვნელობას აღნიშნულ პროცესებში.

ცხიდი 20: განმავითარებელი შეფასებისა და თვითრეგულირებადი სწავლის მოდელი



განმავითარებელი შეფასებისა და თვითრეგულირებადი სწავლის მოდელში, მასწავლებლის მიწოდებული დავალება სტუდენტების ჯგუფისთვის აღიქმება თვითრეგულირებადი პროცესების წინაპირობად. დავალებაში მონაწილეობა მოითხოვს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მოტივაციას, დავალების შინაარსის ინტერპრეტირებას, ამ პროცესების შედეგად კი სტუდენტი ისახავს დავალების მიზნებს. მიზნები დახმარება მას შესაბამისი სტრატეგიების დასახვასა და გამოყენებაში, რათა მიაღ-

წიოს სასურველ შედეგს. შედეგები იყოფა შინაგან და გარეგან ტიპებად. სწავლის შინაგანი შედეგი დაკავშირებულია კოგნიტურ ან აფექტურ/ მოტივაციურ საკითხებთან და დგება დავალებაში ჩართულობისას, როდესაც იზრდება დავალების გაგების დონე და იცვლება შესაძლებლობების შესახებ სტუდენტის თვითპერცეფცია. სწავლის გარეგანი შედეგები დაკავშირებულია მიღებულ პროდუქტებსა და ქცევებთან, რომელიც დასრულებულ სახეს წარმოადგენს (მაგ: პრეზენტაცია, ესე და ა.შ.).

დავალებებსა და შედეგებს შორის ურთიერთქმედებაზე სუპერვიზიის საშუალებით მიიღწევა შინაგანი უკუკავშირი კოგნიტურ, მოტივაციურ და ქცევით დონეზე. უკუკავშირი მიმართულია დასახულ და მიღწეულ მიზნებს შორის შესაბამისობის დადგენაზე. თვითშეფასების შედეგად მიღებული უკუკავშირი ეხმარება სტუდენტს განსაზღვროს შესაბამისი ცვლილების საჭიროება.

რაც შეეხება გარეგან უკუკავშირს, სტუდენტი მას იღებს ლექტორის, ჯგუფელებისა თუ ონლაინ შეფასების საშუალებით. მნიშვნელოვანია გარეგანი უკუკავშირის ინტერნალიზება, რათა მან შემდგომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სწავლის პროცესზე.

მოდელზე დაყრდნობით, ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა შესაბამისად დაგეგმონ შეფასების დიზაინი სტუდენტების თვითრეგულაციური უნარების განვითარებისთვის, რათა შემსწავლელები უფრო ეფექტიანები იყვნენ სწავლის პროცესის წარმართვისას.

## შეფასების ტიპები

ჩვენ ვისაუბრეთ შეფასების არსსა და მნიშვნელობაზე, დიზაინსა და მოდელებზე, ახლა მიმოვიხილოთ შეფასების ტიპები, ინსტრუმენტები, რისი საშუალებითაც ფასდებიან სტუდენტები შესრულებული სამუშაოსთვის.

**განმსაზღვრელი შეფასება** სტუდენტის პროგრესის შეფასებაა ქულათა ჯამის გამოთვლის საშუალებით, იქნება ეს სპეციალიზებული გამოცდის ქულები თუ კურსის ფარგლებში დაგროვებული ქულების ჯამი. შეფასების ეს ტიპი იძლევა შემსწავლელების კლასიფიცირების საშუალებას

მცირე დროში, მათი მოსწრების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასება ლექტორებისგან ნაკლებ ძალისხმევასა და დროით რესურს მოითხოვს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალისთვის მრავალრიცხოვანი კურსების შემთხვევაში.

**ცხიდი 21: შეფასების ტიპები**

განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი უკუკავშირი
<p>ნებისმიერი შესრულებული სამუშაო, რომელიც ფასდება ქულით და გამოიყენება შედეგის განხილვისთვის. კურსის ბოლოს ქულის დაჯამების შედეგად განისაზღვრება ზილო/კვალიფიკაციის მინიჭება</p>	<p>ნებისმიერი დავალება ან აქტივობა სტუდენტის სწავლასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც მას მიეწოდება უკუკავშირი. განმავითარებელი შეფასება არ მოიცავს ქულას, რომელიც განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება</p>	<p>ნებისმიერ ინფორმაცია, პროცესი ან აქტივობა, რომელიც აჩვენებს სტუდენტის სწავლას და ეყრდნობა განმსაზღვრელი ან განმავითარებელი შეფასების აქტივობებს.</p>

განმსაზღვრელი შეფასების სარგებლისა და სირთულეების შესახებ სხვადასხვა აზრს გამოხატავენ ავტორები. ბიგსი (Biggs) მიიჩნევდა, რომ ტესტირება ყოველთვის არ უწყობდა ხელს კარგ სწავლას და ზოგჯერ მას არასახარბიელო ეფექტი ჰქონდა შემსწავლელებზე. ვენგისა და ჩენგის (Hwang & Chang) თანახმად, ზოგჯერ გამოცდებში მიღებული ან დაგროვებული დაბალი ქულა სტუდენტებში შფოთვის იწვევს, ამასთან იმატებს საკითხისა და სწავლის შესახებ გაუგებრობის დონე, რადგან ვერ ხვდებიან კონკრეტულ შეცდომებსა და გადაჭრის გზებს, რაც შედეგად შემსწავლელების მოტივაციის ვარდნას იწვევს. განმსაზღვრელ შეფასებას ხშირად აკრიტიკებენ, რადგან ის დამოკიდებულია სტუდენტის უნარზე, გაიგოს კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა და შესაბამისი ძალისხმევა ჩადოს სწავლის გაუმჯობესების პროცესში. ამ ტიპის შეფასებას ნაკლები კავშირი აქვს სწავლის გაუმჯობესების ფენომენტთან.

გამოიყოფა განმსაზღვრელი შეფასების სირთულეები:

- განმსაზღვრელი შეფასება აფასებს ცოდნასა და უნარებს შემეცნებით პროცესებზე ყურადღების ფოკუსირების გარეშე. კვლევები კი სწორედ შემეცნებითი პროცესების მნიშვნელობას უსვამს ხაზს;
- განმსაზღვრელი შეფასება ვერ ეხმარება სტუდენტს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, ის მხოლოდ შეზღუდულ ინფორმაციას იძლევა სტუდენტის გაგების დონის შესახებ და შესაბამისად, ლექტორს არ აქვს შესაბამისი ინტერვენციის შესაძლებლობა;
- განმსაზღვრელი შეფასება დროის კონკრეტულ მომენტში მიუთითებს სტუდენტის მიღწევის მაჩვენებელზე და არ ასახავს პროგრესს გარკვეული დროის მონაკვეთის მანძილზე;
- განმსაზღვრელი შეფასება აღიქმება უსამართლო მეთოდად, ხშირია მიკერძოების შემთხვევები, ზოგჯერ შემფასებელი უსამართლოა სტუდენტებთან მიმართებაში.

**განმავითარებელი შეფასების** ძირითადი პრინციპია ხელი შეუწყოს მოსწავლის სწავლას შესრულების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის შედეგად. განმავითარებელი შეფასება კომპლექსური საკითხია. შეფასების ამ ტიპს დენენი (Dennen) ლექტორისა და სტუდენტისთვის თანაბრად პროგრესულ ფორმად განიხილავს, რომელიც მათი სწავლა-სწავლების პროცესებში ჩართულობის განმსაზღვრელი ფაქტორია. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სტუდენტის საჭიროებებზე მოსარგებად, რათა მან შეცვალოს საკუთარი სწავლის სტილი და გააუმჯობესოს ის.

განმავითარებელი შეფასება სტუდენტის სწავლის პროცესის ხელშემწყობი ფენომენია. მისი მთავარი ფოკუსია დაეხმაროს შემსწავლელს გაიგონ მათი სწავლის დონე და მიღწევა, განსაზღვრონ მოლოდინები და სტანდარტები. თუმცა, შეფასების ეს ფორმა არა მხოლოდ სტუდენტზეა ორიენტირებული, არამედ ეხმარება ლექტორს დაინახოს შემსწავლელის რეალური პროგრესი დროში. ეს პროცესი პროფესორის სწავლების თვითშეფასების საშუალებასაც იძლევა, რადგან ზოგჯერ სწორედ ლექტორს უწევს სწავლების პროცესის მოდიფიცირება სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელსაც განმავითარებელი შეფასების გაცემის პროცესში ხედავს.

განმავითარებელი შეფასება შედგება ოთხი მთავარი კომპონენტისგან: შეფასების როლი, შეფასების სიხშირე, შეფასების ფორმატი და უკუკავშირი. შეფასების როლზე ვრცლად ვისაუბრეთ წინა თავში, ახლა კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მისი ფუნქცია სწავლის პროცესის პრიორიტეტულობა და შემსწავლელის მხრიდან მისი დაგეგმვაა განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის სიხშირე მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტის, ასევე ლექტორისთვის, სწავლა-სწავლების პროცესში მოდიფიცირების მიმართულებით. შეფასების ფორმატის მრავალფეროვნება ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს სწავლის პროცესში, არსებულ მდგომარეობასა და დასახულ მიზანს შორის არსებული განსვლის უკეთ გამოსაკვეთად. უკუკავშირი კონსტრუქციული სახელმძღვანელო პრინციპია სტუდენტისთვის, განსჯის გარეშე.

განვიხილოთ განმავითარებელი კომენტარის პოზიტიური გავლენა სტუდენტების სწავლის პროცესზე:


- სტუდენტები თავისუფლად საუბრობენ სირთულეებზე ლექტორთან და ჯგუფებთან ერთად. კარგი განმავითარებელი შეფასება კარგი სწავლის შესაძლებლობას იძლევა. უკუკავშირი დავალებების შესახებ შეესაბამება სწავლის მიზნებს;
- სტუდენტები მეტად რისკავენ, რადგან განმავითარებელ შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებისგან განსხვავებით, არ აქვს მაღალი სტანდარტი და არ ფასდება ქულით, არ ახასიათებს სანდოობა და ვალიდობა;
- სტუდენტებთან დიალოგის წარმოების შესაძლებლობა სწავლის საჭიროებების შესახებ;
- სტუდენტები მოტივირებულები არიან ცოდნასა და გაგებაზე და არა ქულის მიღებაზე. შემსწავლელების მოტივაციის ზრდასთან ერთად, ისინი თვითრეგულირებადი შემსწავლელები ხდებიან;
- დამოუკიდებელი სწავლის პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;
- სტუდენტისთვის თვითშეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების შესაძლებლობა.

ბოლოს ვახსენეთ თანამშრომლობითი გარემოს ხელშეწყობა, რაც მოიცავს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტები არ



უშინდებიან შეცდომების დაშვებას, კითხვების დასმას საკითხის გაუგებარი ნაწილების შესახებ, ექსპერიმენტების ჩატარებას და აცნობიერებენ, რომ ეს სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია. შეცდომების დაშვება სწავლის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორია.

ცხიდი 22: განმსაზღვრედი და განმავითარებელი შეფასების შედახება



მიუხედავად ბევრი სარგებლისა, განმავითარებელი შეფასება ზოგჯერ გამოწვევაა სტუდენტებისთვის, რადგან ისინი კომენტარს ვერ აღიქვამენ შეფასების ტიპად, ან ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ლექტორის ამოცანაა, განუვითაროს მათ სწავლის შესაბამისი უნარები უკუკავშირზე დაყრდნობით. რაც მთავარია, მათ სწორად უნდა მიაწოდონ უკუკავშირი შემსწავლელებს, რომელიც იქნება სტრუქტურირებული და კონსტრუქციული, რათა დაეხმაროს და მოტივაცია გაუზარდოს სტუდენტს.

**განმავითარებელ უკუკავშირსა** და განმავითარებელ შეფასებას შორის მჭიდრო კავშირია. უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების ძირითად

კომპონენტად განისაზღვრება. ის განიმარტება, როგორც მიწოდებული დავალების შედეგად სტუდენტის საჭიროებებისა და სირთულეების იდენტიფიცირების საშუალებით გაცემული კონსტრუქტიული კომენტარი, რომელიც სწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. სწავლა მუდმივად, განგრძობით რეჟიმში ცოდნისა და უნარების ცვლილების პროცესია უკუკავშირის დახმარებით, იქნება ეს ვერბალური თუ წერილობითი სახით. განმავითარებელ უკუკავშირს დამატებით განმარტავენ, როგორც ნებისმიერი სახის ინფორმაციას პროცესისა თუ აქტივობის შესახებ, რომელიც აჩქარებს სწავლის პროცესს და საშუალებას აძლევს სტუდენტს მიაღწიოს წარმატებას მოკლე დროში.

განმავითარებელი უკუკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ასპექტი, მისი მიწოდების დროა. მრავალი კვლევით, მათ შორის ლისა და დე ლუკას (Li & De Luca) ნაშრომებით დადასტურებულია, რომ მყისიერი უკუკავშირი, რომელიც შესაბამის პირობებშია მიწოდებული, ზრდის სტუდენტის შესაძლებლობას, განსაზღვროს სწავლის სირთულეები და ძალისხმევა, რომელიც მიზნის მიღწევის პროცესში უნდა ჩადოს. გადავადებული უკუკავშირი სტუდენტისთვის ამ პროცესებს ართულებს, რადგან მას დამატებითი დრო სჭირდება მიწოდებული ინფორმაციისა და განხორციელებული აქტივობის დაკავშირებისთვის.

ეფექტიანი განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების ძირითადი პრინციპები გამოიყოფა, ესენია:

- სტუდენტებისთვის სასწავლო მიზნების მკაფიოდ მიწოდება/ახსნა;
- შემსწავლელებისთვის გაზომვადი, ობიექტური, მყისიერი უკუკავშირის მიწოდება სწავლის კონკრეტული პროცესის შესახებ;
- მნიშვნელოვანია განმავითარებელი უკუკავშირი გამოყენებულ იქნას სწავლის ახლანდელი მდგომარეობისა და სწავლის დასახული მიზნების დასაკავშირებლად;
- რეკომენდებულია განმავითარებელი უკუკავშირი ატარებდეს ეფექტიანი და ხარისხიანი რჩევის ფორმას.

განმავითარებელი უკუკავშირი უკავშირდება განმსაზღვრელ შეფასებას. ის გამოიყენება არა მხოლოდ ლექტორების, არამედ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმად. განმავითარებელი უკუკავშირი სტუდენტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას სწავლის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

რეობასა და მისაღწევ სწავლის შედეგებს შორის კავშირზე, კონკრეტულად რა სახის პროგრესს საჭიროებს სწავლის პროცესი, დასახულ მიზანთან მეტად მისაახლოვებლად. მნიშვნელოვანია, უკუკავშირი იყოს გასაგები ენით მიწოდებული, რათა მისი გათვალისწინების ალბათობა გაიზარდოს და სტუდენტებს ხელი შეუწყოს რეკომენდაცია აქტივობად აქციონ.

განმსაზღვრელ შეფასებაზე დაყრდნობით გაკეთებული განმავითარებელი უკუკავშირი შესაძლებლობას აძლევს ლექტორს მიუთითოს, სტუდენტმა დავალებაში რა შეასრულა კარგად, სამუშაოს რა ნაწილში დარჩა სირთულეები და რა აქტივობების განხორციელებაა საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

ხშირად შეფასების სხვადასხვა ტიპის მომხრეები განხილავენ მათ ფორმებს. სტუდენტების პერსპექტივიდან განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც რიცხვების სახით მიიღება, ეხმარება მათ საკითხის შეჭამების სახით გააზრებაში. განმსაზღვრელი შეფასება კურსის ბოლოს მიიღება და არ აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას გაიუმჯობესოს სწავლის პროცესი შემდგომ შეფასებამდე.

მიუხედავად სარგებლისა, გამმავითარებელი უკუკავშირი სირთულედ აღიქმება ლექტორების პერსპექტივიდან, რადგან ის მოითხოვს მათგან დიდ დროით რესურსს, რადგან ინდივიდუალური, დეტალური უკუკავშირის მიწოდება სტუდენტებისთვის დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. მით უფრო, როდესაც უკუკავშირის საჭიროება მყისიერია.


## ტაქსონომიები

ჰამდანის (Hamdan) მიხედვით, განათლების სფეროში ტაქსონომია გამოიყენება სტუდენტის მიღწევის შესახებ მოლოდინების კლასიფიკაციის ჩარჩოდ. განათლების მეცნიერებებში ტაქსონომიის ჩარჩო გამოიყენება მაღალი სააზროვნო უნარების, კოგნიტური შესაძლებლობებისა და გამოცდების შეფასების საზომად. ამ თავში მიმოვიხილავთ ყველაზე გავრცელებული ტაქსონომიების ჩარჩოს, როგორცაა ბლუმის (Bloom), ანდერსონის (Anderson) ვილსონის (Wilson) და სოლო (SOLO) ტაქსონომიებსა და მათ ეფექტიანად გამოყენებას უმაღლესი განათლების საფე-

ხურზე. ტექსონომიების უმრავლესობას აქვს როგორც მსგავსი, ასევე განმასხვავებელი ნიშნები.

ბენჟამინ ბლუმმა შეიმუშავა სწავლების ტექსონომია, რომელიც ტესტებისა და შეფასების განვითარების საზომი ინსტრუმენტია. **ბლუმის ტექსონომია** მოიცავდა სამ განზომილებას: კოგნიტურს, აფექტურსა და ფსიქომოტორულს. კოგნიტური განზომილება შედგებოდა მენტალური უნარებისა და პროცედურული ცოდნისგან, აფექტური განზომილება – თვითობის, განწყობების ემოციური განვითარებისგან, ხოლო ფსიქომოტორული განზომილება – ფიზიკური უნარებისგან. კოგნიტური განზომილება დაყოფილია მაღალ და დაბალ სააზროვნო უნარებად. შემეცნების ექვსი დონე გამოიყოფა: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.







ცხიდი 23: ბლუმის ტექსონომია



ცოდნა ტექსტონომიის ყველაზე დაბალი საფეხურია, რომელიც უსწრებს მაღალ სააზროვნო უნარებს. გაგების დონე სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ და გამოიყენონ მიწოდებული ინფორმაცია, განსაზღვრონ მიღებული და მოსალოდნელი შედეგები. გამოყენების დონე საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკული მნიშვნელობით, ყოველდღიურ პრობლემებთან გასამკლავებლად. უმაღლესი სააზროვნო დონეა ანალიზის საფეხური, როდესაც სტუდენტი მიღებულ ცოდნას აკავშირებს შესაბამისობების დადგენის, შედარებების გაკეთების უნართან, ანალიზის დონეზე მას შეუძლია შექმნას რაიმე ახალი და გადაჭრას პრობლემა. უმაღლეს საფეხურზე, შეფასების დონეზე სტუდენტს აქვს განსჯისა და შეფასების შესაძლებლობა.

ბლუმი თავად აღნიშნავდა ტექსტონომიის გასაუმჯობესებელ მხარეებს. მან გააცნობიერა, რომ მისი ცოდნის კატეგორიასა და დანარჩენ ხუთ დონეს შორის ფუნდამენტური განსხვავება იყო, რადგან შემდგომი ხუთი დონე ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და უნარებს უკავშირდებოდა. გარდა ამისა, მეტაკოგნიტური ცოდნა არ შედიოდა ცოდნის პირველ საფეხურზე და ის უგულებელყოფილი დარჩა.

ცხილი 24: ბლუმისა და ანდერსონის ტექსტონომიების შედარება

ბლუმის ტექსტონომია		ანდერსონის ტექსტონომია
• შეფასება		• შექმნა
• სინთეზი		• შეფასება
• ანალიზი		• ანალიზი
• გამოყენება		• გამოყენება
• გაგება		• გაგება
• ცოდნა		• გახსენება

ბლუმის ტაქსონომიის რევიზია ანდერსონმა, ბლუმის სტუდენტმა განახორციელა და შეიტანა სამი სახის ცვლილება, რომელიც მოცემულია ცხილი 24-ზე. ანდერსონმა კატეგორიებს შეუცვალა სახელები და გარდაქმნა ისინი პროცესებად, ხოლო შეფასებაზე მაღალ სააზროვნო უნარად შექმნა წარმოადგინა. ცოდნა შეიცვალა გახსენების კატეგორიით.


ბლუმის ტაქსონომიას ანდერსონის ტაქსონომიასთან შედარებით მეტი უპირატესობა აქვს. მისი საშუალებით მარტივდება სასწავლო მიზნების განსაზღვრა და სტუდენტების მიმართ მოლოდინების ჩამოყალიბება კურსის დასრულების შემდეგ. ორ შემოთავაზებულ ტაქსონომიას შორის განსხვავება დონეების რაოდენობებს შორის არ არის. არიფინი და მისი კოლეგები (Aripin & colleagues) აღნიშნავენ, რომ ფაქტია, დღეს ბლუმის ტაქსონომია ეფექტიანია სწავლების პროცესის შეფასებისას. სწორედ ის დაედო საფუძვლად სხვა ცნობილ ტაქსონომიებს, ამის მიუხედავად, მას აქტიურად იყენებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

გთავაზობთ, ჩანდიოსა და მისი კოლეგების (Chandio & colleagues) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ რეკომენდაციებს ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებასთან დაკავშირებით:

- ბლუმის ტაქსონომია ინტეგრირებული უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესებსა და შეფასების პრაქტიკაში;
- შეფასების მიდგომები უნდა მოიცავდეს როგორც დაბალ, ასევე მაღალ სააზროვნო უნარებს;
- მნიშვნელოვანია კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული მიდგომების დამატება შეფასების სისტემაში, რომელშიც სწავლა-სწავლების პროცესის მარტივი დონე – დამახსოვრება, ზეპირად სწავლა, ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაა;
- შეფასების პროცესში, დავალებებში ტესტები არ უნდა განმეორდეს.

ვილსონის ტაქსონომია ბლუმის ტაქსონომიის შემცირებულ ვარიანტს წარმოადგენს და ოთხი დონისგან შედგება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სინთეზისა და შეფასების ფაზები არ არსებობს. ვილსონის ტაქსონომიაში ორივე საფეხური ინტეგრირებულია ანალიზის დონესთან.











ცხიდი 25: ვიგსონის ტაქსონომია



SOLO ტაქსონომია აღწერს სტუდენტის შესრულების დონეს და ფართოდ გამოიყენება უმაღლესი განათლების საფეხურზე შედეგებზე დაფუძნებული კურსებისა და მასალების შესაქმნელად, სტუდენტების უნარების გაუმჯობესების მიზნით. ტაქსონომია ვარაუდობს, რომ გაგების დონე თანდათანობით უმჯობესდება და უფრო სტრუქტურირებული ხდება აკადემიური ამოცანების შესრულების შედეგად. ტაქსონომიას იერარქიული, ხუთსაფეხურიანი სტრუქტურა აქვს და მარტივიდან რთული-კენაა დალაგებული.

SOLO ტაქსონომიის ავტორები, ბიგსი და თანგი (Biggs & Tang) აღნიშნავენ სწავლის შედეგების ორ ძირითად ცვლილებას, დეტალების რაოდენობასა და სწავლის ხარისხში, რაც ნიშნავს სტუდენტის გაცემულ პასუხებში მეტ დეტალიზებას, იდეების ორგანიზებასა და ინტეგრირებას შესაფასებელ დავალებასთან მიმართებით.

ცხიდი 26: SOLO ტექსონომია

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	აბსტრაქტული
				
სწავლის შედეგები არატორბანიზებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელია	სწავლის შედეგებს შორის ბარკვეული კავშირია, თუმცა მნიშვნელოვანი არ არის კარბად გააზრებული	სწავლის შედეგებს შორის კავშირები გამოკვეთილია, მაგრამ კომპონენტები არ არის მთლიანობაში გააზრებული	სწავლის შედეგები აწვენებს, რომ იდეები ერთმანეთთან დაკავშირებული და გაერთიანებული უფრო გობადი იდეის ქვეშ	სწავლის შედეგებით ვლინდება საკითხის სიღრმისეული წვლობა, სხვა ცნებებთან დაკავშირება, გენერალიზება, შეფასება, კითხვების შემუშავება
არს ერთი იდეა	ერთი იდეა	რამდენიმე დაუკავშირებელი იდეა	დაკავშირებული იდეები	გაფართოებული იდეები
				

ტექსონომიის *პრესტრუქტურულ* დონეზე სტუდენტს არ აქვს იდეა და ვერ სცემს კითხვას პასუხს, თითქოს მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოტოვა და ვერ გაიგო. *უნისტრუქტურულ* დონეზე შემსწავლელი პასუხს სცემს კითხვას, თუმცა ის კითხვის ერთ ან ორ ცალკეულ ელემენტზე ორიენტირდება, ზედაპირული სწავლის მიდგომის თანახმად. პირველ და მეორე დონეზე რთულია სტუდენტის საკითხებისა და ცნებების გაგების დონის დადგენა. *მულტისტრუქტურულ* დონეზე პასუხის რამდენიმე შესაბამისი იდეაა გაფლერებული, თუმცა კითხვის მთლიანობა გათვალისწინებული არ არის. ამ დონეზე სტუდენტს თითქოს მცდელობა აქვს არა კითხვაზე პასუხის და პრობლემის გადაჭრის, არამედ გაგების დონის რაოდენობრივი გაზრდის. *მიმართებით* დონეზე პასუხები ურთიერთდაკავშირებულია და არსებობს ცოდნის გენერირების მზაობა პრაქტიკულ დონეზე. *აბსტრაქტულ* დონეზე სწავლის სიღრმისეული მიდგომის გათვალისწინებით, ცოდნა უკავშირდება ახალ განზომილებებს.



ტაქსონომიის პირველი სამი დონე რაოდენობრივ ცოდნაზეა მიმართული, რაც ნიშნავს ცოდნის ზრდის პროცესს, როგორც კურიკულუმის ერთ-ერთ მიზანს, ხოლო მეოთხე და მეხუთე დონე სიღრმისეულ სწავლებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, შეფასება ხუთივე დონეზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა სწავლის პროცესის ხელშეწყობა უმაღლეს საფეხურებზე შეძლოს.

## თავი 8. თვითშეფასება – როგორც სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობა

თვითშეფასების შეფასების მეთოდად მოხსენიება სხვადასხვა ლიტერატურაში პირველად 50 წლის წინ მოხდა, თუმცა ბოლო 20 წლის განმავლობაში დაიწყო თემის სერიოზულად შესწავლა და თვითშეფასების სისტემატიურად გამოყენება როგორც სასწავლო, ასევე შეფასების მიზნებისთვის. ახლა უკვე აღიარებულია, რომ საკუთარი ნამუშევრის შეფასების უნარი მნიშვნელოვანი ელემენტია სწავლის უმეტეს ფორმებში და რომ ეს არის უნარი, რომელიც უნდა განვითარდეს, რათა სტუდენტები ეფექტიანად ჩაერთონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაში.

დევიდ ბოუდი (David Boud) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ არსებობდა თვითშეფასების განვითარების ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც ერთმანეთისგან გარკვეულწილად დამოუკიდებლად გაჩნდა. პირველ მიმართულებაში თვითშეფასება ფორმალური შეფასების ასპექტში განიხილებოდა და მისი სანდოობის განსაზღვრის მიზნით შედარება ხდებოდა პროფესორის შეფასებასთან. მეორე მიმართულება ნაკლებად იყო ფოკუსირებული ამ რაოდენობრივ ასპექტებზე და ძირითადად, ეხებოდა იმ გზების შემუშავებას, რომლითაც სტუდენტები ხდებოდნენ უფრო კრიტიკულები, როგორც კონკრეტული საგნის მიმართ, ისე ზოგადად მათი სასწავლო უნარ-ჩვევების მიმართ.

შედარებით განზოგადებული სახით შეგვიძლია გამოვყოთ თვითშეფასების რამდენიმე უპირატესობა, მათ შორისაა:

- სტუდენტებისათვის აქტიური ჩართულობის შესაძლებლობების მიცემა კარგად სწავლის კომპონენტის განსაზღვრაში;
- სტუდენტებისათვის სწავლის სარწმუნო მტკიცებულებების განსაზღვრა;
- თუ სტუდენტის შესრულება (მიღწეული შედეგი) და სწავლის პროდუქტი თანხვედრაშია შეფასების კრიტერიუმებთან ინდივიდი იწყებს ეფექტიან პროფესიულ მოქმედებას.

თვითშეფასება, როგორც სტუდენტების მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდი დღეს სულ უფრო მეტად გვხვდება უმაღლესი განათლების საფე-

ხურის სხვადასხვა კურსში. თვითშეფასების უნარის განვითარება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მიზანი რომელიც დაეხმარება სტუდენტს სწავლაში. თვითშეფასება სულ უფრო მეტად აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო სისტემაში როგორც სტუდენტებს წახალისების შესაძლებლობა თვითკონტროლის აქტივობებში ჩასართავად. საკამათოა თვითშეფასების გამოყენება, როგორც შეფასების ფორმალური პროცედურების ნაწილი, ანუ როგორც აქტივობა, რომელიც მოიცავს სტუდენტის რაოდენობრივ შეფასებას, როგორც ოფიციალურად დაფიქსირებულ შეფასების კომპონენტს.

მაგალითად, თუ ლექტორის მიერ გაკეთებული ფორმალური შეფასებები სტუდენტების ქულობრივ რეიტინგს დაბლა წევს არის შანსი, რომ თვითშეფასებისას თავიანთი შესრულებისადმი არარეალური შეფასება წარმოადგინონ. მოცემული მაგალითი აჩენს კითხვას – რამდენად თანხვედრაშია თვითშეფასება და ლექტორის შეფასებები ერთმანეთთან? მათი თანხვედრის მიზნით კი მნიშვნელოვანია, რომ ლექტორი და სტუდენტი წინასწარ შეთანხმდნენ შეფასების კრიტერიუმებზე, რომ თითოეული მათგანის გაკეთებული შეფასებები იყოს მსგავსი.

რატომ გახდა თვითშეფასება სტუდენტის ქულობრივი შეფასების კომპონენტი? თუ თვითშეფასება თავისთავად ღირებული საქმიანობაა, რატომ უნდა განვიხილოთ მისი გამოყენება ქულობრივი შეფასების მიზნებისთვის? კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივია – თუ უმაღლესი განათლების სისტემა ახალისებს სტუდენტებს, რომ ორიენტირებული იყვნენ ნამუშევარზე, რომელიც ფასდება, მათ თვითშეფასების დროსაც ქულის მიღების მოლოდინი ექნებათ. შესაბამისად, სტუდენტებს ნაკლებად სურთ ჩაერთონ სამუშაოში, რომელსაც არ აქვს გარეგანი ჯილდო. საკითხზე საუბრისას შეგვიძლია პარალელი გავავლოთ უკვე განხილულ მოტივაციის თემასთან და აღვნიშნოთ, რომ თუ სტუდენტს აქვს სწავლის გარეგანი მოტივაცია, ის თვითშეფასების დროსაც კი მოძებნის რაიმე გარეგან განმატიკიცებელს.

შეფასების პროცესში თვითშეფასების გამოყენება შეიძლება იყოს ძალიან პროდუქტული გზა განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის წასახალისებლად და სტუდენტეთა შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად. თვითშეფასება ეხმარება სტუდენტებს

რეფლექსური უნარების გამომუშავებასა და თვითგანვითარებაში, ასევე სხვა წყაროების მიერ გაკეთებული შეფასებისა და უკუკავშირის გაგებაში. ასევე, სტუდენტთა ნახალისება თვითშეფასებაში მონაწილეობის კუთხით და საკუთარ სასწავლო მიზნებზე რეფლექსიაში ეფექტიანია სწავლისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. სტუდენტები მეტ სარგებელს ნახავენ მიღებული უკუკავშირიდან, თუ ჩვენ განვუვითარებთ თვითშეფასების უნარებს. თვითშეფასება ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებს სწავლის ალტერნატიული შესაძლებლობებით.

თვითშეფასებას ასევე შეუძლია აკადემიური პერსონალის დროის მნიშვნელოვანი დაზოგვა უკუკავშირის მიწოდებისას, თუმცა პერსონალის დატვირთვის შემცირება არ უნდა იქნეს გამოყენებული თვითშეფასების ეფექტიანობის პირველად დასაბუთებად. აირონის (Irons) ნაშრომის მიხედვით, თვითშეფასება შეიძლება დაკავშირებული იყოს სტუდენტების შფოთვისთან, ისინი ფიქრობენ, რომ:

- აკეთებენ ლექტორის საქმეს;
- არ აქვთ საგნის ისეთი ღრმა ცოდნა, რომ გასცენ უკუკავშირი;
- არ აქვთ პედაგოგიური შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია, შფოთვის პირველ ასპექტთან (თვითშეფასებისას სტუდენტი აკეთებს ლექტორის საქმეს) დაკავშირებული განმარტებები მიეწოდოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწავლებისა და შეფასების ყველა გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა იყოს გამჭვირვალე, არამედ იმიტომ, რომ აუცილებელია სტუდენტების გვერდით დგომა ჯანსაღი ხედვის ჩამოყალიბების პროცესში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ რეალობასა და გარემოში, სადაც გავრცელებული რწმენაა, რომ შეფასება ლექტორის პასუხისმგებლობაა. აღნიშნული მიდგომა ზოგიერთ სტუდენტს უჩენს უკმაყოფილების განცდას უკმაყოფილო ლექტორის მიერ მათი სამუშაოს სტუდენტებისათვის დაკისრების გამო.

დისკუსიით, მკაფიო მიმართულების მიცემით, მხარდაჭერით და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებით, ეს შფოთვა შეიძლება დაიძლიოს. დროისა და ძალისხმევის მცირე ინვესტიცია იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ თვითშეფასების არსში გარკვევა, შესაბამის შედეგს გამოიღებს. გარდა ამისა, თვითშეფასება ეხმარება სტუდენტს შეფასების პროცესის გაგებაში. მათ უკეთესად ესმით ის ფორმალური უკუკავშირი, რომელსაც

პროფესორები აძლევენ. თვითშეფასება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ განვითარებაზე და მკაფიოდ დაუსახონ თავიანთ თავებს მოლოდინები. გარდა იმისა, რომ თვითშეფასება არის პედაგოგიურად გამართული შეფასების ინსტრუმენტი, ის ასევე შეიძლება ემსახურებოდეს პრაქტიკულ ფუნქციას.

შეფასებით გამონვეული დადლილობა ყველა პროფესორისთვის ნაცნობი განცდაა. ამ დადლის გამონვევად შეიძლება ჩაითვალოს ლექტორის შეფასების წარსული მეთოდების გამოყენების დაშვება. მაგ., ერთი სტუდენტის მუშაობის შედარება მეორესთან მიმართებით. უკუკავშირი ხდება უფრო მოკლე და ნაკლებად ინდივიდუალური და, შესაბამისად, ნაკლებად სასარგებლო სწავლისთვის. თუმცა, თუ სტუდენტები აფასებენ საკუთარ ნამუშევრებს, მითითებულ სტანდარტებთან ან მათ მიერ დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ისინი არა მხოლოდ უთავისუფლებენ პროფესორებს დროს მეტი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის, არამედ მათ მოუწოდებენ დაფიქრდნენ საკუთარ ნამუშევარსა და სტანდარტებზე. თვითშეფასებამ შეიძლება მკვეთრად შეამციროს ლექტორის შეფასების დატვირთვა, მაშინაც კი, როდესაც გამოიყენება ჩვეულებრივი შეფასებები, როგორცაა გამოცდა ან დავალება. თვითშეფასების გამოყენებით განსაკუთრებით კარგად ფასდება ისეთი ინტერპერსონალური უნარები, როგორცაა გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა, რომლებსაც ჩვენ დასაქმების ნაწილზე საუბრის დროს შევხვეთ.

## თვითშეფასების პრაქტიკული გამოყენება

თვითშეფასება სასწავლო კურსების განხორციელებისას მნიშვნელოვან ნაწილად განიხილება, რადგან ის უკავშირდება საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ ცენტრალურ მიზანს – საშუალებას აძლევს სტუდენტებს გახდნენ ეფექტიანი და პასუხისმგებელი სტუდენტები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ განათლება ლექტორისაგან ან კურსების ხელმძღვანელისაგან ჩარევის გარეშე. კონკრეტულად, დევიდ ბოუდი (David Boud) აღნიშნავს, რომ:

**თვითშეფასება ეს არის აუცილებელი უნარი უწყვეტი სწავლისათვის** – ყველა სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია განვიითაროს უნარი, რაც დაეხმარება საკუთარი საქმიანობის რეალისტურ შეფასებაში და

მისცემს შესაძლებლობას ეფექტიანად აკონტროლოს საკუთარი სწავლა. სწავლა შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტი სწორად განსაზღვრავს იმას, რაც უკვე იცის და მისთვის ცნობილია, ის რაც რჩება გასაცნობი/შესასწავლი/შესამეცნებელი და ბოლოს, რა არის საჭირო ამ ორს შორის არსებული სხვაობის დასაძლევად. თვითშეფასების უნარის განვითარება დაეხმარება სტუდენტს გააგრძელოს განათლება ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ. კურსდამთავრებულებს, რომლებიც ავლენდნენ თვითშეფასების უნარებს სწავლებისას, უფრო მეტად:

- აქვთ მზაობა და სურვილი გააგრძელონ სწავლა;
- იციან რა და როგორ გააკეთონ;
- შეუძლიათ აკონტროლონ საკუთარი შესრულება სუპერვიზორის მუდმივი მითითების გარეშე;
- ველით, რომ აიღებენ სრულ პასუხისმგებლობას მათ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე.

**თვითშეფასება უნდა განვითარდეს საუნივერსიტეტო კურსებში** – სასურველია, რომ თვითშეფასების უნარი განვითარდეს განათლების ადრეულ საფეხურებზე, თუმცა დღეს არსებული მდგომარეობა აჩვენებს, რომ სტუდენტები აშკარად არ შედიან უმაღლეს სასწავლებლებში ამ უნარით სრულად განვითარებულები. ეს არის უნარი, რომელიც უნდა განვითარდეს კონკრეტულ სფეროებთან და ცოდნის ტიპებთან მიმართებაში. შესაბამისად, მიზანშეწონილია განვითაროთ თვითშეფასების მთელი რიგი უნარები სხვადასხვა სასწავლო კურსების მეშვეობით. თვითშეფასების უნარის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც უნდა ინტეგრირდეს ბაკალავრიატის საფეხურში. თუ სტუდენტებს სურთ სწავლის ეფექტიანად გაგრძელება უნივერსიტეტის პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ, აქვთ მზაობა და მოტივაცია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში, მათ უნდა დაიწყონ სტუდენტობის წლებში საკუთარი მიღწევების შეფასების უნარების განვითარებაზე ზრუნვა.

**თვითშეფასება აყალიბებს აზროვნების მნიშვნელოვან ნაწილს** – როგორცაა ავტონომიურობა, თვითრეგულაცია და დამოუკიდებლობა სწავლაში. ნებისმიერი სახის ეფექტიანი სწავლის განსახორციელებლად, სტუდენტებმა – რომელ პროგრამაზეც არ უნდა სწავლობდნენ

ისინი – უნდა განავითარონ თავიანთი საქმიანობის მონიტორინგის უნარი და საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ სწავლის სტრატეგიები. ამ პროცესს ფსიქოლოგიაში ეწოდება მეტაკოგნიცია, რაც ნიშნავს პიროვნების ცოდნას, თუ როგორ ისწავლოს მასალა და რა გააკეთოს.

## თვითშეფასების მნიშვნელობა

თვითშეფასება არ არის შეფასების იმ კომპონენტების უბრალოდ ჩანაცვლება, რომელშიც სტუდენტები ჩვეულებრივ ფასდებიან ლექტორების მხრიდან, თუმცა არსებობს მისი გამოყენების მრავალი მაგალითი ასეთ ვითარებაშიც. დევიდ ბოდის (David Boud) მიხედვით, არსებობს მრავალი მიზანი, რისთვისაც თვითშეფასება გამოიყენება. მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

- **ინდივიდუალური თვითკონტროლი და პროგრესის შემოწმება** – სტუდენტები თვალყურს ადევნებენ საკუთარ სწავლას, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ემსახურებიან იმ მიზნებს, რაც თავად დაისახეს ან კიდევ ისეთ მიზნებს, რომელიც დააკმაყოფილებს იმ კურსის შეფასების მოთხოვნებს, რომელშიც ირიცხებიან.
- **კარგი სწავლების გზა და შესაძლებლობა ვიცოდე როგორ ვისწავლო** – საკუთარი სწავლის პროცესის კონტროლი მნიშვნელოვანი მექანიზმია თვითრეგულაციის განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, სასწავლო პროცესი უფრო ეფექტიანია, თუ სტუდენტს შეუძლია როგორც მიზნის მისაღწევი გზის დაგეგმვა, ასევე მიღწევის პროცესში შერჩეული სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება/გადაფასება და პროგრესის მონიტორინგი.
- **შეფასების სხვა ფორმების შემცვლელი მექანიზმი** – სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ფორმა შესაძლოა წინსვლის ისეთი ხელშემწყობი ფაქტორი არ აღმოჩნდეს, როგორც თვითშეფასებაა.
- **სასწავლო აქტივობა, რომელიც შექმნილია პროფესიული ან აკადემიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად** – არსებობს მრავალი უნარი, რომელიც უნდა განვითარდეს პრაქტიკაში, თუმცა იშვიათად თუ არის შესაძლებელი პროფესორმა საკმარისი დრო დაუთმოს პროგრესის სისტემატურ მონიტორინგს, რაც აუცილებელია ამ პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. თვითშეფასება, ხშირად გამოიყენება ბევრ სფეროში, სადაც

საჭიროა ასეთი მჭიდრო მონიტორინგი. მაგალითად, მასწავლებელთა განათლებასა და საექთნო განათლებაში, მრავალი კურსის ცენტრალური მიზანია რეფლექტორული პრაქტიკოსის განვითარება. ეს იქნება ადამიანი, რომელსაც შეუძლია კრიტიკულად იფიქროს საკუთარ პრაქტიკაზე, დაგეგმოს ცვლილებები და დააკვირდეს ამ ცვლილებების ეფექტიანობას. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება ასეთი მიზნების მიღწევა თვითშეფასების მსგავსი სტრატეგიების გამოყენების გარეშე.


- **სწავლის კონსოლიდაცია ფართო კონტექსტში** – სწავლა სულ უფრო ფრაგმენტირებული ხდება კურსების დაყოფის ან ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ნაწილში დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმების არსებობით. თვითშეფასების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოყენებაა. დაეხმაროს სტუდენტებს ამ ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირებასა და გაერთიანებაში.
- **საკუთარი თავის შეცნობა და გაგება** – შეფასების დროს თვითშეფასების გამოყენება ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას, რადგან მისი მეშვეობით იზრდება სტუდენტთა თვითშემეცნება და თვითგაგება.
- **სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაღრმავება** – ეს, ალბათ, ყველაზე ძლიერი მიზეზია სტუდენტების საკუთარ შეფასებაში ჩართვის საჭიროების დასადასტურებლად. სტუდენტებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ დავალების შესახებ, შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით საკუთარი მტკიცებულებების საფუძველზე.
- **დაეხმარონ სტუდენტებს გახდნენ ავტონომიური შემსწავლელი** – სულ უფრო და უფრო გასაგები ხდება, რომ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს საკუთარი თავის განვითარებაში და შეიძინონ უნარები, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი სწავლის ორგანიზებასთან, დროის მენეჯმენტთან, ამოცანების მართვასთან, პრობლემების გადაჭრასთან, და ა.შ. თვითშეფასება შეიძლება იყოს სასიცოცხლო გზა, რათა სტუდენტები დაფიქრდნენ თავიანთ პროგრესზე და შეაფასონ თავიანთი სწავლა. სტუდენტები, რომლებმაც იციან, როგორ მიდის მათი სწავლის პროცესი, ბევრად უკეთ მოემზადებიან თავიანთი ოპტიმალური პოტენციალის დემონსტრირებისთვის ტრადიციულ გამოცდებში.



## თვითშეფასების დანერგვის ეტაპები

ბუნებრივია, თვითშეფასების შეფასების პროცესში განხილვის აქტიურად გამოყენება მის ეფექტიანად დაგეგმვას საჭიროებს. დანერგვის პროცესი ფალჩიკოვის (Falchikov) მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ 4 ეტაპად, ესენია: მომზადება, განხორციელება, მიყოლა და შეფასება, მიმსგავსება (ცხილი 27).

ცხილი 27: თვითშეფასების განხორციელებისა და შეფასების ეტაპები



## თვითშეფასების მდგრადობა

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გასაუმჯობესებლად შეფასების პრაქტიკის ეფექტიანობის შესწავლის ერთ-ერთი გზაა მისი მდგრადობის შეფასება უშუალო პრაქტიკის მიღმა. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში, მდგრადი შეფასება განისაზღვრება, როგორც „შეფასება, რომელიც აკმაყოფილებს ანმეოს მოთხოვნილებებს“

ბებს და არ არღვევს სტუდენტების უნარს, დააკმაყოფილონ საკუთარი მომავალი სასწავლო საჭიროებები“. სტუდენტებისთვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მომავალ სასწავლო საჭიროებებთან დაკავშირებით არის სწავლის თვითშეფასების უნარი. თვითშეფასების უნარი განიხილება, როგორც სტუდენტების შესაძლებლობების ცენტრალური ნაწილი ჩაერთონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაში.

მდგრადი თვითშეფასების კონცეფცია ბოლომდე არ არის ახსნილი. სტუდენტების თვითშეფასების უნარის განვითარება უმაღლესი განათლების მიღმა წარმოქმნილი საჭიროებაა შემდგომი განვითარებისა და კვლევისთვის. მიუხედავად არგუმენტებისა, რომ თვითშეფასება შეესაბამება და სასარგებლოა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ზოგად იდეასთან, ნაკლებად არის აქცენტი იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაკავშირებული იყოს თვითშეფასების დღევანდელი პრაქტიკა მომავალ სასწავლო კონტექსტებთან.

თვითშეფასება არ არის უპრობლემო შეფასების ტიპი. როგორც წინა თავებში განვიხილეთ, იმისათვის, რომ შეფასება იყოს საიმედო, ის უნდა იყოს სანდო და ვალიდური. თვითშეფასებისას ვალიდობის დამადასტურებელი მტკიცებულების მიწოდება (რომ ის, რაც ისწავლება არის რეალურად შეფასებული) შედარებით მარტივია, მაგრამ სანდოობის მტკიცებულების შეთავაზება სისტემაში, სადაც სტუდენტები არა მხოლოდ განსაზღვრავენ საკუთარ კრიტერიუმებს, არამედ აფასებენ საკუთარ ნამუშევარს ამ კრიტერიუმებით, პრობლემურია. მიუხედავად რიგი გამოწვევებისა, ასეთი პრაქტიკის საგანმანათლებლო ღირებულება ბევრად აღემატება ტრადიციის საფუძველზე გაკეთებულ დათქმებს. სტუდენტები აფასებენ საკუთარ სწავლას, იწყებენ იმის გაგებას, თუ რას ნიშნავს პრაქტიკის გავლენა საკუთარ განვითარებაზე და სწავლობენ, როგორ იმუშაონ ეფექტიანად სხვებთან ერთად.

როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, თვითშეფასება სტუდენტების მხრიდან საკუთარი ნამუშევრის შეფასებას გულისხმობს. სტუდენტების შესაფასებელი მტკიცებულება არსებითად პირადი ხასიათისაა, ეს შეიძლება იყოს ჟურნალები, დღიურები, სამოქმედო გეგმები და ა.შ., სადაც შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სტუდენტმა იცის რამდენად კარგად აკმაყოფილებს მისი მტკიცებულებები მიზნებს ან კრიტერიუმებს.


მებს, რომლებიც შექმნილია მის დასაზუსტებლად. თვითშეფასება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ანონიმური. ის შეფასების საერთო პროფილის ნაწილია.

ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომაა საჭირო სტუდენტების ჩართვა შეფასების პროცესში არის ის, რომ ლექტორებს შედარებით შეზღუდული აქვთ წვდომა თავიანთი სტუდენტების ცოდნაზე და ბევრი თვალსაზრისით სტუდენტებს აქვთ უფრო მეტი ინფორმაცია საკუთარი მიღწევების შესახებ.

XXI საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტებში უკვე გაჩნდა იდეა, რომ შეფასებამ ხელი შეუწყოს სტუდენტის ავტონომიურობას. რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტი გახდეს „კრიტიკული შემსწავლელი“, შეძლოს შეაფასოს სხვების წვლილი, თავად დაგეგმოს აქტივობები და პასუხისმგებლობა აიღოს მათზე.

თვითშეფასება არ არის და არ უნდა იყოს შეფასების ფორმალური მეთოდი, მაგრამ ის უნდა იყოს შეფასების შესაძლებლობა, რომელიც დაემხარება შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასა და გაგებაში. გამომდინარე კონცეფციიდან, რომ სწავლება დღეს განიხილება როგორც სტუდენტზე ორიენტირებული პროცესი, შეფასება, როგორც ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, რომ მას პოზიტიური ზეგავლენა ჰქონდეს მისი სწავლის პროცესზე. შეფასების დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რა ისწავლა ან დაიმახსოვრა სტუდენტმა, არამედ ის, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა, ანუ პროცესი. თვითშეფასება ხაზს უსვამს ეფექტიანი კომუნიკაციის საჭიროებას სტუდენტსა და პროფესორის შორის, დარწმუნებას იმაში, რომ გამოყენებული დავალებები და აქტივობები მიზნის შესაბამისია.





მეოთხე ნაწილი

სწავლების ეთიკური  
ასპექტები

ეთიკა დისციპლინაა, რომელიც იკვლევს მორალური ქმედებების საფუძვლებს, ღირებულებებს და განსაზღვრავს სწორ და არასწორ გზებს. ეთიკა ფოკუსირებულია განწყობებსა და ისეთ ქცევებზე, როგორცაა შეფასება, არჩევა, სასურველი ქცევის დაკავშირება ადამიანთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებთან. სხვა განმარტებით, ეთიკის ცნება განისაზღვრება როგორც დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ინდივიდის ქცევის მორალურ სისწორეს, ღირებულებებსა და ნორმებს ქცევის საფუძვლად და ადგენს უნივერსალურ კრიტერიუმებს. ეს კრიტერიუმები მნიშვნელოვანია პროფესიული ეთიკის ფარგლებში, რათა ყველა ლექტორმა განივითარებოს პროფესიული ეთიკის პრაქტიკა და ამასთან, ხელი შეუწყოს სტუდენტის ეთიკურ ქცევას. ეთიკის მიზანი არა მხოლოდ აღწერა და ახსნაა, არამედ განსაზღვრა, როგორ უნდა იმუშაონ ადამიანებმა და აკეთონ საქმე სწორად.

## თავი 10. ეთიკური საკითხები ლექტორის პერსპექტივიდან

### ეთიკური სწავლების პრინციპები

თანამედროვე უმაღლეს განათლებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეთიკურ პასუხისმგებლობებზე, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დაწესებულების, ლექტორისა და სტუდენტის პერსპექტივიდან. უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა მის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოიცავს ისეთი ეთიკური სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეიმეცნონ კონკრეტული პროფესია ეთიკური პრინციპებისა და ტრადიციების დაცვით, განავითარონ ცოდნა და უნარები, რაც დაეხმარებათ გახდნენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები და ეთიკური ინდივიდები. დღეს უნივერსიტეტების უმეტესობას აქვს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მისი აკადემიური პერსონალისა და ზოგადად, თანამშრომლების ქცევის სტანდარტებს აკადემიურ ასპექტში. აღნიშნული სტანდარტები, ერთი მხრივ, შეიძლება გამომდინარეობდეს სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციიდან და მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ინდივიდუალური ეთიკური პრინციპებიდან.

ეთიკური პრინციპების დაცვა ფართო გაგებით გულისხმობს ეთიკური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, დაწესებულების მხრიდან თავისი პასუხისმგებლობის შესრულებას და საზოგადოების წინაშე ანგარშვალდებულებას, რომ მაღალი ღირებულებების მქონე სტუდენტების მომზადებას შეუწყობს ხელს. დღეს უამრავმა უნივერსიტეტმა მიიღო ეთიკის ინსტიტუციური კოდექსი, რომელიც განსხვავდება ადრე აღწერილი ეთიკის პოლიტიკისგან, რადგან უახლესი კოდექსები ხაზს უსვამს ძირითად ეთიკურ პრინციპებს და არა მხოლოდ კანონებისა და რეგულაციების დაცვას. დაწესებულების მხრიდან ეთიკური პრინციპების დაცვა გულისხმობს ურთიერთპატივისცემასა და მრავალფეროვნების აღიარებას, შემწყნარებელ გარემოს და სტუდენტების კეთილდღეობაზე ზრუნვას. ეთიკის კოდექსები ასევე გამოიყენება სპეციალურად ეთიკური სწავლების პრაქტიკის გასაძლიერებლად და ასახავს ძირითად პრინციპს, რომ სწავლება ეთიკური ვალდებულებაა.

ქოუჩისა და დოდის (Couch & Dodd) ნაშრომში განხილულია ეთიკური სწავლებს 9 ძირითადი პრინციპი, რომელიც მოიცავს შინაარსობრივ კომპეტენციას, პედაგოგიურ კომპეტენციებს, კონფიდენციალობას, სტუდენტის ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას, სტუდენტის ეთიკურ შეფასებას, მგრძობიარე თემებთან შეხების ხარისხს, სტუდენტებთან ურთიერთობას, ასევე კოლეგებისა და დაწესებულების პატივისცემას.

სწავლების პროცესში ეთიკური პრინციპების დანერგვისა და გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობაა **ეთიკის საკითხებზე მსჯელობა აუდიტორიაში და მის მიღმა** – უმაღლესი განათლების ცენტრალური მისიაა სტუდენტთა და პროფესორთა ხელშეწყობა, მათი ინტელექტუალური და პიროვნული განვითარება. ამ პასუხისმგებლობის ნაწილია დაეხმაროს სტუდენტებს შეიმუშაონ ეთიკური სტანდარტები, რათა ეფექტიანად განახორციელონ პროფესიული და პირადი გადაწყვეტილებების მიღება.

სწავლებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები მოიცავს ისეთ არსებით ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა მუშაობა საერთო მისიისთვის, გამჭირვალობა, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადობაზე ზრუნვა, თანასწორობა და წინსვლა. მეცნიერები

ამტკიცებენ, რომ სწავლება, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, უფრო ეფექტიანია ეთიკის სწავლებისათვის, ვიდრე სწავლების ტრადიციული მოდელები. იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება აკადემიური გარემოში, მნიშვნელოვანია რეალურ ცხოვრებაში შეძლონ ეთიკური საკითხებს ამოცნობა და საკითხის გადაწყვეტისას პირადი პასუხისმგებლობის გააზრება. ჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება დავეხმაროთ სტუდენტებს ცხოვრებისეული დილემების ეთიკურად გადაწყვეტაში? სხვადასხვა სასწავლო კურსში, თემატიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტეგრირდეს დავალებები, ამოცანები, რომელიც სიტუაციური ამოცანების კონტექსტშია მოცემული და ამით სტუდენტს შესაძებლობა ეძლევა წარმოისახოს აბსტრაქტული რეალობა, დაუკაშიროს სიტუაცია საკუთარ ცხოვრებას, მიიღოს გადაწყვეტილება, აიღოს პასუხისმგებლობები და საბოლოო ჯამში, იმოქმედოს ეთიკურად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პროფესორის ქცევის, როგორც მოდელის გამოყენება. ის, რომ პროფესორი სწავლა-სწავლების პროცესში თავად იყოს ეთიკური ქცევის მოდელი დაემხარება სტუდენტებს მსგავსი ქცევების დასწავლაში.

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან კიდევ ბევრი სხვა შესაძლებლობის განხილვა შეიძლება, რაც ეთიკური სწავლების პრინციპებზე იქნება ორიენტირებული. მაგალითად, შესაძლებელია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რათა აუდიტორიაში და უფრო ფართო საზოგადოებაში განიხილოთ ეთიკური საკითხები და/ან დილემები. ამ ინიციატივის რამდენიმე მაგალითი განხილულია ქოუჩისა და დოდის (Couch & Dodd) ნაშრომში, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ გამოცდილებებს აერთიანებს:

- „პრაქტიკის და პროფესიული ეთიკის ასოციაცია“ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ყოველწლიურ შეხვედრებთან ერთად სთავაზობს სხვადასხვა აქტივობას. მათ შორისაა კურსდამთავრებულებისათვის დამამთავრებელი კურსის დროს შესრულებულ ნაშრომებში შეჯიბრი, სემინარები დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის და ეთიკის თასის გათამაშება. ეთიკის თასის კონკურსისთვის გუნდებს შორის იმართება დისკუსია ეთიკურ დილემებზე;



- „ეთიკის საკითხები“ არის ეროვნული პროექტი, რომელსაც სფეროს წარმომადგენლებს ეთიკის პროგრამებსა და აქტივობებში რთავს. მათ შორისაა ეთიკური სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სტუდენტთა ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშეწყობა ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ეთიკური ქცევისადმი ერთგულების გაძლიერებაზე ზრუნვა;
- „აკადემიური კეთილსინდისიერების ცენტრი“ უზრუნველყოფს ფორუმს აკადემიური კეთილსინდისიერების ღირებულებების დამტკიცებისა და პოპულარიზების მიზნით. ფორუმის ფარგლებში ფუნდამენტური ღირებულებებია: პატიოსნება, ნდობა, სამართიანობა, პასუხისმგებლობა და პატივისცემა. ფორუმი მხარს უჭერს კვლევებს და ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, ეხმარება ინსტიტუტებს აკადემიური კლიმატის შეფასებაში, უზრუნველყოფს ფაკულტეტის პროფესიულ განვითარებას აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე და აფინანსებს ყოველწლიურ კონფერენციას;
- როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებმა დააარსეს ეთიკის ცენტრები, რათა უზრუნველყონ ისეთი პროგრამებსა და აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, რომლებიც მხარს უჭერენ ეთიკის დაცვას სწავლა-სწავლების პროცესში, საბოლოო ჯამში, კი ხელს უწყობენ ეთიკური საზოგადოების ფორმირებას.

უმაღლეს განათლებაში ეთიკასთან დაკავშირებულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ არსებობს რამდენიმე საყოველთაოდ გამოყენებული „გზა“, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ეთიკის პრინციპების სასწავლო პროცესში ინტეგრირება. პრაგმატული მიდგომის ფარგლებში ამოსავალია ის წესები და პროცედურათა ჩარჩოები, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი ორგანოების მიერ. მსგავსი ჩარჩოების მიზანია პროფესიული სტანდარტების ამაღლება ან შენარჩუნება. მიდგომის პრაგმატულობას ადასტურებს ის, რომ ეთიკური მოსაზრებები განისაზღვრება სტუდენტისთვის თავიანთ პრაქტიკულ შედეგებთან მიმართებაში. როგორც მომავალ პროფესიონალებს, სტუდენტებს აქვთ ინტერესი თავიდან აიცილონ ცენზურა ეთიკის სხვადასხვა პრინციპის გაცნობიერების შედეგად. პირველ ეტაპზე ინფორმაციას მოიპოვებენ ქცევასთან დაკავშირებული ზოგადი პროფესიული კოდექსის შესახებ და შემდეგ ეცდებიან

გაიგონ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ეს კოდექსები თავიანთ ქცევებთან მიმართებით, სწავლების მიმართულების კონტექსტში. სტუდენტების ზოგადი ეთიკის კოდექსის გაცნობის უპირატესობა ის არის, რომ მათთვის ადვილია ზოგადი კოდექსის შესაბამისობის დადგენა თავიანთი ინტერესების ძირითად სფეროსთან, რომ შემდეგ უფრო ეფექტიანად მოარგონ სწავლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეთიკურ დილემას. მოდულები ეხმარებათ მათ იმ პრინციპებისა და მორალური არგუმენტების გაგებაში, რომლებიც ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს. სწავლა-სწავლებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ მორალური პრინციპებისა და არგუმენტების ღირებულებების ინტერნალიზებას.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ეთიკური სწავლების კონტექსტში უნდა იყოს გათვალისწინებული უკავშირდება სწავლების პროცესში დარგის შესაბამისი, თანამედროვე და უახლოესი ლიტერატურის, კვლევების, სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებას. დაშვება, რომ სწავლება, რომელიც ფოკუსირებულია პროფესიულ ეთიკაზე პირადაპირ უნდა ეხმარებოდეს გარე ფაქტორებსაც. შესაბამისად, სასწავლო მასალა საჭიროებს მუდმივად გადახედვას, რათა ისინი ასახავდნენ ამჟამად მოქმედ სტანდარტებს.

## თვითგანვითარებაზე ზრუნვა

აკადემიური პერსონალისათვის თვითგანვითარებაზე ზრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პოსდოქტორანტის პექსპექტივიდან მუშაობა როგორც მკვლევრის ან ლექტორის სტატუსით. პროფესორი თავისი კარიერის ადრეულ ეტაპზე ზრუნავს არა მხოლოდ კარგ რეპუტაციაზე, რაც ეფექტიანი სწავლებით შეიძლება მიიღწეს, არამედ მისი როლის ყველა სხვა ასპექტზე.

ზოგიერთი პროფესორისთვის პრიორიტეტი თავის სფეროში წარმატებაა, ზოგი კი – მეტ აქცენტს აკეთებს დამოუკიდებელი მკვლევრის რეპუტაციის ჩამოყალიბებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი პროფესორის თვითგანვითარებაზე ზრუნვის დრო, სიჩქარე, ბუნება, მასშტაბი და დონე განსხვავებული იქნება მეორესაგან. ტერმინი „აკადემიური მენეჯმენტი“ კარგად გამოხატავს იმ ბალანსის დაცვის საჭიროებას,

რაც უნდა დაიცვას პროფესორმა სწავლებასა და კვლევებს შორის რომ ორივე მიმართულებით იყოს პროდუქტული. სწავლება და აკადემიური გამოცდილება არის საფუძველი იმისა, რომ გაუმჯობესდეს შედეგებით მაღალ საფეხურზე მყოფ კოლეგებთან, მენტორებთან რეფლექსიისა და განხილვების გზით მისი პროფესიული და აკადემიური პრაქტიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო მაღალია პროფესორის დატვირთვა აკადემიური საათებით, მით ნაკლები დრო რჩება მას თვითგანვითარება ზრუნვისათვის სხვადასხვა კონტექსტში.

ცხიდი 28: საქმიანობის სფეროების, ცოდნისა და ღიხებულებების ჩაჩრო



პროფესორების სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის ფრაი, კეტერიჯი და მარშალი (Fry, Ketteridge & Marshali) მიმოიხილავს პროფესიული სტანდარტების ეროვნულ ჩარჩოს, რომელიც შექნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. ჩარჩოს შემუშავებამდე მიმდინარეობდა კონსულტაციები და ფართო განხილვები, რომ მასში ასახული შენაარსი საუნივერსიტეტო წრისთვის მისაღები და გაზიარებადი ყოფილიყო. ჩარჩო მოიცავს ფორმას, რომელიც ცდილობს პროფესორის შესაბამისობას ყველა დისციპლინისათვის და დაწესებულების მრავალფეროვნების აღიარებას. შემოთავაზებ-

ბული ჩარჩოს მიხედვით ინდივიდებმა უნდა აჩვენონ მიღწევები, პროფესიული საქმიანობა განსაზღვრულ სფეროებში, დარგის ძირითადი ცოდნა და ის, თუ როგორ აკმაყოფილებენ ისინი პროფესიულ ღირებულებებს. განვიხილოთ უფრო კონკრეტულად რა მოიაზრება თითოეულ მიღწევაში (ცხიცი 28).

თითოეული პროფესორი თვითგანვითარებაზე ზრუნვის დროს განსხვავებულ სტარტეგიებსა და მეთოდებს იყენებს. გამომდინარე ადამიანებს შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებებისა, მათ მიერ არჩეული ტექნიკებიც განსხვავებულია. განვიხილოთ ფრაის, კეტერიჯისა და მარშალის (Fry, Ketteridge & Marshali) ნაშრომში შემოთავაზებული რამდენიმე გავრცელებული ტექნიკა, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს პრაქტიკის გასაუმჯობესების მიზნით.

**სწავლებაზე დაკვირვება** – მისი უმარტივესი ფორმით, სწავლებაზე დაკვირვება არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდის სწავლებას აკვირდება სხვა/სხვები, უკუკავშირის მიზნების ან რეფლექსიის განზრახვით, რაც საშუალებას აძლევს პირს გააუმჯობესოს თავისი სწავლების ხარისხი და სტუდენტების სწავლის დონე. უმაღლეს სასწავლებლებში ტექნიკა ხშირად განმარტებულია, როგორც ლექციებზე დაკვირვება, როცა დამკვირვებელი შეიძლება იყოს თანატოლი, კოლეგა იმავე დისციპლინიდან ან სხვა სპეციალისტი. სწავლებაზე დაკვირვება არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა, რომლითაც აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს სთხოვენ გამოავლინონ თავიანთი უნარები, როგორც პროფესორებმა და ხელი შეუწყონ სტუდენტთა სწავლას. ეს მეთოდი ჩვეულებრივ გამოიყენება პროფესორის განვითარების გზის ხელშესაწყობად და ასევე შეიძლება გამოყენებულ იყოს შემაჯამებლად, როცა გამოსაცდელი პერიოდის დასრულების ბოლოს უნდა მოხდეს მის აკადემიურ საქმიანობასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღება.

**სასწავლო პორტფოლიოები** – პორტფოლიო არის მიღწევებისა და პროფესიული განვითარების შესახებ პირადი ჩანაწერი, რომელიც ასახავს მიღწევების დონეს, გამოცდილების ფარგლებს, უნარებისა და აქტივობების სპექტრს და/ან პროგრესს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პექსპექტივიდან. ისინი ჩვეულებრივ გამოიყენება გამოსაცდელი პერიოდის ბოლოს ან დაწინაურების შესახებ განაცხადის

წარდგენისას. სტრუქტურირებული პორტფოლიოს უფრო სპეციფიკური ტიპი ასევე შეიძლება იყოს პროფესიული განვითარების პროგრამის შეფასების ნაწილი. პორტფოლიოებს უნდა ჰქონდეს მკაფიო სტრუქტურა, რომელიც, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ინსტიტუციური შეფასების ან სხვა მოთხოვნებით. პორტფოლიოს უნდა ჰქონდეს ინდექსი ან რუკა, რომელიც დაეხმარება მკითხველს ან შემფასებელს ნავიგაციაში, რათა იპოვონ კონკრეტული ინფორმაცია ან მტკიცებულება. პორტფოლიოში ვხვდებით მასალების კრებულს, რომელიც ეხება პროფესიულ პრაქტიკას და ადასტურებს მას. ის ჩვეულებრივ მოიცავს ინფორმაციას სწავლებაზე მისი პერსპექტივიდან დაკვირვებისა და სტუდენტების გამოხმაურებისგან. პორტფოლიოების უმეტესობა მოითხოვს პერსონალურ რეფლექსიურ კომენტარს, რომელიც აკავშირებს მტკიცებულებებს კონკრეტულ თემებთან და აჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს პრაქტიკის განვითარებაზე ზრუნვა.

**ჟურნალის ნაშრომის შეფასება/მიმოხილვა** – პროფესორ-მასწავლებლების თვითგანვითარებაზე ზრუნვის ამ ტექნიკის გამოყენებისას აარსებენ ან ირჩევენ საგანმანათლებლო ჟურნალებს, განიხილავენ მათ, იმისათვის, რომ გაიზარდოს სწავლა-სწავლების პროცესებში შინა-არსობრივი ჩართულობა.

**რეფლექსია, რეფლექსიური პრაქტიკა, რეფლექსიური წერა** – რეფლექსია მოიცავს გამოცდილების ან სწავლის გათვალისწინებას, რათა გაიუმჯობესო პრაქტიკა. რეფლექსია წარმართავს წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას, რაც პროფესორს საშუალებას აძლევს განიცადოს წინსვლა, პროფესიული ზრდა, უპასუხოს გამოწვევებს, დანერგოს ახალი ინოვაციური იდეები. მარტივად რომ ვთქვათ, რეფლექსია ეს არის გამოცდილების სწავლად გადაქცევა. თვითრეფლექსია შეიძლება საკუთარ პრაქტიკაზე ფიქრს მოიცავდეს წერილობით, დღიურის, ჟურნალის ან ჩანაწერის წიგნის შენახვით, ან საკუთარი სწავლების ამსახველი კომენტარის ჩანაწერებით. რეფლექსიური წერა მოითხოვს პირველ პირში წერას და საკუთარი ქმედებების ანალიზს, წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემას და მათი ეფექტიანობის შეფასებას.

**კრიტიკული შემთხვევები** – ზოგიერთი პროგრამა აკადემიურ პერსონალს სთხოვს შეაგროვოს ინფორმაცია და დაფიქრდეს სწავლების

ძირითად გამოწვევებზე. ეს შეიძლება იყოს წარმატების, წარუმატებლობის ან გაურკვევლობის სიტუაციები. მსგავსი შემთხვევები, როგორც წესი, წერილობით არის მოხსენებული აღწერის, მომხდარის ანალიზისა და მასზე პროფესორის რეაქციის, რეფლექსიის საშუალებით, თუ როგორ უნდა აიცდლოს ან ხელახლა შექმნას მსგავსი სიტუაციები მომავალში. აღნიშნული ტექნიკა, უპირველეს ყოვლისა, არის საშუალება, წახალისოს უნივერსიტეტის პროფესორები საკუთარი პრაქტიკის სიღრმისეულად გაანალიზებაში.

**დარგის უახლესი ლიტერატურის და კვლევების გაცნობა** – თანამედროვე სამყაროში მეცნიერება ყოველდღიურად განვითარების ახალ სტადიაზეა. შესაბამისად, აკადემიური სფეროს წარმომადგენელი საკუთარი პროფესიული და პიროვნული განვითარების კონტექსტში მუდმივად უნდა ცდილობდეს თვითგანვითარების მიზნით ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებს. სიახლეების გაცნობის მიზანი არის სხვების იდეების, მიგნებებისა და დაშვებების გაგების ხელშეწყობა, შესაბამისი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება, კვლევის კრიტიკა და საკუთარი კონტექსტის ან ნებისმიერი სხვა შემთხვევის კრიტიკულად და არგუმენტირებულად განხილვა.

ბოლოს კი, შეჯამების სახით შეგვიძლია ვისაუბროთ სრულყოფილი სწავლების კომპონენტზე, როგორც კარიერული წინსვლის საშუალებაზე. დღეს, სწავლა-სწავლების პროცესში უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა აღარ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ნებაყოფლობითი, კერძო საქმიანობა. თვითგანვითარებაზე ზრუნვა ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაა, რომელიც ეფუძნება ეროვნულად აღიარებულ პრაქტიკის კოდექსს. არსებითად, კარიერული სწავლების კომპეტენციის მართვა აღარ არის მისწრაფების იდეალი, არამედ თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრების ცენტრალური ნაწილია.

თანამედროვე უნივერსიტეტების მოთხოვნები მეტად ააქტიურებს აკადემიურ პერსონალს ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომლითაც განივითარებენ კომპეტენციას, შეძლებენ ამჟამინდელი როლის გაუმჯობესება და მომავლის პროგნოზირებას. დღეს „სწავლების სრულყოფილება“ შეიძლება კვლევით სრულყოფილებას შევადაროთ,

შესაბამისად, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გრძელვადიანი პერსპექტივა კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას უკავშირდება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კარიერის განვითარებაზე ზრუნვა თითოეული პროფესორის მხრიდან ინდივიდუალური პერსპექტივით იგეგმება, მთავარია თითოეულ ინდივიდს ჰქონდეს მკაფიო ხედვა იმისა, სად არიან დღეს და როგორ შეიძლება შეუწყონ ხელი უკეთესი პროფესიული მომავლის არსებობას.

### აკადემიური თავისუფლება

აკადემიური თავისუფლება ფართოდ განიმარტება როგორც სწავლებისა და კვლევის თავისუფლება ყოველგვარი შიშის ან შურისძიების გარეშე. საუკუნეზე ცოტა მეტია, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაჩნდა აკადემიური თავისუფლების კონცეფცია და დღეს, ის თანამედროვე უნივერსიტეტის ფუნქციონირების ცენტრია. ვარგჰესი და მანდალი (Varghese & Mandal) თავიანთ ნაშრომში მიმოიხილავს აკადემიური თავისუფლების განვითარების წინაპირობებსა და მიმდინარეობას, კერძოდ, XIX საუკუნის ბოლოს საუნივერსიტეტო სექტორში გაჩნდა კვლევითი უნივერსიტეტები, კურსდამთავრებულები ევროპაში კი ხდებოდნენ ამ კვლევითი ფაკულტეტის წევრები. ახალი ფაკულტეტი ელოდა გარემოს, სადაც კვლევის თავისუფლების აღნიშვნას შეძლებდნენ. ახალი ფაკულტეტის წევრების იდეები ზოგჯერ ტრადიციული უნივერსიტეტის სტრუქტურებში მყოფ პირებთან კონფლიქტს იწვევდა. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აკადემიური სფეროს განვითარებამ კვლევა აკადემიური ცხოვრების მნიშვნელოვან საქმიანობად აქცია, მაგრამ ჯერ კიდევ უმაღლესი ხელისუფლება ხდებოდა იმის განმკარგავი, თუ რა უნდა ეკეთებინა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

აკადემიური თავისუფლება მოიცავს ფაკულტეტის წევრის უფლებებს, ჰქონდეთ ავტონომია კვლევებში, სწავლებასა და მასთან დაკავშირებულ აკადემიურ საქმიანობაში. რწმენა, რომელიც საკვანძოა აკადემიური თავისუფლებისთვის, არის ის, რომ საზოგადოება ვითარდება მაშინ, როდესაც მის აკადემიურ კოლეგებს თავისუფლად შეუძლიათ ცოდნის ძიება და კვლევა გარეგანი დაბრკოლებების გარეშე, და რაც

მთავარია, როდესაც ისინი თანაბრად თავისუფალნი არიან წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები, იდეები, განზოგადებები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ უნივერსიტეტი არსებობს საერთო საზოგადოებრივი სიკეთისთვის, რაც დამოკიდებულია ქვეყნის რიგების ძიებაზე და მის თავისუფალ გამოვლენაზე და არა პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესზე. თეორიები ამტკიცებს, რომ ცოდნაზე ორიენტირებულ გლობალურ საზოგადოებაში აკადემიური თავისუფლება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის მუშაობს უშუალოდ როგორც ინტელექტუალური ბირთვი შემოქმედებისა და ინოვაციისთვის. აქედან გამომდინარე, მსოფლიო დიდ სარგებელს იღებს ინსტიტუტებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ აკადემიური თავისუფლების იდეას. რაც მთავარია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისუფალი საზოგადოებების ჩამოყალიბებაში ცნობიერების უფრო მაღალი დონის ხელშეწყობისა და დაფასების გზით.

აკადემიური თავისუფლება ხშირად აუდიტორიაში სწავლების ფორმატთანაცაა დაკავშირებული. ის, თუ რას ამბობს პროფესორი, როგორ ქმნის სასწავლო გარემოს, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს აკადემიური თავისუფლების კომპონენტია. ვარგჰესი და მანდალი (Varghese & Mandal) თავიანთ ნაშრომში გამოყოფენ ოთხ ძირითად მიმართულებას, რომელიც სწავლა-სწავლებასა და აკადემიურ თავისუფლებას შორის ურთიერთკავშირზე დაგვაფიქრებს. ესენია:

**დაშვება** – აკადემიური თავისუფლების დარღვევა ხდება მაშინ, როდესაც აკადემიური პერსონალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება ფინანსური სარგებლისა და ისეთი სტუდენტების მიღებას, რომლებიც რაიმე დაინტერესებას გააჩენენ და სარგებელს მოუტანენ უნივერსიტეტს და/ან პროფესორს.

**კურიკულუმის შინაარსი** – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი აკადემიური თავისუფლებისა უკავშირდება ლექციების მიმდინარეობისას სტუდენტების შესაბამისი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას. აკადემიური თავისუფლებას აფერხებს მოცემულობა, როდესაც სტუდენტს კონკრეტული მასალის დასამუშავებლად სჭირდება ლიტერატურა, რომელიც დახურულ წვდომაზეა, ლექტორი კი მის ავტორთან



დაპირისპირების ან რაიმე პირადი ინტერესის გამო ამ წვდომას არ აძლევს.

**ლექტორის სწავლების სტილი** – ყველა ადამიანს სწავლების სხვადასხვა სტილი აქვს. უნივერსიტეტი ეთანხმება თუ არა მისი პროფესორის სწავლების ამ სტილს ეს მისი უფლებამოსილებაა. აკადემიური თავისუფლების დარღვევა კი ხდება მაშინ, როდესაც ვინმეს ეუბნებიან შეცვალოს კონკრეტული პედაგოგიკა, რადგან ეს გარე ავტორიტეტმა დაავალა.

**შეფასება** – ამ საკითხის ყველაზე მტკივნეული ასპექტი ეხება ქულებს, რომლებსაც სტუდენტები იღებენ სწავლა-სწავლების პროცესში. თუ შეფასება ეფუძნება სტანდარტიზირებულ გამოცდას ნაკლებად დგება აკადემიური თავისუფლების საკითხები. თუმცა, სადაც პროფესორი თავადაა პასუხისმგებელი შეფასებაზე და ის წყვეტს რა შეფასება უნდა მიენიჭოს სტუდენტს და ამ დროს გარე ორგანოები შუამავლობენ ან დააჯილდოვებენ სტუდენტს გაუგებარი ან უცნობი მიზეზების გამო, მაშინ პროფესორის აკადემიური თავისუფლების ხარისხი შემცირებულია.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ კონცეფციას, რომ პროფესორები, რა თქმა უნდა, არ არიან ავტონომიური აგენტები აუდიტორიაში, სადაც მათ შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რასაც გადაწყვეტენ ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე. პროფესორს აქვს აკადემიური თავისუფლება განიხილოს ის თემები, რაშიც ის არის ექსპერტი. მაგალითად, მათემატიკის პროფესორს არ აქვს აკადემიური თავისუფლება ასწავლოს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები, რადგან როგორც მოქალაქეს მას აწუხებს გლობალური დათბობის საკითხი.

აკადემიური თავისუფლება არის უნივერსიტეტის მისიის მთავარი საფუძველი როგორც სწავლების ასევე კვლევების მიმართულებით. განვითარებული უმაღლესი განათლების სისტემა ვერ იარსებებს აკადემიური თავისუფლების გარეშე. XXI საუკუნის დასაწყისში აკადემიური თავისუფლების მიმართ ოპტიმიზმის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნებმა, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსა-

ვლეთ ევროპის ქვეყნებმა, მიაღწიეს აკადემიური თავისუფლების გონივრულ დონეებს, თუმცა ჯერ კიდევ არა სრულ სპექტრს. ქვეყნებისა და აკადემიური სისტემების უმეტესობა აღიარებს აკადემიური თავისუფლების ფენომენს და გამოხატავს მისდამი ერთგულებას.

აკადემიურ თავისუფლებას აქვს ასევე ადმინისტრაციული განზომილება, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლების დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან. ინსტიტუციური ავტონომიისადმი დამოკიდებულება შეიძლება შესწავლილი იქნას, როგორც აკადემიური პროფესიის ასპექტი, რომელიც ეფუძნება რესპონდენტთა აღქმას მათი გავლენის შესახებ საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და თუნდაც მთელი უმაღლესი განათლების სექტორზე. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ადმინისტრაციულ ორგანოებში აკადემიური პროფესიის წარმომადგენლობაზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცენტრალური ორგანოების არჩევაზე და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე.

## სტუდენტის სწავლის შეფასების ეთიკა

პროფესორ-მასწავლებლის ვალდებულების ნაწილია სწავლის ხელშეწყობა, არა მხოლოდ იმაში, რასაც სტუდენტები აკეთებენ აუდიტორიაში, არამედ თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებით მათ მუშაობაზე. ეთიკური უკუკავშირი პატივს სცემს სტუდენტების ღირსებას, ინდივიდუალიზმს და ხელს უწყობს მათ განვითარებას. საკითხის განსახილველად შემოგთავაზებთ მაგალითებს, რომლებიც ეყრდნობა შპიგელისა და კოლეგების (Speigel & colleagues) ნაშრომის ანალიზს და მოიცავს უკუკავშირის განსხვავებული, ზოგჯერ არასწორი ფორმით მიწოდების შემთხვევებს, პროფესორთა არგუმენტებს მათი შეფასების გზებზე, სტუდენტის მუშაობის შეუსაბამო ან დამამცირებელ კრიტიკას, რომელიც შეიძლება რისკის ქვეშ აყენებდეს სტუდენტების სოციო-ემოციურ მდგომარეობას.

**წერილობითი უკუკავშირი სტუდენტებისათვის** – პროფესორის მიერ სიმბოლური შინაარსის უკუკავშირმა შეიძლება სტუდენტებს შორის განსხვავებული გაგება გამოიწვიოს. ამ არასწორი ინტერპრეტაციების

შედეგად პროფესორისადმი ცრუ ბრალდებების თავიდან აცილების გზა არის ნაშრომზე შესაბამისი შენიშვნების გაკეთება, რომელიც კავშირშია მხოლოდ შინაარსთან და არა თემასთან დაკავშირებულ განზოგადებულ საკითხებთან. უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიო, ნაკლებად უნდა შეიცავდეს ორაზროვან ფრაზებს, ირიბ გამონათქვამებს და უნდა იყოს ობიექტურად მიწოდებული, რათა სტუდენტთან იმის ამოკითხვა შეძლოს უკუკავშირიდან, რაც ლექტორმა მასში იგულისხმა.

**ზეპირი უკუკავშირი სტუდენტებისათვის** – პროფესორი აკეთებს ხმოვან შენიშვნებს, როდესაც უბრუნებს სტუდენტებს საგამოცდო ფურცლებს. მაღალი აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტებს ის ეუბნება, "კარგი ნამუშევარია" ან "კარგად გამოგდის" ხოლო დაბალი აკადემიური მიღწევის სტუდენტებს ეუბნება – "შეტი დრო უნდა დაუთმო სწავლას" ან "უკეთესია მობრძანდეთ ჩემთან ამ თემის დამატებით განხილვის მიზნით". განსხვავებულია მისი სახის ექსპრესია თითოეული კომენტარის დროს, ილიმის, როცა მაღალი შესრულების სტუდენტებს აწვდის ნამუშევრებს და წარბი ოდნავ შეკრული აქვს, როცა დაბალი ქულის მქონე სტუდენტებს მიმართავს. პროფესორის აზრით, ის თავის პრაქტიკაში იყენებს მიდგომას, რომლის ფარგლებშიც საუკეთესო სტუდენტებს აჯილდოვებს და დაბალი მიღწევების სტუდენტებს აძლევს მოტივაციას, რომ შემდეგ ჯერზე უკეთესები იყვნენ. პროფესორის მიდგომასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტის მუშაობის/შეფასების შედეგები კონფიდენციალურია და მიუხედავად იმისა, ეს პროფესორი ქულებს ხმამაღლა არ ასახელებდა, მისი პრაქტიკა მსგავს პრინციპს ეფუძნებოდა. თუ მას სურს გაზარდოს სტუდენტების მოტივაცია და შესრულება უნდა ესაუბროს მათ პირადად ან განათავსოს თავისი შენიშვნები გამოცდის შიდა გვერდზე, სადაც წვდომა მხოლოდ იმ სტუდენტს ექნება, ვისთვისაც ეს უკუკავშირია განკუთვნილი.

**მინიმალური უკუკავშირი** – უკავშირდება შემთხვევას, როდესაც პროფესორი დამატებითი უკუკავშირის გარეშე აკეთებს სტუდენტების შეფასებას. ამ შემთხვევაში სტუდენტები უკმაყოფილონი არიან, რადგან ვერ ადგენენ მათი შეფასების საფუძველს, უჭირთ დაშვებული შეცდომების ახსნა და გაუმჯობესების გზების შერჩევა. პროფესორის, გამოყენებულ მიდგომა განმარტავს იმით, რომ მისთვის არ არის საკმარისი აკადემიური დატვირთვის დრო, რომ სამოცდაათი ნაშრომზე გააკეთოს კომენტარი/

უკუკავშირი. ამ პოზიციის განსამტკიცებლად პროფესორი ამბობს, რომ მიუხედავად მისი სურვილის და შესაძლებლობისა, სტუდენტები მაინც არ წაიკითხავენ ამ უკუკავშირს. როგორ შეიძლება დაკომპენსირდეს მინიმალური უკუკავშირის პრაქტიკა შედარებით ეთიკურ შეფასებამდე:

- მიეცით სტუდენტებს საერთო შეცდომებისა და დადებითი თვისებების ჩამონათვალი, თითოეულს მიანიჭეთ ნომერი და ჩასვით რიცხვები თითოეული ნაშრომის მინდვრებში;
- ლექციაზე მიეცით ზოგადი ზეპირი უკუკავშირი, მოიყვანეთ შეფასებასთან დაკავშირებული ზოგადი არგუმენტები და აღნიშნეთ ხშირად წარმოქმნილი პრობლემები, გამოყავით გადაჭრის გზები;
- შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომების შესრულების მოთხოვნა, რაც საშუალებას მოგცემთ დამატებითი დრო დახარჯოთ ინდივიდუალური უკუკავშირის შეთავაზებაზე;
- წინასწარ გააცანით და შესთავაზეთ სტუდენტებს შეფასების ძალიან კონკრეტული კრიტერიუმები, რათა მათ უკეთ გაიგონ და ახსნან მიღებული შეფასებები;
- იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ უფრო დეტალური უკუკავშირის მიღება შესთავაზეთ ეს მხარდაჭერა სამუშაო საათებში.

**გადავადებული უკუკავშირი სტუდენტებისათვის** – თუ დავალების წარდგენის შემდეგ სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება ხდება 2-4 კვირის შემდეგ ეს მათ უკმაყოფილებას იწვევს. სტუდენტები აცხადებენ, რომ ისინი ზედმეტად აღელვებულები არიან და ეს მათ ხელს უშლის ახალი საკითხების შესწავლაზე ყურადღების კონცენტრირებაში, როცა ჯერ კიდევ არ იციან წინა დავალების/გამოცდის შედეგები. ამის საპასუხოდ, პროფესორმა შეიძლება განაცხადოს, რომ ესეების წაკითხვას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, მაგრამ ეს უკეთესი გზაა სტუდენტების შესაფასებლად, მრავალარჩევიან ტესტის ფორმატთან შედარებით. შესაბამისად, სტუდენტები მადლიერები უნდა იყვნენ შეფასების ამ ფორმის გამოყენების გამო და დაელოდნონ უკუკავშირს. ამ შემთხვევაში პროფესორის პრობლემის გადაწყვეტა მოიცავს მოცულობით შედარებით მცირე, მაგრამ უფრო ხშირ გამოცდებს, რომლებიც შეიძლება შეფასდეს უფრო სწრაფად და მყისიერადვე დაუბრუნდეს სტუდენტებს უკუკავშირი, ან კიდევ შესთავაზოს კომბინირებული საგამოცდო ტესტი, რომელიც გაერთიანებს კითხვებს მრავალარჩევიანი პასუხებით და ესეებს.

## თავი 11. ეთიკური საკითხები სტუდენტის კერსპექტივიდან

სტუდენტის ეთიკური ცნობიერება განისაზღვრება მისი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ფაკულტეტთან თანამშრომლობის მიზნით განხორციელებულ ქცევებში. სტუდენტები ხშირად ახორციელებენ არაეთიკურ ქცევებს გარკვეული დასახული მიზნების მისაღწევად, როგორცაა: გამოცდების გადაწერა, მობილურის გამოყენება წერისას, თანატოლთან გადალაპარაკება, პლაგიატი და ა.შ. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება, როდესაც სტუდენტი არაეთიკურ ქცევებს სწავლის პრაქტიკაში ნერგავს და ვერ აცნობიერებს ქცევის მცდარობას, ქცევა კი გარეგანი ფაქტორებითაა მოტივირებული და სტუდენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქულის მიღება ხდება.

სტუდენტების გარკვეულ ნაწილს, მკაფიო შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული მიუღებელ ეთიკურ ქცევებზე, მათ შორისაა თაღლითობა, შეთქმულება/შეთანხმება და პლაგიატი. ტერმინი „შეთქმულება“ რთულად განსასხვავებელია თანამშრომლობისგან, რადგან ზოგჯერ ჯგუფურ ან წყვილში შესასრულებელ დავალებაზე მუშაობისას, სტუდენტები ერთმანეთში თანხმდებიან, რომელიმე მხარემ იმუშაოს დამოუკიდებლად, თუმცა დავალება წარმოადგინონ საერთო ავტორობით.

პლაგიატი ერთ-ერთი ყველაზე რთულად გასაგები ეთიკური პრინციპია სტუდენტების პერსპექტივიდან. მათ ხშირად უჭირთ გაავლონ პარალელი დაწესებულ მოლოდინებსა და მიღწევებს შორის, რომლის შედეგადაც მიიღეს მაღალი შეფასება. სტუდენტებს ესმით, რომ არ უნდა გამოიყენონ სხვისი იდეები და დებულებები წყაროს მითითების გარეშე, თუმცა არ ესმით – რატომ? ხშირად პლაგიატის შესახებ სტუდენტებისა და ლექტორების ხედვა განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აკადემიური წერის კურსის ფარგლებში მიეწოდებათ ინფორმაცია წყაროების რეფერირების შესახებ, ისინი უშუალოდ მუშაობის პროცესში ვერ აცნობიერებენ განსხვავებას დასამოწმებელ წყაროსა და საზოგადოდ მიღებულ ჭეშმარიტებას შორის, რომელსაც წყაროს მითითება ლიტერატურის რეფერირებისას არ სჭირდება.

უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ურთიერთობას, მათ შორის არასამუშაო საათებში დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზების მიზნით, კონფერენციებში შემსწავლელების მონაწილეობის მიმართულებით და სხვა, რაც მეორე მხრივ, ზრდის შემსწავლელების მოტივაციას და მათ შესაძლებლობას, დაამყაროს სამომავლო პროფესიული კავშირები პროფესორებთან. თუმცა, ლექტორებთან დიდხნიანი კომუნიკაცია ხშირად სტუდენტების მხრიდან აღიქმება ახლო ურთიერთობად, ისინი ფიქრობენ რომ ნებისმიერ დროსა და ვირტუალურ სივრცეში შეუძლიათ პროფესორთან დაკავშირება. მნიშვნელოვანია მათ განსაზღვრონ სამუშაო დრო და გამოიყენონ ოფიციალური პლატფორმები კურსის ირგვლივ არსებულ საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციისთვის. გარდა ამისა, ხშირად სტუდენტები სხვადასხვა სოციალურ ქსელში აზიარებენ ლექტორის პერსონალურ ინფორმაციას, მახასიათებლებს სწავლების სტილისა თუ მეთოდების შესახებ, რაც ასევე არაეთიკური ქცევაა.

სუსილოვატი და კოლეგები (Susilowati & colleagues) თავიანთ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებენ კვლევის შედეგებზე და ხაზს უსვამენ სტუდენტის სასწავლო გარემოს გავლენას შემსწავლელის ეთიკურ ქცევაზე. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის ქცევებია მისაღები საზოგადოებაში, სტუდენტები იღებენ სხვებზე დაკვირვების შედეგად. ინდივიდებზე გავლენას ახდენს მათი გამოცდილება, არაფორმალური ფაქტორები, სოციალური ნორმები. სტუდენტები, რომლებიც არაკეთილსინდისიერ ქცევებს ახორციელებდნენ, მიუთითებდნენ რომ მათი სასწავლო გარემო ნაკლებად კომუნიკაბელური და ინდივიდუალიზებული იყო. აქედან გამომდინარე, სასწავლო კლიმატი მოქმედებს სტუდენტების ეთიკურ ღირებულებებსა და ქცევაზე.

გარდა თანატოლებისა, სტუდენტების არაეთიკურ ქცევაზე ისეთი გარეგანი ფაქტორები მოქმედებს, როგორცაა სწავლის სტილი. პროფესორი სტუდენტებისთვის აღიქმება როგორც მოდელად და ზრდის პროფესიის სწავლების რეპუტაციას, შესაბამისად, ლექტორის ეთიკური ქცევის განხორციელება ორმაგ პოზიტიურ გავლენას ახდენს სტუდენტზე. ისინი არა მხოლოდ ცოდნას იძენენ და უნარებს ივითარებენ, არამედ სწავლობენ ისეთ ფასეულობებს, როგორცაა სამართლიანობა, თანაბნობა და დისკრიმინაცია. პროფესიული ეთიკის სწავლება განსა-

ზღვრავს ძირითად პრინციპებს, რომელსაც ლექტორები, სტუდენტები, მშობლები, კოლეგები და საზოგადოების სხვა წევრები ემორჩილებიან და შესაბამისად, ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ეთიკური ქცევის განხორციელების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი სწავლის მიდგომაა. სიღრმისეული სწავლის მიდგომის შემთხვევაში, სტუდენტები იყენებენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას კონფლიქტების გადაჭრის პროცესში, როგორც ინდივიდუალურ, ასევე თანატოლებთან ურთიერთობის შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის ეთიკური ცნობიერების ამაღლება ისეთი აქტივობებით, როგორიცაა:

- ეთიკის სხვადასხვა საკითხზე კონფერენციების, სემინარების, ვორქშოპების, დისკუსიების ჩატარება, ლექტორებისა და სტუდენტების შეხვედრები, ეთიკის სემინარების სისტემატურად ორგანიზება სტუდენტებისთვის;
- მნიშვნელოვანია პროფესორებისთვის სხვადასხვა სავალდებულო კურსის ჩატარება და ეთიკური პრინციპების ინტერნალიზება, რაც სტუდენტების პერსპექტივიდან, მათი ქცევის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. როგორც აღვნიშნეთ, ლექტორები სტუდენტების ქცევის როლური მოდელები არიან და მათი გადამზადება შემსწავლელების ცნობიერების ამაღლებასთან პირდაპირ კავშირშია.

განვიხილოთ სტრატეგიები, რომელიც ძირითადად ეყრდნობა გრისვოლდისა და ჩოუნინგის (Griswold & Chowning) ნაშრომის ანალიზს. სტრატეგიები შემუშავებულია სტუდენტის ეთიკური ქცევის ხელშემწყობისა და არაეთიკური ქცევის შემცირების მიმართულებით:

- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დაარღვევს ეთიკის პრინციპებს, სასურველია მისი გაფრთხილება ქცევის გამოსწორების მიზნით, რათა ეს მაგალითი იყოს სხვა სტუდენტებისთვისაც;
- ქცევის პრევენციისათვის, არა მხოლოდ მითითებაა გამოსავალი, ასევე პრობლემის გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანია კარგი ქცევის სტუდენტების პრინციპების დაცვის განმტკიცება;
- როგორც პირველ ნაწილში ვახსენეთ, მნიშვნელოვანია სტუდენტების ხელშემწყობა გამოიყენონ სიღრმისეული მიდგომების

შესაბამისი სწავლის სტილი, რაც მათ დაეხმარებათ კონფლიქტების მოგვარებასა და პრობლემების გადაჭრაში;

- მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის არა მხოლოდ თეორიული ინფორმაციის მიწოდება პლაგიატის არსსა და მისგან თავის არიდების სტრატეგიების შესახებ, არამედ წყაროების სწორად რეფერირების სწავლება კურსის ფარგლებში შესასრულებელ დავალებებზე მუშაობისას. რეკომენდებულია სტუდენტმა განიხილოს სხვადასხვა ნაშრომი, იპოვოს წყაროს რეფერირებისას დაშვებული შეცდომები და თავად დაამოწმონ წყაროები ნებისმიერი სამეცნიერო დოკუმენტის შემუშავებისას. ეს სტრატეგიები დაეხმარება სტუდენტებს კურსების ფარგლებში მიიღონ პრაქტიკული ცოდნა პლაგიატისგან თავის ასარიდებლად;
- რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოიყენონ პლაგიატისგან თავის დასაცავად ისეთი კომპიუტერული პროგრამები, როგორცაა Turnitin და Erkund და ა.შ., რომელსაც ისინი ჩააშენებენ მათ ელექტრონული სწავლების პორტალზე. პროგრამები ლექტორებისთვის დამატებით შესაძლებლობას წარმოადგენს, სტუდენტის ნებისმიერი დავალება შეამოწმოს პლაგიატზე, არა მხოლოდ საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების შემთხვევაში;
- რეკომენდებულია ლექტორმა ერთი და იგივე კურსის, სხვადასხვა ჯგუფთან სწავლების ფარგლებში მუდმივად ცვალოს შესასრულებელი დავალებები და აქტივობები კონცენტრირებული იყოს სტუდენტის არგუმენტირებულ მსჯელობასა და პოზიციის დაფიქსირებაზე. ისეთი დავალებების მოფიქრება, როგორცაა ორი სამეცნიერო წყაროს შედარება და ძირითად ნაწილებზე ფოკუსირება და ა.შ.;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს პირველსავე ლექციაზე მიეწოდოთ ინფორმაცია ლექტორთან საკონტაქტო საათებისა და ინფორმაციის შესახებ. კონკრეტულად, სამუშაო საათებში კომუნიკაციასა და შესაბამის პლატფორმებზე, მაგ: სამუშაო ელ-ფოსტა და უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე.

როგორც განვიხილეთ, სტუდენტების არაეთიკური ქცევის სხვადასხვა ტიპი გამოიყოფა. არაეთიკური ქცევებისგან თავის ასარიდებლად, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა დაწერონ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი,



რომელშიც გაწერილია სტუდენტთა მოვალეობები და პასუხისმგებლობები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და აკადემიურ პერსონალთან მიმართებით. რეკომენდებულია, სტუდენტთა ეთიკის კოდექსი გაეცნოს თითოეულ სტუდენტს დეტალურად და აქტიურად იყოს გამოყენებული სწავლა-სწავლების პრაქტიკაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ევროკავშირი საქართველოსთვის (2021). *ინკლუზიური პირობისი და უმაღლესი განათება*. Retrieved from <https://www.sheaghe.ge/ka/resources/23/48> (2021).
- კენედი, დ. (2014). *სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანეგვა*. (ა. ქ. ლალი ბაქრაძე, Ed., & ლ. ბაქრაძე, Trans.)
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2021). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეთიანი ეხოვნური სტრატეგია 2022-2030*. Retrieved from <http://surl.li/gxrxw>
- საქართველოს პარლამენტი (2004). *კანონი უმაღლესი განათების შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101>
- AARREVAARA, T. (n.d.). Academic Freedom in a Changing Academic World. *European Review*, 18, S55-S69.
- Abulhul, Z. (2021). Teaching Strategies for Enhancing Student's Learning. *Journal of Practical Studies in Education*, 2(3).
- Adamson, R. B. (Ed.). (2011). *Assessment Reform in Education Policy and Practice*. Springer.
- ALTBACH, P. G. (2001). Academic freedom: International realities and challenges. *Higher Education*, 205-219.
- Assessment, C. o. (2001). *Knowing what Students Know: the science and design of educational assessment*. (N. C. James W. Pellegrino, Ed.) NATIONAL ACADEMY PRESS.
- Bach, E. R. (2016). Retrieved from <https://www.noca.dk/wp-content/uploads/The-Future-of-Learning-Whitepaper-FINAL-UK1.pdf>
- BATES, A. (. (2015). *Teaching in a Digital Age*.
- Boud, D. (2005). *Enhancing Learning through Self Assessment*. RoutledgeFalmer.
- Boumova, V. (2008). *Traditional and Modern Teaching methodologies*. Retrieved from <https://is.muni.cz/th/f62v8/MgrDiplomkaBoumova.pdf>
- Brophy, J. (2010). *Motivating Students to Learn*. Routledge.
- Carless, D; Salter, D; Yang, M; Lam, J. (2011). Developing sustainable feedback practices Higher Education. *Studies In*, 35(4), 395-407.
- Catharine F. Bishop, Michael I. Caston, and Cheryl A. King. (2014). Learner-centered environments: Creating effective strategies based on student attitudes and faculty reflection. *Journal of the Scholarship of Teaching and Learning*, 14, 46-63.
- Catharine F. Bishop, Michael I. Caston, and Cheryl A. King. (2014). Learner-centered environments: Creating effective strategies based on student attitudes and faculty reflection. *Journal of the Scholarship of Teaching and Learning*, 14(3), 46-63.
- David Boud. (2015). THE ROLE OF SELF-ASSESSMENT IN STUDENT GRADING. *Assessment*

- and Evaluation in Higher Education, 14(1), 20-30.
- David J. Nicola and Debra Macfarlane-Dick. (2006). Formative assessment and self-regulated learning: a model and seven principles of good feedback practice. *Studies in Higher Education*, 31, 199-218.
- David Lambert & David Lines. (2001). *Understanding Assessment*. (A. Moore, Ed.) RoutledgeFalmer.
- Denicolo, M. K. (Ed.). (2013). *Critical Issues in Higher Education*. Sense Publishers.
- Diana Kocanjer & Nikola Kadoić. (2016). Raising students' awareness about ethical behavior. ResearchGate.
- Falgikov, I. D. (Ed.). (2007). *Rethinking Assessment in Higher Education*. Routledge.
- Göran Melin, Frank Zuijdam, Barbara Good, Jelena Angelis and et al. (2015). Ministry of Education and Culture, Finland.
- Heather Fry, Steve Ketteridge & Stephanie Marshall. (2008). *A Handbook for Teaching and Learning in Higher Education*. Routledge.
- Idi Warsah, Ruly Morganna & Muhamad Uyun. (2021). The Impact of Collaborative Learning on Learners' Critical Thinking. *International Journal of Instruction*, 14.
- Irons, A. (2008). *Enhancing Learning through Formative Assessment and Feedback*. Routledge.
- Jayakumar Bose, Zed Rengel. (2009). A model formative assessment strategy to promote student-centered self-regulated learning in higher education. *US-China Education Review*, 6(12).
- Joan Carlton Griswold & Jeanne Ting Chowning. (2013). Strategies to Support Ethical Reasoning in Student Argumentation. *Issues in Teacher Education*, 22.
- John Biggs and Catherine Tang. (2011). *Teaching for Quality Learning at University*. Society for Research into Higher Education & Open University Press.
- Jones, B. D. (2018). *Motivating Students by Design Practical Strategies for Professors*.
- José G. Vargas-Hernández, Omar C. Vargas-González. (2022). Strategies for meaningful learning in higher education. *Journal of Research in Instructional*, 2(1), 47-64.
- Lauren Rembach & Laura Dison. (2016). Transforming taxonomies into rubrics: Using SOLO in into rubrics: Using SOLO in social science and inclusive education. *Perspectives in Education*.
- Li, J. (2021). Learner-Centred Learning Tasks in Higher Education: A Study on Perception among Students. *Education Sciences*.
- Lika Glonti, Tamar Lortkipanidze, Nino Urushadze & Irina Darchia. (2017). Retrieved from [http://erasmusplus.org.ge/files/files/REPORTS/2017\\_countryfiche\\_georgia.pdf](http://erasmusplus.org.ge/files/files/REPORTS/2017_countryfiche_georgia.pdf)
- Liz Beaty, Margot Brown, Sylvia Alexander, Vaneeta D'Andrea and et al. (2003). *TEACHING & LEARNING IN HIGHER EDUCATION*. (S. K. HEATHER FRY, Ed.) Kogan Page.
- Illingworth, S. (2004). *Approaches to Ethics in Higher Education*. Philosophical and Reli-

gious Studies Subject Centre, Learning and Teaching Support Network (PRS-LTSN).

- M. Isabel Prieto Barrio, Alfonso Cobo Escamilla, M. Nieves González García, Esther Moreno Fernández, Pilar de la Rosa García. (2014). Influence of assessment in the teaching-learning process in the higher education. 458-465.
- Maria Soledad Ibarra-Saiz, Gregorio Rodriguez-Gomez and David Boud. (2020). The quality of assessment tasks as a determinant of learning. *ASSESSMENT & EVALUATION IN HIGHER EDUCATION*.
- MARIANN LØKSE, TORSTEIN LÅG, MARIANN SOLBERG, HELENE N. ANDREASSEN & MARK STENERSEN. (2017). *TEACHING INFORMATION LITERACY IN HIGHER EDUCATION*. (R. Rikowski, Ed.) Chandos Publishing.
- Mark Tennant, Cathi McMullen and Dan Kaczynski. (2009). *Teaching, Learning and Research in Higher Education*. Routledge Taylor & Francis Group .
- Mats Benner, Jonathan Grant, Mary O’Kane. (2022). *Crisis Response in Higher Education* . Springer Nature Switzerland AG.
- Muhamad Afzamiman Aripin, R. Hamzah, P. Setya, M. H. M. Hisham, M. I. Mohd Ishar. (2020). Unveiling a new taxonomy in education field. *International Journal of Evaluation and Research in Education (IJERE)*, 9(3), 524-530.
- Muhammad Tufail Chandio, Saima Murtaza Pandhiani and Rabia Iqbal. (2016). Bloom’s Taxonomy: Improving Assessment and Teaching-Learning Process. *Journal of Education and Educational Development*, 3(2).
- Myron H. Dembo & Helena Seli,. (n.d.). *Motivation and Learning Strategies for College Success*,.
- N, V, Varghese & Sayantan Manda. (2020). *Teaching Learning and New Technologies in Higher Education*. Singapore: Springer Imprint.
- National Academies of Sciences, E. a. (2018). *How People Learn II Learners, Contexts, and Cultures*. Washington.
- Nicholls, G. (2002). *Developing Teaching and Learning in Higher Education*. Routledge-Falmer.
- Norazrena Abu Samah, Nor Affandy Yahaya & Mohamad Bilal Ali. (2011). Review On Learning Orientations. *Journal of Edupres*, 1, 125-134.
- Nurdian Susilowati, Kusmuriyanto, Kris Brantas Abiprayu. (2021). Encouraging student ethical behavior through ethical climate in higher education. *Journal of Education and Learning (EduLearn)*, 15, 213-222.
- Ormsond, P. (2004). *Self – and Peer-Assessment*. (J. W. Stephen Maw, Ed.) Great Britain.
- Otto Hühther & Georg Krücken,. (2018). *Higher Education In Germany – Recent Developments in an Internatioanl Perspective*. (J. M. Peter Maassen, Ed.) Springer International Publishing AG.
- Paige Haber-Curran & Daniel Tillapaugh. (2013). Leadership Learning through

- Student-Centered and Inquiry-Focused Approaches to Teaching Adaptive Leadership. *Journal of Leadership Education*, 12(1).
- Pastore, S. (2020). Through student eyes: Assessment conceptions and quality assurance. *Journal of Praxis in Higher Education*.
- Patricia Keith-Spiegel, Bernard E. Whitley, Jr, Deborah Ware Balogh, David V. Perkins and et al. (2002). *The Ethics of Teaching: A*.
- Phillip Adams, Lorraine Bennett, Denise Chalmers, Hamish Coates and et al. (2011). *Student Feedback*. (C. S. MERTOVA, Ed.) Chandos Publishing.
- Race, P. (2001). *A briefing on self, Peer and Group Assessment*. Retrieved from [https://phil-race.co.uk/wp-content/uploads/Self,\\_peer\\_and\\_group\\_assessment.pdf](https://phil-race.co.uk/wp-content/uploads/Self,_peer_and_group_assessment.pdf)
- Radice, H. (2013). How we Got Here: UK Higher Education under Neoliberalism. *ACME: An International E-Journal for Critical Geographies*, 407-418.
- Roger Burrige, K. H. (Ed.). (2005). *Effective Learning & Teaching in LAW*. Kogan Page.
- Saadet Kuru Çetin, Funda Nayır & Bilgen Kiral. (2021). Ethics of Teaching Profession from the Perspective of Students According to the Gender Variable. *International Journal of Education*, 9(4).
- Sahlberg, P. (2011). The Fourth Way of Finland. *J Educ Change*, 173-185.
- Shah, D. R. (2019). Effective Constructivist Teaching Learning in the Classroom. *International Journal of Education*, 7(4).
- Shah, R. K. (2020). Concepts of Learner-Centred Teaching. *International Journal of Education*, 8(3).
- Shirley Bach, Philip Haynes and Jennifer Lewis Smith. (2007). *Online Learning and Teaching in Higher Education*. Berkshire: Open University Press.
- Sue Couch and Sara Dodd. (2005). Doing the Right Thing: Ethical Issues in Higher Education. *ProQuest Education Journals*, 20.
- Sutherland-Smith, W. (2008). *Plagiarism, the Internet and Student Learning Improving Academic Integrity*. Routledge .
- Timo Aarrevaara, Ian R. Dobson and Camilla Elander. (2009). Brave New World: Higher Education Reform in Finland. *Higher Education Management and Policy*, 21.
- Wing, T. J. (2018). *THE EFFECTS OF FORMATIVE AND SUMMATIVE ASSESSMENT ON STUDENT'S CONNECTEDNESS, SATISFACTION, LEARNING AND ACADEMIC PERFORMANCE WITHIN AN ONLINE HEALTHCARE COURSE*. Retrieved from core.ac.uk.
- Wright, G. B. (2011). Student-Centered Learning in Higher Education. *International Journal of Teaching and Learning in Higher Education*, 23(3), 92-97.
- Zhanna Chernoshtan, Andzhelika Griciva. (2014). MAIN TRENDS IN THE DEVELOPMENT OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN LATVIA. *Regional Formation and Development Studies*.

ევროპის უნივერსიტეტი/EUROPEAN UNIVERSITY

თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76

☎: (+995 32) 2 000 171

ელ-ფოსტა: [info@eu.edu.ge](mailto:info@eu.edu.ge)

ვებ-გვერდი: [www.eu.edu.ge](http://www.eu.edu.ge)

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

თბილისი, 0193, მერაბ აღაქსიძის II შესახვევი, N2

☎: (+995 32) 2 200 220

ელ-ფოსტა: [info@rustaveli.org.ge](mailto:info@rustaveli.org.ge)

ვებ-გვერდი: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023

---

თბილისი, 0186, ა. ჯოლიბაძის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: [universal505@gmail.com](mailto:universal505@gmail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)



2023